ეროვნული ბიბლიოთეკა

№072 (12 142)
28 მარტი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

დღეს. 20:00. საქართველო-ფარერები

ჩვენი მოგების დღეც დადგა

გახდი მეთორმეტე მოთამაშე!

რამდენი გოლი შევარდება ფარერელთა კარში? დავით კვირკველია, გიორგი დემეტრაძე და ნუკრი რევიშვილი გუშინდელ ვარჯიშზე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

საქართველოს ნაკრები

მეკარეები
გიორგი ლომაია (კარლ ცაისი)
ნუკრი რევიშვილი (რუბინი)
გრიგოლ ქანტურია (ზესტაფონი)

მცველები
გიორგი შაშიაშვილი (დინამო)
ლაშა სალუქვაძე (რუბინი)
ზაალ ელიავა (სკონტო)

ნახევარმცველები
ლევან კობიაშვილი (შალკე)
ლევან ძიძიგურიშვილი (პანიონიოსი)
დავით კვირკველია (მეტალურგი ზ.)
ზურაბ მენთეშაშვილი (ვენტსპილსი)
დავით მუხრანი (კრილია)
ვლადა კანკავა (დნეპრი)
ლაზო ბურდული (კრივბასი)
შოთა გრიგალაშვილი (შორპანი)
ალექსანდრე კობახიძე (დინამო)

თავდამსხმელები
გიორგი დემეტრაძე (მეტალურგი დ.)
დავით სირაძე (აუე)
მიხეილ აშვეთია (კარლ ცაისი)
ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი)





ფარერელთა მწვრთნელს ჯერ არ გადაუწყვეტია, რა ტაქტიკით დაუპირისპირდება გოპმიოლერს

ლევან ჯანეზაშვილი

კლაუს ტოპმიოლერის მატჩისწინა პრესკონფერენცია გუშინ საღამოს შვიდის ნახევარზე დაიწყო. გერმანელმა მწვრთნელმა ჩვენი ინტერესი ამჯერადაც ამომწურავად დააკმაყოფილა. ამის შემდეგ ჩვენი ეროვნული ნაკრების ვარჯიშის დროც დადგა. ჟურნალისტებს მხოლოდ ათი წუთი დაგვითმეს, რის შემდეგაც ვარჯიში დაიხურა.

- უკვე წელიწადზე მეტია, რაც საქართველოს ნაკრებს ვწვრთნი. ამ პერიოდში ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. ჩავატარეთ მატჩები ძლიერ მეტოქეებთან, ვაჩვენეთ კარგი თამაში და რამდენიმეჯერ სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ.

სამწუხაროა, რომ წილისყრაში არ გაგვიმართლა და ურთულეს ჯგუფში მოვხვდით. მეექვსე კალათაში ვიყავით განთესილნი, რაც საქართველოს ნაკრების პოტენციალს ნამდვილად არ შეესაბამება. უნდა ვეცადოთ, ამ შესარჩევში რაც შეიძლება მაღალი ადგილი დავიკავოთ, რათა გაისად შედარებით ხელსაყრელ ქვეჯგუფში მოვხვდეთ.

ერთადერთი შეხვედრა, სადაც უშანსოდ დავმარცხდით, საფრანგეთთან ჩავატარეთ, იმ დროისთვის ეს მსოფლიოს უძლიერესი გუნდი იყო. უკრაინასთან, იტალიასა და შოტლანდიასთან კი წარმატების რეალური შანსი გვქონდა. სამწუხაროდ, ამ მატჩების გადამწყვეტ ეპიზოდებში კონცენტრაცია არ გვეყო.

ფარერებთან შეხვედრაში კი ყოველმიზეზგარეშე უნდა გავიმარჯვოთ, ამ გუნდს სტუმრადაც მოვუგეთ და მოვალენი ვართ, თბილისშიც სამი ქულა მოვიპოვოთ.

ტრავმებს ვერც შოტლანდიასთან მატჩამდე და მის შემდეგ გადავურჩით. ზურაბ ხიზანიშვილი გლაზგოშივე დაშავდა და თბილისში აღარ ჩამოგვყოლია, გოგიტა გოგუამ გუშინ ტვინის შერყევა მიიღო, მუხლი აწუხებს შოთა არველაძეს და ვერც ის დაგვეხმარება. განსაკუთრებით საგანგაშო ხიზანიშვილის მდგომარეობაა, მას საზარდული აწუხებს და შესაძლოა, ოპერაცია დასჭირდეს.

ჩვენი თვალთახედვის არეში საკმაო რაოდენობის ფეხბურთელია მოქცეული. ამჯერად არჩევანი ახალგაზრდული ნაკრების ორ წევრზე შევაჩერეთ, ესენი შოთა გრიგალაშვილი და სანდრო კობახიძე არიან. მათ თურქეთში, ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე საკუთარი შესაძლებლობები კარგად წარმოაჩინეს, ეს ორი მოთამაშე ნაკრებს თბილისში დაბრუნებისთანავე შეუერთდება.

გულშემატკივრებს ვთხოვ, ამ შეხვედრაშიც მხურვალედ დაგვიჭირონ მხარი. ალბათ, ტელევიზიით ყველა თქვენთაგანმა იხილა, როგორ ქომაგობდნენ თავიანთ ნაკრებს შოტლანდიელები. გულშემატკივარი ყოველთვის უნდა იყოს თავისი გუნდის მეთორმეტე მოთამაშე, არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, საფრანგეთს ეთამაშები, იტალიას თუ ფარერებს. თურქები, უპირველეს ყოვლისა, მაყურებლის გამხნევებით დავამარცხეთ, რისთვისაც დიდი მადლობელი ვარ და ვიმედოვნებ, რომ ამ მატჩშიც ასეთივე მხარდაჭერა გვექნება. თანაც, ისიც გასათვალისწინებელია, რომ სექტემბრამდე საშინაო თამაშს აღარ ჩავატარებთ და გულშემატკივრებმა გუნდის ნახვის საშუალება ხელიდან არ უნდა გაუშვან.

- რის ხარჯზე გვაჯობა შოტლანდიამ?

- 1:1-ზე ბიჭებს შეტევისკენ მოვუწოდე, შეცვლაზე შესულ გოგუაზე დიდ იმედებს ვამყარებდი, მაგრამ მან დამაჯერებლად ვერ ითამაშა. დემეტრაძეს შოტლანდიელთა ყველაზე სუსტი მცველის, ნეისმიტის წინააღმდეგ თამაში დავავალე, რაც ურიგოდ არ გამოსვლია. მეორე ტაიმში ნახევარდაცვა სუსტი იყო და მარცხის მთავარი მიზეზიც ესაა. ბურთზე კონტროლი ვერ დავანესეთ, დაცვა და თავდასხმა ერთმანეთს ვერ უკავშირდებოდა.

www.kazbegi.com

გაზეთი...

ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

საქართველო-ფარერები. მატჩის წინ

გაზდი მეთორმეტე მოთამაშე!

გიორგი დემეტრაძე



იაშვილი, ცქიტიშვილი, და სირაძე გუშინდელ ვარჯიშზე

ნუგზარ სუარიძის ფოტო

პირველი გვერდიდან

- შესარჩევი ტურნირის დაწყებამდე თუ იფიქრებდით, რომ ხუთი მატჩის შემდეგ, მხოლოდ სამი ქულა გვექნებოდა და ბოლოსწინა ადგილზე ვიქნებოდით?

- რა თქმა უნდა, ამაზე უფრო მეტს ველოდი. საქართველოს ნაკრებს, ასე ვთქვათ, შვიდი ხელშეუხებელი ფეხბურთელი ჰყავს, ანუ ისეთები, რომლებიც ჯანმრთელობისა და სათანადო ფორმაში ყოფნის შემთხვევაში, ძირითად შემადგენლობაში აუცილებლად მოხვდებიან. ესენი არიან: **კალაძე, ხიზანიშვილი, ცქიტიშვილი, კობიაშვილი, ასათიანი, დემეტრაძე** და **არველაძე.** ეს მოთამაშეები ჩემი მწვრთნელობისას მოედანზე ერთად არ გასულან, ეს კი გუნდის ჩამოყალიბებას საგრძნობლად აფერხებს. ამდენი წამყვანი მოთამაშის შეცვლა გრანდებსაც კი არ ძალუძთ. მოკლედ, უსიამოვნებებს თავი ვერ დავაღწიეთ, მეექვსე ადგილი კი, რა თქმა უნდა, ცუდი შედეგია, რის გამოსასწორებლადაც თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ, ჩვენი უახლოესი ამოცანა ფარერების ძლევაა, შემდეგ კი ლიტვასა და საფრანგეთში გვიწევს სტუმრობა. იმედია, იმ დროისთვის კალაძე და ასათიანი ჯანმრთელად და თან და კარგ ფორმაში იქნებიან და არც სხვა ფეხბურთელებს მოვისაკლისებთ.

უკრაინაში კალაძე დაგვაკლდა, შოტლანდიაში კი კალაძე და ასათიანი ერთად. მათ რომ ეთამაშათ, დარწმუნებული ვარ, არ დავმარცხდებოდით.

კარგია, რომ ამხანაგური მატჩები ძლიერი გუნდების წინააღმდეგ ჩავატარეთ, შენების პროცესში მყოფი ნაკრები ასეთ მეტოქეებთან ჭიდილში უნდა გამოიწრთოს.

გამოვცადეთ არაერთი ახალგაზრდა, რამდენიმე მათგანმა ჩვენი იმედები გაამართლა და ნაკრებში თავიც დაიმკვიდრა. თუნდაც ელიავა, რომელმაც ბოლო ორ შეხვედრაში დიდი პოტენციალი გამოავლინა, თუმცა შოტლანდიაში უშუალო, დაცვითი ფუნქციების შესრულებისას, შეცდომები დაუშვა. ეს არის ბრილიანტი, რომელსაც დამუშავება სჭირდება. სანაკრებო შეკრებებზე ეს იოლი არ იქნება, მაგრამ ზაალი ახალგაზრდაა და ყველაფერი წინ აქვს.

ევროპული კლუბების სკაუტები სისტემატურად აკვირდებიან საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წევრებს. განსაკუთრებით 19-წლამდელები მინდა აღვნიშნო, ამ გუნდის თითქმის ყველა წევრი ევროპელთა დაკვირვების ქვეშაა.

ყველაფერი ეტაპობრივად გაკეთდება, დროა საჭირო. ფიფას რეიტინგში უკვე წინ წავწიეთ, რაც პროგრესის ნიშანია.

- გლაზგოში განხორციელებულმა შეცვლებმა გაგიმართლათ?

- გოგუამ თურქეთთან მატჩის ბედი გადაწყვიტა და იმედი მქონდა, შოტლანდიაშიც იტყოდა თავის სიტყვას. სირაძე მეორე სართულზე ძლიერია, წინა ორი ამხანაგური მაღალ დონეზე ჩაატარა. მუჯირისგან კარგად შესრულებას ველოდი, ერთი შანსი მიეცა კიდეც, მაგრამ ვერ გამოიყენა.

ერთი პირობა, მოედანზე იაშვილის გამოყვანასაც ვფიქრობდი, მაგრამ არ ჩევანი ამ სამეულზე შევაჩერე. ალექსანდრეს თავის გამოჩენის შანსი ფარერებთან მიეცემა, მას ძირითად შემადგენლობაში იხილავთ.

- როგორი ტაქტიკით აპირებთ თამაშს?

- ჩვენი ამოცანაა, მეტოქე პირველივე წუთებიდან მოვაქციოთ მარნუხებში და პრესინგის საშუალებით, ჩვენს ნახევარზე გადმოსვლის საშუალება არ მივცეთ. ფარერელთა თითოეული შეცდომით მაქსიმალურად უნდა ვისარგებლოთ, ამასთან, დაცვაში მაქსიმალური ყურადღებით უნდა ვითამაშოთ.

საქართველო-ფარერები. მეტოქე

მოვხსნით საშინაო რეკორდს?

ფარერების ნაკრებმა მატჩის წინ, ეროვნულ სტადიონზე გამართა ვარჯიში. წვრთნა, რომელიც 17 საათზე დაიწყო, საათსაც არ გაგრძელებულა. მოედნის გარშემო სირბილი, გაწელვითი ვარჯიშები, კვადრატი, გრძელი და მოკლე პასები და გუშინინდელი ვარჯიშიდან განსხვავებით, ორკარაც გაჩაღდა.

სანვრთნელი პროცესის დამთავრების შემდეგ კი ფარერების ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოგვან მარტინ ოლსენმა** რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხა:

- ორი აზრი არ არსებობს ხვალ რთული მატჩი გვალის. საქართველოს ძლიერი გუნდი ჰყავს და თამამად შეიძლება ითქვას, რომ გლაზგოში შემთხვევით დამარცხდით.

საქართველო მასპინძლელია და ხვალ მოგებისთვის იბრძოლებს. ჩვენ კი ჩვენთვის სასურველი ანგარიშისთვის ვითამაშებთ.

- ერთი ფორვარდით ითამაშებთ და დაცვაში ჩადგებით ფრის მისაღწევად თუ...

- ამაზე ჯერჯერობით გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ერთი ფორვარდით ვითამაშებთ, დაცვაში ჩავჯდებით თუ ორ თავდამსხმელს გავამწესებთ, ამას, ხვალ, მატჩამდე ერთი საათით ადრე გადავწყვეტთ.

- საქართველოს ნაკრებმა შესარჩევ ციკლში სწორედ თქვენთან დაამყარა რეკორდი, თანაც გასვლით მატჩში. ბუნებრივია მასპინძლები ხვალ ამ რეკორდის გაუმჯობესებას შეეცდებიან. საამისოდ რამდენად მზად ხართ?

- არ ვიცი, რას აპირებენ ქართველები და საერთოდ კონკრეტულად რა მიზნისთვის იბრძოლებენ, თუმცა ერთი რამის თქმა შემიძლია, ჩვენ საჩვენო შედეგისთვის ვიბრძოლებთ.

აი, ასეთი იყო გუშინდელი დღე. დღეს კი, ჩვენი გუნდი გლაზგოური მატჩის შემდეგ საუთარი ქომაგების წინაშე დიდი ანგარიშით გამარჯვებას შეეცდება. ვნახოთ, მოხსნის თუ არა ჩვენი ნაკრები საკვალიფიკაციო ციკლის ოფიციალურ მატჩებში საშინაო გამარჯვების რეკორდს, რომელიც უელსთან 5:0 მოგებულ მატჩში დამყარდა.

დავით ცაბაძე

საქართველო-ფარერები. 28 მარტი. 20:00



ფარერებთან მატჩის წინ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახური ბილეთების, სტადიონზე შესვლისა და გულშემატკივართა განთავსების მხრივ გარკვეულ ცვლილებებზე გვამცნობს. ბილეთები სხვადასხვა ღირებულებისაა. მათი ფასი 5, 10 და 20 ლარი იქნება სექტორებისა და ადგილების მიხედვით. ბილეთები გაიყიდება მხოლოდ ეროვნული სტადიონის სალაროებში 27 და 28 მარტს, 12-დან 17 საათამდე. ამასთან, ბილეთები ოთხი ფერისაა (წითელი, ყვითელი, მწვანე და ლურჯი) და თითოეულისთვის ცალკე შესასვლელი იქნება გამოყოფილი.

წითელი ფერის ბილეთები (სამხრეთი): ცაბაძის ქუჩისა და წყრეთლის გამზირის კუთხე, 4 ჭიშკარი;

ყვითელი (ჩრდილოეთი) და ლურჯი (დასავლეთი): საბურავის ქუჩისა და წყრეთლის გამზირის კუთხე, 5 ჭიშკარი.

ლურჯი (დასავლეთი): ჟიჟიანისა და ცაბაძის ქუჩების კუთხე, 3 ჭიშკარი, ცაბაძის ქუჩიდან 4 ჭიშკარი;

მწვანე (აღმოსავლეთი): წყრეთლის გამზირი, 5 ჭიშკარი.

სტადიონის ყველა (21) ჭიშკარი თამაშამდე და მატჩის დამთავრებისთანავე გაიღება. შესასვლელებში იქნება საინფორმაციო ტრაფარეტები. სტადიონის ტერიტორიაზე განლაგდება ასევე საინფორმაციო პუნქტები. მატჩს მოემსახურება 60 უნიფორმიანი სტიუარდი. მათგან გულშემატკივარი ნებისმიერ საჭირო ინფორმაციას მიიღებს. ბილეთები კი ფასების მიხედვით ასე დაიყოფა:

5 ლარი: წითელი და ყვითელი ფერის ბილეთები (ორივე იარუსზე);

10 ლარი: სექტორები 5, 6, 11, 12 (დასავლეთი) და 20, 21, 22, 25, 26, 27 (აღმოსავლეთი);

20 ლარი: სექტორები 13, 14, 15, 16, 23, 24 (აღმოსავლეთი) და სექტორები 7, 9, 10 (დასავლეთი).

ბავშვები უბილეთოდ არ დაიშვებიან.

კუნძულელებმა გუშინ ეროვნულზე ივარჯიშეს

ნუგზარ სუარიძის ფოტო

გაზეთი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ინტერვიუ თემურ ქეცბაიასთან

იგივე შედეგია

ქართველი დანდის მიწვევას ადასტურებს და კარიერას ამთავრებს

თემურ ქეცბაია დიდი ხანია ქართულ ფეხბურთს ჩამოშორდა. ათასში ერთხელ თუ გავეცნობით მის ინტერვიუებს. ესაა და ეს, კვიპროსის "ანორთოსისის" მთავარი მწვრთნელი ნაკრებიდან წასვლის შემდეგ საკლუბო საქმიანობაზე გადაერთო.

თუმცა მას გულისყური საქართველოსკენ რომ აქვს, ეს მისი ინტერვიუდანაც გამოჩნდება.

- თემურ, შოტლანდიასთან საქართველოს ნაკრების შეხვედრაზე რას გვეტყოდი?

- ჩემდა სამწუხაროდ, თამაში ვერ ვნახე. ზუსტად ამ დროს ბულგარეთში ვიყავი, მწვრთნელობის ლიცენზიის მისაღებად საჭირო სემინარს ვესწრებოდი. ძალიან მინდოდა ჩანაწერის ნახვა და ესეც ვერ მოვახერხე. ნეტავ, კასეტას მაინც ვერ ვიშოვი? ისე, როგორ ითამაშეს? ჯობდნენ შოტლანდიელები?

თამაშზე ვისაუბრეთ და შემდეგ ისევ მთავარ თემას დავუბრუნდით.

- არა, მაინტერესებს, მატჩს უნდა ვუყურო. ძალიან მინდა ვიცოდე, როგორ თამაშობს ტოპმიოლერის ხელში ბოლო დროს ნაკრები.

- თემურ, უმთავრესად სწორედ სანაკრებო თემაზე მსურდა საუბარი. მანამდე ის გვითხარი, ბულგარეთში პროფლიცენზიის მისაღებად იყავი?

- დიახ, ასეა და კიდევ სამი ეტაპის გავლა დამჭირდება.

- ტოპმიოლერის მწვრთნელობისას, საქართველოს ნაკრების თამაშებს თუ უყურე?

- რა თქმა უნდა, მაინტერესებს, როგორ გამოიყურება გუნდი.

- საერთოდ, როგორი შთაბეჭდილება გრჩება, გუნდს უკეთესობა შეატყვე?

- საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დამრჩა. მაგალითად, იტალიასთან ბიჭებმა ძალიან კარგად ითამაშეს და დარწმუნებული ვარ, კანკავა რომ არ გაეგდოთ, ქულის მოპოვება შეიძლებოდა. 10 კაცით კი იტალიასთან უკვე ძალიან ძნელი იყო ანგარიშის შენარჩუნება. მე თუ მკითხავთ, გამოჩნდა გარკვეული პოტენციალი.

ჩვენები ურუგვაისთანაც მომეწონენ. თუმცა კარგი თამაში ამხანაგურ შეხვედრაში ერთია და მეორე - ოფიციალურ ტურნირებში მიღწეული შედეგი. ესაა დღევანდელ ფეხბურთში მთავარი. საერთოდ, ფეხბურთელიც შედეგზეა ყველანაირად დამოკიდებული. თუკი



თემურ ქეცბაია

ნაკრები შედეგს მიაღწევს, გაიზრდება, სხვაგვარად ეს ძალიან რთული იქნება. ამიტომაც არ მესმის, რას ნიშნავს, კარგად ვითამაშეთ და წავაგეთ. შედეგი გვჭირდება, შედეგი!

- ამ გუნდის პლუს-მინუსებზე რას გვეტყვით?

- თუკი შედეგებით ვისაუბრებთ, ძველებური ვითარებაა. არა მგონია, უკეთესობა იყოს. კარგია, რომ პერსპექტიული ახალგაზრდები დაწინაურდნენ. თუმცა ნაკრებში 90 წუთი უნდა გაძლოს ნებისმიერმა მოთამაშემ. შოტლანდიაში ბოლო წუთებში თუ გაუჭირდათ, ეს მწვრთნელის ბრალი არაა. ფიზიკურად მოთამაშე კლუბში უნდა მოემზადოს და, ამდენად, მოთამაშის ბრალია, ნაკრებში მოუმზადებელი რომ ჩამოდის.

სხვათა შორის, მე იმედი მქონდა, რომ შოტლანდიაში არ წავაგებდით.

- არ აქვს მნიშვნელობა, ვისგან შევიტყვეთ, მაგრამ ის ადამიანი შენი მეგობარია და გვითხრა, რომ ათენის აეკ-ისა და შოტლანდიური "დანდის" მწვრთნელობას გთავაზობენ.

- მე ჯერ ჩემი სამსახურით კმაყოფილი ვარ და "ანორთოსისის" დატოვებას არ ვაპირებ. არც უახლოეს მომავალში ვაპირებ ამის გაკეთებას. ისიცაა, რომ დღეისათვის ამ დონეზე სამუშაოდ მზად არ ვარ, თორემ უფრო ძლიერ ლიგაში მუშაობაზე უარს არავინ იტყვის.

- ეს არ ნიშნავს, რომ არ გიწვევდნენ.

- მე არ ვიცი, მომავალში რა მოხდება. დასამალი რა არის, "დანდი" მართლა მიწვევდა.

- ეს როდინდელი ამბავია?

- ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე "რეინჯერსს" რომ შევხვდით. შოტლანდიელებმა დამირეკეს და მკითხეს, მქონდა თუ არა გუნდის ჩაბარების სურვილი. მაშინ უარი ვუთხარი.

- რატომ? შოტლანდიაში მუშაობა ხომ გაცილებით საინტერესოა, ვიდრე კვიპროსში?

- რა თქმა უნდა, ამაზე ორი აზრიც არ არსებობს. თუმცა ფეხბურთელის ენაზე რომ ვთქვათ, მე ერთი-ორი წელი მაინც მჭირდება ფორმაში შესასვლელად.

- მოთამაშის კარიერას ისევ გააგრძელებ?

- წლეულს უკვე ნაკლებად გავდივარ მოედანზე და გადაწყვეტილიც მაქვს, რომ ეს ბოლო სეზონი იქნება. ახლა მწვრთნელობას სერიოზულად უნდა მოვკიდო ხელი.

- საქართველოს ნაკრებში გაცილება არ შემოგთავაზეს?

- მერაბ ჟორდანიას დროს იყო ასეთი ჩანაფიქრი. მერე ასეთი რამ არ გამიგია. სამწუხარო კი არის, მაგრამ რას ვიზამთ.

- რუსული პრესა დღემდე ამტკიცებს, თითქოს გიორგი ქინქლაძე "ანორთოსისში" ბრუნდება. პირველი წყაროდან ზუსტი პასუხის მიღება უფრო ადვილია და გაგვარკვიე, მართლა ასეა?

- მე არ ვიცი, რუსები რას წერენ, მაგრამ გიორგი თუ მოისურვებს, მასზე უარს ნაღდად არ ვიტყოდი. თუმცა, ვიცი, რომ თავის საქმეებითაა ახლა დაკავებული.

- ბოლო დროს "ანორთოსისში" ქართველები აღარ მიგიწვევია.

- რატომღაც ასე მოხდა. მთავარია, გუნდს გამოადგეს და ქართველი იქნება თუ ინგლისელი, მნიშვნელობა არ აქვს.

- ქართველმა მოთამაშეებმა ძალიან გაგაწვალეს?

- ფეხბურთი ასეა, სადაც მოთამაშეს ურჩევნია, იქ მიდის და ვერ გაამტყუნებ. მწვრთნელი ასეთ მოვლენებს უნდა შეეგუოს. გული კი დაგწყდება კაცს, მაგრამ რას ვიზამთ.

მერაბ მამულაშვილი

არგენტინა, ბრაზილია: სად და როდის?

საქართველოს ნაკრები ძლიერ და სახელიან მეტოქეებთან ამხანაგური შეხვედრების ჩატარებას სამომავლოდაც აპირებს.

ეს "ლელოს" ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** გაუმხილა: *"დღემდე მიმდინარეობს მოლაპარაკებები არგენტინისა და ბრაზილიის ფედერაციებთან, საკონტროლო შეხვედრების ჩატარების თაობაზე. გადასაწყვეტია თარიღი და მატჩის ჩატარების ადგილი. უახლოეს მომავალში ბევრი რამ გვეცოდინება".*

მერაბ მამულაშვილი

ცენტრში შოთა არველაძე

ნოდარ ახალკაცი: შოთას ლამაზი გაცილება უნდა მოვუწყოთ!

არ მეგულება ფეხბურთის გულშემატკივარი, ეს ცნობა რომ გაახარებდა. წლებს თავისი მიაქვს და ინტენსიური დატვირთვებისას, 34 წლის თავდამსხმელს მრავალგზის ნაოპერაციები მუხლი ისევ აწუხებს.

არველაძემ გადაწყვეტილება მიიღო და რომელი მატჩი იქნება ნაკრებში მისთვის გამოსამშვიდობებელი, მალე შევიტყობთ.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა "ლელოს" განუცხადა, რომ შოთა არველაძეს გამოსამშვიდობებელ შეხვედრას მოუწყობენ:

- ჩვენი ფედერაციაში მოსვლის დღიდან შოთა არველაძე ნაკრებიდან წასვლაზე ფიქრობს, გამომდინარე ჯანმრთელობის მდგომარეობიდან. თუკი სტატისტიკას გადავხედავთ, შოთა ქართული ფეხბურთის ისტორიის განუყოფელი ნაწილი გახდა, რადგან დამოუკიდებლად ევროპაში გასული ქვეყნის ნაკრებში ყველაზე მეტი მატჩი ჩაატარა და ყველაზე მეტი ბურთი გაიტანა. ასეთ ადამიანს დაფასება სჭირდება.

ამას გარდა, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ისიცაა, რომ მომავალი თაობა იზრდება და მათ უნდა დაინახონ, რომ წარმატებულ მოთამაშეებს განსაკუთრებული პატივით აცილებენ. ჩვენ ეს ტრადიცია უნდა შემოვიღოთ. ეს ხალხი ფეხბურთის არმიის ჯარისკაცები არიან და ასე ემსახურებიან ქვეყანას. ჩვენი აზრით, მოქმედი და მომავალი ფეხბურთელები ჩვენი ერთი გუნდის წევრები არიან. ერთი გუნდის წევრები კი ერთმანეთის მიმართ პატივისცემით უნდა იყვნენ განმსჭვალულები და ერთმანეთი დააფასონ.

- სამწუხაროა, რომ გამოსამშვიდობებელი მატჩი პირველ სანაკრებო თაობას ოცნებად დარჩა. შოთასთან ერთად, ქეცბაია, ცხადაძე, შელია, გურული, ნემსაძე, ჯამარაული არიან. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. მათთვის საგანგებო მატჩის ჩატარებაზე არ გიფიქრიათ?

- სხვათა შორის, ვფიქრობდით, თუ რა ღონისძიება ჩაგვეტარებინა. არ დაგვავიწყდეს გოგა გახოკიძე, რომელიც ძალიან ნაადრევად წავიდა ფეხბურთიდან.

ჩვენი პოზიცია ასეთია - ვისაც სანაკრებო ღვაწლი გააჩნია, ჩვენ მათი დამსახურების მიფუჩეჩებას არ ვაპირებთ. ახალი ვეტერანებიც უნდა დავაფასოთ. თუ როგორ, ეს საკითხი დამუშავების სტადიაშია.

მერაბ მამულაშვილი



გაზეთი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეზენტაცია

09 ქართულ ფეხბურთში

ყველა ნაკრების ფერებში!

ფეხბურთის ფედერაციისა და საინფორმაციო ცენტრ 09-ს ხელმძღვანელებს ძალიან ორიგინალური იდეა მოუვიდათ და შეთანხმებასაც მიაღწიეს. ამიერიდან, საინფორმაციო სამსახური 09 ეროვნული ნაკრებისა და ზოგადად ქართული ფეხბურთის სამსახურში იქნება.

დეტალების გასარკვევად გუშინ 09-ის ოფისში მხარეებმა მასმედია მიიწვიეს.

გიორგი ქოჩლაძე, 09-ის გენერალური დირექტორი:

"ჩვენ შევთანხმდით პარტნიორობაზე და ვფიქრობ, ძალიან საინტერესო და სასარგებლო თანამშრომლობა გვექნება. შეთანხმების არსი მარტივია - ამიერიდან გულშემატკივარი რიგებისა და დროის დაკარგვის გარეშე სახლიდანვე დაჯავშნის ბილეთს. ასეთივე გამარტივებული წესი იმოქმედებს საქართველოს ნაკრების ფანკლუბში გაწევრიანების მსურველთათვის. დაინტერესებული ადამიანი დარეკავს 09-ში და ოპერატორის დახმარებით, სახლიდან გაუსვლელად გაწევრიანდება ფანკლუბში.

ამასთანავე, ყველამ ვიცით, რომ საქართველოს ნაკრების გასვლითი მატჩებისა და ჩვენი ლეგიონერების შეხვედრების ყურება საკმაოდ ბევრ ადამიანს სურს.

დროის ეკონომიის მიზნით, მათ ასევე 09 მოემსახურება, ჩვენ უკვე მივაღწიეთ შეთანხმებას GFF TREVEL-თან და მგ ზავრობისთვის საჭირო საკითხებს ჩვენი დახმარებით სწრაფად მოაგვარებენ, ანუ დაჯავშნიან ბილეთს, სასტუმროს".

ნოდარ ახალკაცი, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

"თანამშრომლობა ძალიან მახარებს, რადგან ჩვენი მიზანია, გულშემატკივრებს მაქსიმალურად გავუადვილოთ ინფორმაციის მიღება, სტადიონზე მისვლა და ა.შ. ამავე დროს, ეს კომფორტული და მომსახურების ხელმისაწვდომი ფორმაა".

ფან-კლუბის პრეზიდენტის **გიორგი ხაჩიძის** თქმით, ამგვარად ნაკრების გულშემატკივართა რაოდენობა უნდა გაიზარდოს.

ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **გოგი ქავთარაძემ** კი განაცხადა, რომ საქართველო-ფარერების მატჩის ბილეთების გაყიდვა დღეს 5 საათზე შეწყდება: *"იმედია, სტადიონზე ბევრი გულშემატკივარი მოვა. მათ მინდა მოვუწოდო: იქნებ, მაქსიმალურად მოახერხონ ნაკრების ფერებში გამოწყობა. ამით შოტლანდიელი გულშემატკივრები სამაგალითოები არიან. იქ დიდი ხნის ტრადიცია გააჩნიათ, სამაგალითო დახვედრით და ქომაგობით გამოირჩევიან".*

დავით ცაბაძე



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

როდის ექნება ნაყოფი ტოპმიოლერის დარგულს?

ლეგიონერები

მელქაძე და ოთხი ვეტერანი

31 მარტს, ყაზახეთში სტარტს აიღებს სუპერლიგის გათამაშება, რომელშიც 16 კლუბი ისპარეზებს. სხვებთან ერთად, ყაზახურ მოედნებზე ქართველი ლეგიონერებიც გააგორებენ ბურთს. შარშანდელთან შედარებით ქართული ლეგიონის რიცხვი არ შეცვლილა და კვლავაც ხუთია. ამ, საფეხბურთო თვალსაზრისით ევროპის ახალ ქვეყანაში, როგორც წესი, ჩვენი ვეტერანები თამაშობენ.

ყარაღანდის "შახტიორმა" სეზონი 50 ქულით მეოთხე ადგილზე ჩაამთავრა, კლუბში **გიორგი გაბიდაური** და **ვიტალი დარასელია** თამაშობდნენ. დარასელია სამშობლოში, ბოლნისის "სიონში" დაბრუნდა, გაბიდაური კი კვლავ "შახტიორშია", რომელიც სერიოზულად გაძლიერდა და ახლა ნაკრების გოლკიპერი, ყაზახეთის საუკეთესო ფეხბურთელი **დავით ლორია** და ლატვიელი ფორვარდი **მიხეილ მიხოლაპი** დაიმატა. მანამდე "შახტიორმა" ნორვეგიული "ვოლერენგას" ექსფორვარდი **ლევან მელქაძე** აიყვანა. 28 წლის მელქაძე კარგა ხანს უგუნდოდ იყო.

ყარაღანდის კლუბი უცხოური შეკრებიდან დაბრუნდა და დღეს მთელი შემადგენლობით ოლქის აკიმს შეხვდა. ხვალ "შახტიორი" გულშემატკივრებს შეხვდება, კლუბი ახალ ფეხბურთელებს წარადგენს, მათ შორის მელქაძესაც. ბოლო საკონტროლო მატჩში "შახტიორი" "ირტიშს" დაუზავდა - 1:1. სეზონის პირველ მატჩში მელქაძისა და გაბიდაურის გუნდი **გიორგი გოგიაშვილის** ყოფილ კლუბ "ვოსტოკს" უმასპინძლებს.

გოგიაშვილმა კლუბი ახლახან შეიცვალა, ის უსტ-კამენოგორსკიდან ყიზილორდაში გადაბარგდა და "კაისარის" მაისური მოირგო. გიორგი 36 წლისაა, მან "ვოსტოკში" შარშანდელი სეზონი 33 წლის **ზვიად ჯელაძესთან** ერთად გაატარა. "კაისარი" თურქეთში იმყოფებოდა, სადაც გააფორმა კიდეც კონტრაქტი რამდენიმე ფეხბურთელთან, მათ შორის გოგიაშვილთანაც. თურქული შეკრების ბოლო მატჩში გოგიაშვილის "კაისარი" "ბეშიქთაშს" ესპარინგა და 0:2 დამარცხდა. ჯელაძე "ვოსტოკში" რჩება. კვლავ "ეკიბასტუზეცში" თამაშობს 35 წლის **ზურაბ არჩვაძე**.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ექვსი ქართველი პირველ დივიზიონში

ყაზახეთისგან განსხვავებით დღეს იწყება ჩემპიონატი რუსეთის პირველი დივიზიონში. 22 კლუბში სულ ექვსი ქართველი ფეხბურთელი ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ შარშან ამ დივიზიონში მხოლოდ სამი ჩვენებური თამაშობდა. **პაატა ჯინჭარაძე** კვლავ ბრიანსკის "დინამოში" ითამაშებს, ხოლო **ლავრენტი მიქაძე** - "ბალტიკაში". რაც შეეხება **რევაზ გოცირიძეს** ("კამაზი") ის იშვიათად ხვდებოდა შემადგენლობაში და სამშობლოში დაბრუნდა. წლეულს ყველაზე ქართული გუნდი მახაჭყალის "ანჟი" იქნება, რომელსაც **ომარ თეთრაძე** წვრთნის. დაღესტნელებმა საჩემპიონატო განაცხადში ჯერ **გოჩა ხოჯავა** შეიყვანეს, შემდეგ კი **ზურაბ არზიანი** და **კახაბერ მჟავანაძე**. არზიანი რუსეთის მოქალაქედ არის მოხსენიებული, არადა ის ახლახან საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში იყო გამოძახებული.

პირველი დივიზიონის დებიუტანტის "ტექსტილშჩიკის" რიგებში **რამაზ ჯაბნიძე** და **ვასილ ღუჭაშვილი** ისინჯებოდნენ. ქართველებმა თურქეთში ყველა საკონტროლო მატჩში მიიღეს მონაწილეობა, თითქოს თავი მოაწონეს კიდეც რუსებს, მაგრამ კლუბის საბოლოო 25-კაციან საჩემპიონატო განაცხადში მაინც ვერ მოხვდნენ. პირველი დივიზიონის მეექვსე ქართველი კი მოსკოვის "ტორპედოს" ახალწვეული **გედევან დარასელიაა**. 19 წლის გედევანი მცველია, ის "ტორპედოში" 15-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ქართული ფეხბურთის ხეივანიც გაშენდა

გუშინ, თბილისში, დიღომში, თბილისის "დინამოს" საწვრთნელი ბაზის წინ და მიმდებარე ტერიტორიაზე ქართული ფეხბურთის ხეივანს ჩაეყარა საფუძველი. ნაშუადღევის პირველი საათისთვის შოთა იამანიძის სახელობის ქუჩაზე ვეტერანი ფეხბურთელები შეიკრიბნენ. მალევე მათ ფედერაციის ხელმძღვანელობა, დედაქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი **კობა სუბელიანი** და ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები მწვრთნელებითა და ტექნიკური პერსონალითურთ შეუერთდნენ. ყველამ ერთად მიიღო მონაწილეობა ქართული ფეხბურთის ხეივნის გაშენებაში. ვეტერანმა და მოქმედმა ფეხბურთელებმა ნერგები ჩაყარეს და ამით, ერთგვარად, ჩვენი ფეხბურთის უკვდავყოფასაც ჩაუყარეს საფუძველი.

აქციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** შემდეგი განაცხადა.

- ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება, რომ გლაზგოში ღირსეულად ვითამაშეთ. მატჩის ბოლომდე, დასკვნით წუთებში, ცალკეულმა ფეხბურთელებმა სრული კონცენტრაცია ვერ შეძლეს, სამწუხაროდ, ინდივიდუალური შეცდომების ჯაჭვის შედეგად, დავისაჯეთ. როცა შეგიძლია მოიგო ან ფრე მაინც ითამაშო, მარცხი ამ დროს უფრო მეტად გულდასაწყვეტია. ჩვენი ნაკრები ძალზე სერიოზულ პროგრესს განიცდის და ეს 24 მარტის მატჩშიც იგრძნობოდა. გლაზგოში თამაშობდა გუნდი, რომელიც ფიფას რეიტინგში მე-16 ადგილზეა და საქართველო, რომელიც იმავე რეიტინგში 85-ე ადგილზეა. ვფიქრობ, ამ ორ გუნდს შორის, თამაშიდან გამომდინარე, თითქმის არ იყო განსხვავება. უფრო მეტიც, გარკვეულ ეპიზოდებში ვჯობდით კიდეც მეტოქეს. ასე რომ, ჩვენ სწრაფი ტემპით მივდივართ წინ და მჯერა, რომ ეს შესარჩევი ციკლის შედეგებშიც მალე აისახება. ჩვენ ნელ-ნელა ვუთანაბრდებით მონინავე ოცეულში მყოფ გუნდებს. .

- გლაზგოს შემდეგ ფარერებს ვუმასპინძლებთ. ჩვენს გუნდში რა განწყობაა?

- ჩვენს ნაკრებში საბრძოლო განწყობაა. ფარერები ჯგუფში ბოლო ადგილზეა, მაგრამ ადვილი მატჩი მაინც არ გველის, რადგან ვიცით, რომ მეტოქის 11 ფეხბურთელი მხოლოდ იმაზე იქნება კონცენტრირებული, რომ გოლი არ გაუშვას. მჯერა, ჩვენი ნაკრების ფეხბურთელებისთვის დღევანდელი აქცია, ქართული ფეხბურთის ხეივნის გახსნა, დამატებითი სტიმული იქნება. ამით წინამორბედ თაობებს, მათ, ვინც ქართულ ფეხბურთს სახელი გაუთქვა, პატივს მივაგებთ. მხოლოდ წარსულით არ უნდა ვიცხოვროთ, მაგრამ ღირსეულად დავაფასოთ ყველა ის ფეხბურთელი, ვინც ქართული ფეხბურთის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანა.

"ჩინებული ინიციატივაა ქართული ფეხბურთის ხეივნის გაკეთება ქვეყნის დედაქალაქში. ეს ხომ ერთგვარი ძეგლია ქართული ფეხბურთისა. უკვე წელიწადზე მეტია, რაც საქართველოს ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელი ვარ. ამ ხნის განმავლობაში ჩემი მოკრძალებული წვლილი შევიტანე ქართული ფეხბურთის განვითარებაში და მოხარული ვარ, რომ ამ აქციაში მივიღე მონაწილეობა", - ესუკვე **კლაუს ტოპმიოლერის** სიტყვებია.

"რაღა დაგიმალოთ და ნერგების დარგვისას, ახალგაზრდობა გაგვახსენდა. კარგი იქნებოდა, ამ თაობის დარად, თავის დროზე ჩვენც რომ გვქონოდა შესაძლებლობა საქართველოს სახელით გვეასპარეზა და ჩვენი ქვეყანა გვესახელებინა, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. ვისურვებდი, ჩვენს ნაკრებს არაერთხელ გაეხარებინოს გულშემატკივარი და, ახლა თუ არა, მომავალში მაინც გასულიყოს ჯგუფიდან. ეს ხეივანი არაერთ თაობას მოესწრება და რამდენიმე ათეული წლის თუ საუკუნეების შემდეგ ბევრი გაგვიხსენებს", - გვითხრა წარსულში ცნობილმა მეკარემ **რამაზ ურუშაძემ**.

დავით ცაბაძე

გატუზო, ქართველებს ილბალი არ ჰქონიათო

დღეს ჩვენს შესარჩევ ჯგუფში იტალიის ნაკრები შოტლანდიას უმასპინძლებს. ინტერნეტსააგენტო "გოლი" "მილანისა" და იტალიის ნაკრების ნახევარმცველ **ჯენარო გატუზოს** ესაუბრა სქოთებზე, სადაც მან საქართველოს ნაკრებიც ახსენა.

გატუზო მიიჩნევს, რომ შოტლანდიამ საქართველოს მხოლოდ ილბლის წყალობით მოუგო: *"შოტლანდიასთან თამაში გაცილებით იოლია, ვიდრე საფრანგეთთან და ინგლისთან. თუმცა ჩვენ მცირე ილბალიც დაგვჭირდება. ხომ ყველამ ვნახეთ, რომ ბრიტანელებმა საქართველოს ნაკრებს მხოლოდ ამით მოუგეს".*

მერაბ მამულაშვილი

იტალია vs შოტლანდია. როგერტო დონადონის პრესკონფერენცია

კმარა კრიტიკა, გვათამაშეთ!

ეროვნული გაზეთი

იტალიურმა პრესამ აძურის მწვრთნელს მოთმინების ფიალა უკვე აუსვო



რობერტო დონადონი

ხშირია, როცა ნაკრების მწვრთნელებს მედიასთან ურთიერთობა ეძაბებათ ხოლმე. იტალიაში ეს ფენომენი განსაკუთრებულად არის გავრცელებული. "სკუადრა აძურის" მწვრთნელები ითმენენ, ითმენენ, ერთხელაც მოთმინების ფიალა აევსებათ და პრესკონფერენციაზე ბოღმის ნიაღვარს გადმოანთხევენ ხოლმე. იტალიაში კარგად ახსოვთ **ჯოვანი ტრაპატონის, ჩეზარე მალდინის, დინო ძოფის** მქუხარე "გამოსვლები". 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ **ბეარძოტმა** და მისმა გუნდმა პრესასთან ურთიერთობა საერთოდ გაწყვიტა, **ლიპიმ** კი ჟურნალისტებს გერმანიაში, ავსტრალიასთან მერვედფინალური შეხვედრის წინ "დასცხო". გამონაკლისი არც "აძურის" ამჟამინდელი თავკაცი **რობერტო დონადონი** აღმოჩნდა. აგვისტოში, ხორვატიასთან წაგებული სადებიუტო ამხანაგურის შემდეგ იტალიელთა მწვრთნელს მშვიდი ცხოვრება აღარ ჰქონია: აგებდა - აკრიტიკებდნენ, იგებდა - მაინც აკრიტიკებდნენ. ამას ემატებოდა **ტოტის** ყბადაღებული თემა, რომელზეც დონადონიმ რამდენიმე დღის წინათ თქვა, ამ შეკითხვას ნუღარ დამისვამთო. თბილისში გამარჯვების შემდეგ იმისთვის გააკრიტიკეს, **დელ პიერო** ტრიბუნაზე რატომ გაამწესეო. ერთი კვირის წინათ **ანჩელოტიმ** თქვა, 2011 წლიდან ნაკრებში მუშაობას ვისურვებდიო და ატყდა ერთი ამბავი, დონადონის თავზე ანჩელოტის აჩრდილი ტრიალებსო. ჰოდა, ახალგაზრდა მწვრთნელსაც ნერვებმა უმტყუნეს – ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მის წინამორბედებს. ორშაბათს, კოვერჩანოს საპრესკონფერენციო დარბაზში შესულმა პირდაპირ აგრესიულად დაიწყო. არადა, პირველი შეკითხვა სრულიად უწყინარი ჩანდა – შოტლანდია-საქართველოს შემდეგ, ჯგუფში არსებულ სიტუაციაზე რას ფიქრობთო. დონადონიმ ამ კითხვას იმდენად არაადეკვატური პათოსით უპასუხა, რომ პრესკონფერენცია ისე დასრულდა, თავად დღევანდელი თამაშიაღარავის უხსენებია: *"ძალიან მინდა, ისეთ სიტუაციაში მუშაობის საშუალება მოგვეცეს, რომ ყოველ დღე ტვინს არ გვიჭამდნენ. ყველაფერი მესმის, მესმის გაზეთების მოთხოვნილებები, რომ რაღაც სენსაციური დაწერონ. მაგრამ თუ კარგ ხასიათზე ვარ და ვიცინი, იმისთვის მაკრიტიკებენ, რატომ იცინისო. თუ მოწყენილი ვარ, ესე იგი, მოწყენილი ვარ... საბედნიეროდ, მთელი ეს აურზაური ჩემზე საერთოდ არ მოქმედებს: კარგად ვიცნობ ჩემს გუნდს, ჩემს გზას ვაგრძელებ და არავის ვაძლევ საშუალებას, რომ ჩემზე ზეგავლენა მოახდინოს. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ბევრს ძველი პოლემიკების ნოსტალგია გაუჩნდა და ყველაფერს აკეთებს, რომ ურთიერთობა ხელოვნურად დაძაბოს... ახლა ვიცი, ხვალ რასაც დაწერთ: დონადონი გაღიზიანებული და ნერვებაშლილი იყო. მსგავსი არაფერი: ჩემი ერთადერთი სანერვიულო ოთხშაბათის თამაშია. გუნდში მშვიდი ატმოსფეროა და ეს მეც მამშვიდებს. შეგიძლიათ, თქვათ ის, რაც გნებავთ, მაგრამ რეალობა სულ სხვაა. პოლემიკა გარედან მოდის, გუნდი შეკრული და ერთსულოვანია. ესეც დაწერეთ, მარტო იმას ნუ წერთ, რაც თქვენ გაწყობთ.*

"ორთქლის გამოშვება" მწვრთნელს ამით არ დაუსრულებია: *"თუკი ზრდილობიანად ვლაპარაკობ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკადრისი პასუხის გაცემა მეშინია. ოთხი თვეა არ გვითამაშია და ამ დროის განმავლობაში ყველა ჩუმად იყო, მაგრამ შეკრების შემდეგ ამ ბოლო კვირაში იმდენი ტყუილი დაიწერა, რომ მთელ ენციკლოპედიას შექმნი. ცოტა თუ არის ისეთი, თავის საქმეს პატიოსნად და კორექტულად რომ აკეთებდეს.*

მწვრთნელი. განსაკუთრებულად გაღიზიანია ანჩელოტის გამწვრთნელებასთან დაკავშირებულმა თემამ: *"მე "რეალის" მწვრთნელობას ვისურვებდი, ყველას საუკეთესო გვინდა, არა? ანჩელოტის ეროვნული ნაკრები უნდა, მაგრამ თქვა, რომ 2011 წლიდან და არა ახლავე, როგორც ყველა გაზეთი წერს... ნუ გვიწყობთ პროცესებს "თუ"-ზე, ნუ ამბობთ, თუ წავაგეთ, თუ ასე მოხდა, თუ, თუ, თუ... მოგვეცით საშუალება, რომ ვითამაშოთ! როცა შედეგები არ გვექნება, მაშინ რამდენიც გენებოთ, იმდენი გვაკრიტიკეთ. მიბაძეთ შოტლანდიურ პრესას, რომელიც თავის გუნდს მხარდაჭერას არ აკლებს."*

დასასრულს, გაეცანით იტალიისა და შოტლანდიის სავარაუდო შემადგენლობებს:

იტალია: ბუფონი, ოდო, მატერაცი, კანავარო, ძამბროტა, დე როსი, პირლო, კამორანეზი, პეროტა, დი ნატალე, ტონი.

შოტლანდია: გორდონი, ალექსანდერი, უეირი, პრესლი, ნეისმითი, ფერგიუსონი, ჰარტლი, ბრაუნი, ტილი, მაკალოხი, მილერი.

გოგა ახალაძე

მდგომარეობა დღევანდელი მატჩების წინ

A ჯგუფი

აზერბაიჯანი-შვედეთი
პოლონეთი-სომხეთი
სერბეთი-პორტუგალია

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პოლონეთი	6	4	1	1	11-5	13
2. შვედეთი	5	3	2	0	7-2	11
3. პორტუგალია	5	3	1	0	12-3	10
4. სერბეთი	5	3	1	1	7-3	10
5. ბელგია	6	2	1	3	4-6	7
6. ყაზახეთი	6	1	2	3	3-8	5
7. სომხეთი	4	0	1	3	0-5	1
8. აზერბაიჯანი	5	0	1	4	1-13	1

B ჯგუფი

უკრაინა-ლიგა
საქართველო-შვარერები
იტალია-შოტლანდია

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შოტლანდია	5	4	0	1	11-4	12
2. საფრანგეთი	5	4	0	1	12-2	12
3. უკრაინა	4	3	0	1	7-4	9
4. იტალია	4	2	1	1	7-5	7
5. ლიტვა	4	1	1	2	3-4	4
6. საქართველო	5	1	0	4	10-11	3
7. ფარერები	5	0	0	5	0-20	0

C ჯგუფი

თურქეთი-ნორვეგია
მალტა-საბერძნეთი
უნგრეთი-მოლდოვა

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. თურქეთი	4	4	0	0	12-1	12
2. საბერძნეთი	4	3	0	1	7-4	9
3. ბოსნია	5	2	1	2	10-12	7
4. ნორვეგია	4	2	0	2	7-4	6
5. მალტა	4	1	1	2	5-9	4
6. უნგრეთი	4	1	0	3	5-8	3
7. მოლდოვა	5	0	2	3	3-11	2

D ჯგუფი

უელსი-სან მარინო
ირლანდია-სლოვაკეთი
ჩეხეთი-კვიპროსი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ჩეხეთი	5	4	1	0	21-3	13
2. ჩეხეთი	5	3	1	1	14-4	10
3. ირლანდია	6	3	1	2	11-8	10
4. სლოვაკეთი	5	3	0	2	15-10	9
5. კვიპროსი	5	1	1	3	9-15	4
6. უელსი	4	1	0	3	5-9	3
7. სან მარინო	4	0	0	4	1-27	0

E ჯგუფი

ანგლია-ინგლისი
ისრაელი-ესტონეთი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ხორვატია	5	4	1	0	15-4	13
2. რუსეთი	5	3	2	0	7-1	11
3. ინგლისი	5	2	2	1	6-2	8
4. ისრაელი	5	2	2	1	9-6	8
5. მაკედონია	6	2	1	3	5-5	7
6. ესტონეთი	4	0	0	4	0-6	0
7. ანდორა	4	0	0	4	1-19	0

F ჯგუფი

ჩრ. ირლანდია-შვედეთი
ლიხტენშტაინი-ლატვია
შვაიცარია-ირლანდია

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შვედეთი	4	4	0	0	8-2	12
2. ჩრ. ირლანდია	5	3	1	1	8-6	10
3. დანია	4	2	1	1	7-2	7
4. შვაიცარია	4	2	0	2	8-6	6
5. ლატვია	3	1	0	2	4-2	3
6. ისლანდია	4	1	0	3	4-8	3
7. ლიხტენშტაინი	4	0	0	4	2-15	0

G ჯგუფი

რუმინეთი-ლუქსემბურგი
სლოვენია-პოლანდია
ბულგარეთი-ალბანეთი

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. პოლანდია	5	3	2	0	7-2	11
2. ბულგარეთი	4	2	2	0	7-3	8
3. რუმინეთი	4	2	2	0	7-3	8
4. ბელარუსი	5	2	1	2	9-11	7
5. სლოვენია	4	1	1	2	4-7	4
6. ალბანეთი	4	0	2	2	3-6	2
7. ლუქსემბ.	4	0	0	4	1-6	0

ინტერვიუ ჯენარო გატუზოსთან

იტალია თავისას კიდევ იტყვის

რინო შაბათს საქართველოს ძოძაგოგდა და ბოლო წუთზე გაშვებულმა გოლმა ნერვები მოუშალა

ჯენარო გატუზო ფაბიო კანავაროს ეხუმრება

"ჯენარო გატუზოს სქოთური გული აქვს, იმიტომ, რომ გლაზგოში თამაშობდა და შოტლანდიელებს კარგად იცნობს" – ამბობენ იტალიაში. ჯენარო გატუზო მართლაც თამაშობდა ორი წელიწადი გლაზგოს "რეინჯერსში" (1997-დამ 1999 წლამდე), თავისი იტალიელი ცოლი მონიკაც იქ გაიცნო, მაგრამ ამ ისტორიის მოსმენა, რომ "სქოთური გული" აქვს და იქაურებს კარგად იცნობს, უკვე მობეზრდა. "მილანისა" და "აძურის" ნახევარმცველი იტალია-შოტლანდიის დღევანდელ დაპირისპირებაზე მოკლედ ამბობს: "ისეთივე თამაში იქნება, როგორც "მილანი"-"სელტიკი" ("მილანმა" დამატებით დროში გატანილი გოლით 1:0 მოიგო). ისინი დაცვაში ჩაიკეტებიან და დაგველოდებიან. მაგრამ ფრანგებს ან ინგლისელებს, ისევ შოტლანდია ჯობია".

- ნახეთ შოტლანდია-საქართველოს თამაში?

- როცა ვიღაცას გოლი 90-ე წუთზე გააქვს, შენ კი ეს შედეგი არ გაწყობს, ცოტა ნერვები გეშლება... თუმცა, კარგად ვიცოდით, რომ შოტლანდიელებს მებრძოლი გუნდი ჰყავდათ.

- იღბალი ამჯერადაც დაგვაკლდა?

- იღბალი უფრო ლიტვასთან თამაშში გვაკლდა. დღესაც ძვირად გვიჯდება იმ თამაშში დაკარგული ორი ქულა, თუმცა ისიც მართალია, რომ იღბალი შენით უნდა ეძებო.

- ლიტვასთან დაკარგულ ქულებს დონადონი ისევ განიცდის?

- დონადონი იმას განიცდის, რომ შესარჩევი ეტაპი ცუდად დავიწყეთ. მაგრამ ჩვენს ადგილზე სხვა გუნდსაც იგივე დაემართებოდა. მსოფლიოს ჩემპიონობის შემდეგ ძალების კონცენტრირება ძნელი იყო.

- ლიპი რომ დარჩენილიყო, მაინც იგივე მოხდებოდა?

- ლიპისაც ჰქონდა მძიმე პერიოდები. და რომ დარჩენილიყო, ბევრი იტყოდა: "რა უნდა, ვინ აძალებს, რომ რჩება?"

- შოტლანდიასთან საქმე ცუდად რომ აგვეწყოს?

- არა, შეუძლებელია, ეს არ მოხდება. ჩვენც სწორედ ამისთვის ვემზადებით. კარგად ვიცით, რამხელა ბედნიერებაა მუნდიალზე თამაში და ახლა ევროპის ჩემპიონატზე თამაშიც გვინდა. მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვებით ამ გუნდს თავისი ციკლი არ დაუსრულებია, დღევანდელი ნაკრები თავის სიტყვას კიდევ იტყვის.

- საფრანგეთი შეუჩერებელია...

- ამასობაში ყურადღების მიღმა გრჩებათ უკრაინა, რომელსაც ფრანგებთან ჯერ არ უთამაშია. უკრაინელები მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხედფინალში გავიდნენ, ეს გუნდი თითქმის არასდროს აგებს.

- ზოგი ამბობს, რომ ხმები ანჩელოტის ნაკრებში მისვლაზე "მილანმა" სპეციალურად გაავრცელაო.

- ანჩელოტის "მილანთან" კონტრაქტი 2008 წლამდე აქვს. ის დონადონის თანაგუნდელი იყო და ჯერ ისე არ გაგიჟებულა, რომ ძველი მეგობრის წინააღმდეგ წავიდეს. ნაკრებში მუშაობა ყველას ოცნებაა, მაგრამ ეს მომავალში და არა ახლავე. გარდა ამისა, გალიანიმაც თქვა, რომ კარლო რჩება, ასე არ არის?

- იმ შემთხვევაშიც, თუკი ჩემპიონთა ლიგაში შედეგი არ ექნება?

- მე გალიანის მჯერა. მაგრამ ვიცე-პრეზიდენტი მე არა ვარ, ამდენი რომ ვიცოდე.

- ძოფი, ტრაპატონი, ლიპი. დონადონი თქვენი მეოთხე მწვრთნელია "სკუადრა აძურაში". ამ დღეებში პრესასთან დიდი პოლემიკა აქვს. ძველი ისტორიაა?

- რაც ნაკრებში ვთამაშობ, ერთ რამეს მივხვდი: არ არსებობს მწვრთნელი, რომელიც ყველას მოწონდეს.

- ამბობენ, რომ თქვენ, როგორც მსოფლიო ჩემპიონები, დონადონის ნაკლებად აფასებთ, სათანადო პატივისცემით არ ეპყრობით.

- სისულელეა. გახსოვთ, დონადონის ფეხბურთელობისას როგორ ეძახდნენ? "ოსსო" (ძვალი). იმიტომ, რომ არასდროს ნებდებოდა. იგივეა ახლაც, როცა მწვრთნელად მუშაობს. ის ტიპია, რომელიც მოვლენების ცენტრში დგას, პატივისცემას ითხოვს. აი, ეს არის სიმართლე, სხვა რას ამბობს, არ მაინტერესებს.

- ტოტის ნაკრებში დაბრუნება-არდაბრუნების ისტორია დამატებითი თავისტკივილი გახდა.

- ეს დონადონისა და ფედერკალჩოს პრობლემაა. მარტო ის ვიცი, რომ ყოველ სამ დღეში თამაშს ტოტი ვერ გაუძლებდა.

- ახლა დელ პიეროც პრობლემა გახდა...

- თუკი საქართველოში ტრიბუნაზე იჯდა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დონადონის მისი სათამაშო კონდიციები არ მოეწონა. მწვრთნელის არჩევანს პატივი უნდა ვცეთ. ორი დღის წინათ, ამხანაგური თამაშის დროს კი, ის პრობლემა მთლიანად ჟურნალისტების გამოგონილი იყო: დონადონი და დელ პიერო შეთანხმებულები იყვნენ, რომ ალექსი პირველი ტაიმის შემდეგ დაისვენებდა. გაზეთებმა კი დაწერეს, ისევ დაპირისპირება აქვთო.

- ამ დღეებში იტალიის ნაკრებთან ერთად ფედერკალჩოს ბედიც წყდება. ერთ კვირაში პრეზიდენტის არჩევნები ჩატარდება, საუბარია განახლებაზე, მაგრამ კანდიდატები ისევ ძველი სახეები არიან.

– აბეტე პატიოსანი ადამიანია, მატარეზე კი მთელი ცხოვრება ფეხბურთში მოღვაწეობს და თავისი საქმე მშვენივრად იცის.

გოგა ახალაძე

მოსალოდნელი გარიგება

არსენალიც ამერიკელთა ხელში?

მეთოფეების პოტენციური მეპატრონე კოლორადო რეპიდსს, დენვერ ნაგეტსსა და კოლორადო ეველანშს ფლობს...



ტიერი ანრი და არსენ ვენგერი

"გარდიანის" ცნობით, მორიგი ინგლისური კლუბი, რომელსაც ამერიკელები შეიძენენ, "არსენალია". "მეთოფეებით" მილიარდერი **სტენ კრენკე** დაინტერესდა. კრენკე "არსენალის" ერთ-ერთ უმთავრეს აქციონერს, ტელეკომპანია ITV-ს შეეხმიანა და ათპროცენტიანი წილის მიყიდვა შესთავაზა. ერთი თვით ადრე "კრენკე სპორტს ენთერფრაიზმა" ლონდონურ გრანდთან მარკეტინგის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. ხსენებული კორპორაციის დამფუძნებელი სტენ კრენკეა. საფეხბურთო, საკალათბურთო და ჰოკეის სახელგანთქმული კლუბები - "კოლორადო რეპიდსი", "დენვერ ნაგეტსი" და "კოლორადო ეველანში" სწორედ ამ ორგანიზაციას ეკუთვნის. ინფორმაციამ მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ, "არსენალის" ერთი აქციის ფასი რეკორდულ ნიშნულამდე, 6 500 გირვანქამდე აიყვანა. კლუბის საბირჟო ღირებულება 404 მილიონ გირვანქას შეადგენს, მაგრამ ანალიტიკოსთა აზრით, თუ "მეთოფეების" პერსპექტიულობასაც გავითვალისწინებთ, დაინტერესებულ მხარეს ამ კლუბის ხელში ჩასაგდებად სულ ცოტა 700 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს.

რეალი

კანავარო ნაპოლიში?

ფაბიო კანავარომ, შესაძლოა, სეზონის დასრულების შემდეგ მადრიდის "რეალი" დატოვოს. ეს ინფორმაცია "დიარიო მარკამ" გაავრცელა. ესპანური გაზეთის მტკიცებით, იტალიელი მცველი "ნაპოლის" გენერალურ დირექტორს, **პიერპაოლო მარინოს** შეხვდა და მშობლიურ კლუბში გადაბარგების შესაძლებლობაზე ჩამოუგდო სიტყვა. აღსანიშნავია, რომ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელმა სინიორ მარინოსთან შეხვედრის ფაქტი დაადასტურა და განაცხადა: *"ყველამ იცის, რომ კარიერის ბოლო პერიოდს "ნაპოლიში" გავატარებ. ამის შესახებ ჯერ კიდევ მაშინ განვაცხადე, როცა ნეაპოლიტანური გუნდი დავტოვე და "პარმაში" გადავბარგდი. პიერპაოლო მარინოს ვუთხარი, საამისო სურვილი არ დამიკარგავს მეთქი, მაგრამ არ დამიკონკრეტებია, როდის მოხდება ეს. სამეფო კლუბთან კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს. ამ ეტაპზე ვერაფერს მოგახსენებთ. თუ "რეალის" ხელმძღვანელობას ჩემი დატოვების სურვილი გაუჩნდება, "ნაპოლიში" წასვლას მომავლისთვის გადავდებ."*



ფაბიო კანავარო

ესპანელ ჟურნალისტებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ **რამონ კალდერონი** კანავაროსთან თანამშრომლობის გახანგრძლივებას აღარ ისურვებს და ფაბიო მშობლიური ნეაპოლისკენ აიღებს გეზს.

ჰამბურგი. პრობლემა

როდის დაბრუნდება სტევენსი?

ჰუუბი ამბობს, სანამ ჩემი ცოლი კომიდან არ გამოვა, ჰამბურგში არ ჩავალო...

ჰუუბ და ტოოს სტევენსები

წინა კვირაში გაცნობეთ, რომ "ჰამბურგის" თავკაცი **ჰუუბ სტევენსი** ჰოლანდიაში გაემგზავრა, რადგან მის მეუღლეს სასწრაფო ოპერაცია დასჭირდა. ჩრდილოგერმანული კლუბის ბოსებმა მწვრთნელი უპრობლემოდ გაათავისუფლეს, რადგან შაბათ-კვირას სანაკრებო თამაშები იყო, ვარჯიშის ჩატარება კი სტევენსის ასისტენტ **მარკუს შუპსაც** უპრობლემოდ შეეძლო. მაგრამ საქმე გართულდა. ოპერაციის შემდეგ ჰუუბის მეუღლე ხელოვნურ კომაშია. სტევენსი დღე და ღამე მასთანაა და სამსახურში დაბრუნებაზე არ ფიქრობს.

"იმედია, ჰამბურგელები გამიგებენ: სანამ ტოოსი კომაშია, აქედან ფეხსაც ვერ დავძრავ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ არ ვიცი, როდის შევძლებ ჰამბურგში ჩასვლას და მუშაობის გაგრძელებას," - უთქვამს სტევენსს ჩვენი გერმანელი კოლეგებისთვის. არადა, ბუნდესლიგის მომდევნო ტურიც მოახლოვდა. ამ უქმეებზე HSV "ვოლფსბურგს" მასპინძლობს და ალბათ შეხსენება არ სჭირდება იმას, რომ ჩრდილოელებისთვის ეს უმნიშვნელოვანესი მატჩია - "ჰამბურგი" ხომ ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ შეხვედრაში ჰამბურგელებს შუპი უთავკაცებს, რადგან სტევენსის გერმანიაში ჩასვლა უიქ-ენდამდე ფაქტობრივად 100 პროცენტით გამორიცხა.

"სტევენსს ტელეფონით ვესაუბრე. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, როდის შეძლებს ჰუუბი სამსახურში დაბრუნებას. შუპს მასთან კავშირი ყოველდღე აქვს და აბსოლუტურად ყველა დეტალს უთანხმებს," - ამბობს გუნდის სპორტული დირექტორი **დიტმარ ბაიერსდორფერი**. ჩვენი გერმანელი კოლეგები კი უკვე ალაპარაკდნენ იმაზე, რომ დიდი შანსია, სტევენსმა "ჰამბურგი" მეუღლის გამო საერთოდ დატოვოს, ზუსტად ისე, როგორც ეს 2005 წელს "კიოლნში" გააკეთა. ბაიერსდორფერი ასეთ რამეს ჯერჯერობით კატეგორიულად გამორიცხავს: *"ამაზე ერთი სიტყვაც არავის უთქვამს. ახლა მთავარია, რომ მისი მეუღლე მალე გამოჯანმრთელდეს."* აქვე გეტყვით, რომ ჰუუბი და ტოოსი 31 წელია, ერთად არიან.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ხულიო კრუსი მილანზე ფიქრობს

იტალიური პრესის ბოლო ცნობით, **ხულიო რიკარდო კრუსი** მზადაა, "ინტერი" "მილანში" გაცვალოს. არგენტინელ ფორვარდს კონტრაქტის ვადა 2008 წელს ეწურება, გაგრძელებაზე კი საუბარი ჯერ არც კი დაწყებულა, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მედიის ეჭვებს, რომ თავდამსხმელი მეორე მილანურ გუნდში გადაბარგებას ცდილობს. კრუსის უკმაყოფილების მთავარი მიზეზი იშვიათად თამაშია. სერია A-ში წელს მან მხოლოდ 10 შეხვედრა ჩაატარა (5 გოლი), არადა თითქმის ყოველთვის, როცა თამაშის საშუალება ეძლევა, მოედანს უკვალოდ არ ტოვებს და ხშირად გამარჯვების გოლებიც გააქვს. ამის გათვალისწინებით, 32 წლის არგენტინელს მიაჩნია, რომ ძირითად შემადგენლობაში უფრო ხშირად თამაშს იმსახურებს. მეორე მხრივ, "მილანის" ხელმძღვანელობა არ მალავს, რომ კრუსის სტილის ფორვარდს ეძებს, რაც, სავარაუდოდ, **ინძაგისა** და **ოლივეირას** დაბალი საგოლე შედეგიანობით არის გამოწვეული. ამგვარად, **პირლოს**, **ზეედორფისა** და **ფავალის** შემდეგ, კრუსი შეიძლება, კიდევ ერთი ინტერისტა გახდეს, რომელმაც "შავლურჯი" მაისურა პირდაპირ "შავ-წითელზე" გაცვალა.



ხულიო რიკარდო კრუსი

ესპანიოლმა დე ლა პენია შეინარჩუნა

ივან დე ლა პენიამ "ესპანიოლში" დარჩენა გადაწყვიტა. ბარსელონელთა პრეზიდენტ **სებასტიან ხავიერს** პირობა მისცა, რომ სეზონის დასრულებისთანავე ორწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს. ამ პრობლემის მოგვარების შემდეგ, "ესპანიოლმა" ახალგაზრდა მცველის, **დანიელ ხარკის** შენარჩუნებაზე დაიწყო ზრუნვა. ყმაწვილმა ესპანური გრანდების ყურადღება მიიპყრო. მისი შენარჩუნება მხოლოდ ახალი კონტრაქტითა და გაზრდილი ანაზღაურებითაა შესაძლებელი.

ბარსელონელთა კიდევ ერთი მცველი **სერხიო სანჩესი** "რეალში" დარჩენას აპირებს. ის ერთწლიანი იჯარით სამეფო კლუბის მეორე შემადგენლობაში ირიცხება. "ესპანიოლმა" კომპენსაციის სახით 1.5 მილიონი ევრო უკვე მიიღო. ფეხბურთელის გამოსყიდვის შემთხვევაში, მას კიდევ 2.5 მილიონის გადახდა მოუწევს. სერხიო სანჩესი ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია.

ლივერპულს სიმაო არ დავიწყნია

"ლივერპული" "ბენფიკასთან" მოლაპარაკებების განახლებას აპირებს. საუბარი ისევ **სიმაო საბროსას** ტრანსფერს შეეხება. ნახევარმცველი "ენფილდზე" გადასვლას აგვისტოში აპირებდა. შეთანხმება თითქმის მიღწეული იყო, მაგრამ ის ლისაბონელი გულშემატკივრების პროტესტმა ჩაშალა. სიმაო "მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურს. მანჩესტერში მის ტრანსფერს "მენიუს" პორტუგალიელი მწვრთნელი **კარლუშ კეირუში** ლობირებს.

ბოჟინოვი ბარსელონაში?

"ბარსელონა" "ფიორენტინის" თავდამსხმელ **ვალერი ბოჟინოვით** დაინტერესდა. ეს უკანასკნელი ერთწლიანი იჯარით "ბეტისში" ასპარეზობს. კატალონიური გაზეთების ცნობით, ბოჟინოვის ტრანსფერი იმ შემთხვევაში შედგება, თუ **ხავიერ სავიოლა** ჩემოდნებს ჩაალაგებს. ფლორენციელები ბულგარელ ფორვარდს 10 მილიონ ევროდ აფასებენ. "ბარსა" კი მზადაა, თანხის ერთი ნაწილის სანაცვლოდ "ფიორენტინას" ბრაზილიელი ნახევარმცველი **ტიაგო მოტა** შესთავაზოს.

რეკობა მესტოს ნაცვლად

"ინტერმა" რეჯინელ გარემარბ **ჯანდომენიკო მესტოს** დაადგა თვალი. "ნერაძური" კალაბრიელებს ურუგვაელ თავდამსხმელ **ალვარო რეკობას** შესთავაზებს. რეკობა მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია. საეჭვოა, "რეჯინა" მის ხელფასს გასწვდეს. "ინტერს" მესტოს ხელში ჩაგდება ისე ძალიან სურს, რომ თანახმაა, ალვაროს ხელფასი ნანილობრივ თვითონ დაფაროს. მესტო "ლაციოსაც" სურს. რომაელებმა "რეჯინას", ფულის გარდა, ახალგაზრდა ნახევარმცველ **პასკუალე ფოჯას** სატრანსფერო უფლებების 50 პროცენტი შესთავაზეს.

ნიუკასლი დაცვას გააძლიერებს

"ნიუკასლი" "მანჩესტერ იუნაიტედის" სათადარიგო მცველებით, **ვესლი ბრაუნითა** და **მიკაელ სილვესტრით** დაინტერესდა. ამ ინფორმაციას "სანდი მირორი" ავრცელებს, მაგრამ იქვე მიუთითებს, ზაფხულში მოსალოდნელია **გაბრიელ ჰაინცეს** აბარგება. ამიტომ საეჭვოა, ფერგიმ სხვა მცველებიც დათმოსო. ჯორდების სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. ისინი "ბენფიკის" მცველებს, **ნელსონსა** და **ლუიზაოს** აკვირდებიან და "შახტარის" მარცხენა მცველის, **რაზვან რატის** ხელში ჩაგდებაც სურთ.

სუასო: ინტერი თუ რომა?

დიდი ხანია, რაც **დავიდ სუასო** სატრანსფერო ისტორიების ერთ-ერთი მთავარი გმირია. სამშაბათს "კალიარის" ჰონდურასელმა თავდამსხმელმა ღიად განაცხადა, რომ სარდინიულ კლუბში გატარებული რვა სეზონის შემდეგ, ზაფხულში აბარგებას აპირებს და ის გუნდებიც დაასახელა, სადაც კარიერის გაგრძელებას ისურვებდა. *"ჩემი პირველი მიზანი ისაა, რომ "კალიარის" სერია A-ში დარჩენაში დავეხმარო, შემდეგ კი ვნახავთ, სატრანსფერო ბაზარი რა ვარიანტებს შემომთავაზებს – უთხრა სუასომ "გაძეტა დელო სპორტს" – "ინტერი" ულიდესი გუნდია, უამრავი ვარსკვლავი ჰყავს და ცხადია, რომ იქ თამაშს მეც ვისურვებდი. დიდი ბედნიერება იქნებოდა ზლატან იბრაჰიმოვიჩის გვერდით თამაში, შვედს ყველა ის თვისება აქვს, რაც მე მაკლია, ერთად ბრწყინვალე დუეტს შევქმნიდით. თუმცა "რომაც" დიდი გუნდია. ვინ არ ისუნვებდა ფრანჩესკო ტოტის გვერდით თამაშს?"*

სუასომ გაამხილა, რომ იანვარში "რეალის" წინადადებაზე უარი თქვა, რადგან "კალიარის" შუა გზაზე ვერ მიატოვებდა. პრიმერა დივიზიონიდან ჰონდურასელს "ვალენსია" და "სევილიაც" ეპატიჟებიან. ფორვარდი ესპანურ ვარიანტზე იმ შემთხვევაში იფიქრებს, თუკი იტალიურ გრანდებთან არაფერი გამოუვა. *"იტალიას ჩემს ქვეყანად ვთვლი. აქ თამაშით დიდ სიამოვნებას ვიღებ, ასე რომ პრიორიტეტი სერია A-ში დარჩენაა, მაგრამ ეს იტალიურ კლუბებზეც არის დამოკიდებული. თუ მათთან მოლაპარაკება არ გამოვიდა, მაშინ ესპანელებს დაველაპარაკები. ისინი ისევ მეპატიჟებიან და მეც არ შემიძლია, რომ სულ უარი ვთქვა"* – დასძინა 28 წლის თავდამსხმელმა.

ვან დერ ვაარტს ვილიარეალში უხმეს

"ვილიარეალი" მომავალი სეზონისთვის ხმაურიანი ტრანსფერის გაჩარხვას გეგმავს. "ყვითლების" პრესსამსახური გვამცნობს, რომ პრეზიდენტი **ფრანსისკო როიგი რაფაელ ვან დერ ვაარტის** შეძენაზე ოცნებობს. ესპანელთა ემისარი **ხოან ლიანესა** ჰოლანდიელი ნახევარმცველის აგენტებს შეხვდა და კონკრეტული წინადადებით მიმართა. ვან დერ ვაარტის მენეჯერებმა პირენეელს ურჩიეს, დაუყოვნებლივ "ჰამბურგის" ხელმძღვანელობას შეეხმიანოს. სენიორ ლიანესა გერმანული კლუბის მესვეურებს კვირის ბოლოს ესტუმრება.

ამასობაში, პრეზიდენტმა როიგმა მიმომხილველებს აუწყა, რომ ჩილელი მწვრთნელი **მანუელ პელეგრინი** მომავალ სეზონსაც "ელ მადრიგალზე" გაატარებს. შედარებით უფერული სეზონის მიუხედავად, პელეგრინი ხელისუფალთა ნდობით სარგებლობს. იმასაც შეგახსენებთ, რომ მწვრთნელის კატეგორიული მოთხოვნით "ბოკა ხუნიორსში" გაანათხოვრეს გასულ სეზონში კლუბის ერთ-ერთი ლიდერი **ხუან რომან რიკელმე**.

იკითხე ტონუსი, იყავი ტონუსში...

ინტერვიუ კევინ კურანისთან

ღმერთს უნდა, რომ გოლები გავიტანო

როგორ ლოცულობენ შალკელები ყოველი თამაშის წინ...

კევინ კურანი მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანეს - იურგენ კლინსმანმა მას დავიდ ოდონკორი ამჯობინა, რომელიც მეტ-ნაკლებად გამოიყენა კიდეც. მაგრამ ამ სეზონში კურანიმ მოუმატა და გოლების გატანაც დაიწყო, რის გამოც კლინსმანის შემცვლელმა იოახიმ ლიოვმა ის მაშინვე დააბრუნა ბუნდესგუნდში. დააბრუნა და არც ინანა - თუნდაც იმიტომ, რომ კევინმა გასულ უქმეებზე ჩეხეთს დუბლი შეუსრულა (2:1 ბუნდესლიგაკრების სასარგებლოდ). "შალკეს" 25 წლის ფორვარდი დღესაც მოირგებს გერმანიის პირველი გუნდის მაისურას (დანიასთან ამხანაგურ მატჩში) და იმის გამო, რომ ლიოვი მეორე შემადგენლობას ათამაშებს, კაპიტანიც იქნება. არადა, "შალკეს" მწვრთნელი მირკო სლომკა იოგისგან კევინის კლუბში დაბრუნებას ითხოვდა, რადგან გელზენკირხენელებს შაბათს "ბაიერნთან" უწევთ შებმა. გთავაზობთ ინტერვიუს კურანისთან, რომელიც გუშინ "ბილდმა" გამოაქვეყნა.

- ჰერ კურანი, ჩეხეთთან მატჩის შემდეგ გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იოახიმ ლიოვმა 8 ძირითადი ფეხბურთელი კლუბში დააბრუნა. "ბაიერნის", "ვერდერისა" და "ლევერკუზენის" მოთამაშეები დანიასთან ამხანაგურ მატჩში არ იასპარეზებენ. თქვენ კი, მიუხედავად იმისა, რომ შაბათს "შალკეს" "ბაიერნთან" უმნიშვნელოვანესი თამაში ელის, იოგიმ მაინც ნაკრებში დაგტოვათ. ამის გამო მირკო სლომკამ და ლიოვმა დიდხანს იკამათეს. სლომკა ნაწყენია იმის გამო, რომ იოახიმი თქვენს გარდა ყველა წამყვან ფეხბურთელს ასვენებს. მოკლედ, მწვრთნელები თქვენს გამო ჩხუბობენ და საინტერესოა, რას გრძნობს ამ დროს თვითონ ფეხბურთელი.

- რაღა დაგიმალოთ და, ეს ჩემთვის დიდად საამაყო რამ არის. ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე მწვრთნელი მაფასებს, რომ ლიოვს, და სლომკას ჩემი იმედი აქვთ. ეს კი მონდომებას მიათმაგებს და პირდაპირ მიმანიშნებს, რომ არ უნდა შევჩერდე და თავდაუზოგავად ვიშრომო.

- დანიასთან თამაშს ელფერი დაუკარგა იმ ფაქტმა, რომ გერმანიის ნაკრები მეორე შემადგენლობით ითამაშებს. თანაც, შეხვედრა ამხანაგურია. ისე, გინდათ კი დანიასთან თამაში?

. - რატომ არ უნდა მინდოდეს?

- თუნდაც იმიტომ, რომ შაბათს "შალკეს" მიუნხენში გაცილებით მნიშვნელოვანი ჯახი ელის...

- პირდაპირ გეტყვით: დანიასთან მატჩს პირადად მე უფრო დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ და იცით რატომ? იმიტომ, რომ მომდევნო მატჩია, თანაც, გამოცდილებას შევიძენ. ბუნდესგუნდში თამაშს ისე ვიყავი მონატრებული, რომ თითოეული მატჩის მოახლოვება ისე მიხარია, თითქოს გერმანიის ნაკრების დებიუტანტი ვიყო.

- მაგრამ "ბაიერნთან" შეხვედრამდე სულ რაღაც სამი დღე რჩება და ვერ დავიჯერებთ, რომ დანიასთან მატჩზე უფრო მეტს ფიქრობთ...

- ჩემთვის ოთხშაბათის მატჩი გაცილებით მნიშვნელოვანია, რადგან ის მომდევნოა. ოთხშაბათის შემდეგ კი მთლიანად "ბაიერნზე" გადავერთვები.

- ვინ გახდება გერმანიის ჩემპიონი?

- იმედია, ჩვენ!

- და ამისთვის რას აკეთებთ?

- ყველა ვარჯიშზე 100 პროცენტით ვიხარჯები. თავდაუზოგავად ვიბრძვი იმისთვის, რომ მომდევნო მატჩებში ყველაფერი გავაკეთო მოსაგებად და რაც შეიძლება მეტი გოლი გავიტანო. "შალკე" ნამდვილად იმსახურებს გერმანიის ჩემპიონობას და მჯერა, რომ "ვერცხლის სინს" დავისაკუთრებთ. გელზენკირხენული პუბლიკისთვის ეს მართლაც უდიდესი საჩუქარი იქნება - რაც არ უნდა იყოს, "შალკემ" გერმანიის ჩემპიონობა ბოლოს ფაქტობრივად, ნახევარი საუკუნის წინ მოიპოვა. გარდა ამისა, რეგულარულად ვლოცულობ...

- ღმერთს გერმანიის ჩემპიონობას სთხოვთ?

- დიახ, ამასაც. ისე კი, პირველ რიგში, ყოველთვის ჩემი და ჩემი ახლობლების ჯანმრთელობას ვითხოვ, რადგან მიმაჩნია, რომ ყველაფერზე წინ ჯანმრთელობა დგას. მაგრამ ღმერთთან საფეხბურთო თხოვნებიც ხშირად მაქვს ხოლმე. მაგალითად, ვთხოვდი, რომ გერმანიის ნაკრებში დავებრუნებინე. ახლა კი "ვერცხლის სინსაც" ვთხოვ.

- როგორ ლოცულობთ ხოლმე?

- როცა მატჩის წინ ვხურდებით, მამაო ჩვენოს ვიურჩულებ ხოლმე და ამასთან ერთად, ღმერთს პირად საკითხებშიც ვთხოვ ხოლმე დახმარებას. სხვათა შორის, შალკელები გუნდურადაც ვლოცულობთ ხოლმე. აქამდე ეს არავინ იცოდა და ჩემი აზრით, საჭიროა, რომ ყველამ იცოდეს. ჩვენ ყველანი ერთად ვლოცულობთ.

- მთელი გუნდი?

- ჰო, თითქმის მთელი გუნდი. მაგალითად, მატჩის წინ, სანამ სტადიონისკენ ავიღებთ გეზს, რომელიმე ოთახში ვიკრიბებით და ლოცვას ვიწყებთ. ეს უმეტესად, ჩვენი კაპიტნის, მარსელო ბორდონის ოთახში ხდება. სხვათა შორის, ის დიდი მორწმუნეა. ბორდონი ეკლესიურად ცხოვრობს და ყოველდღე ლოცულობს. ერთი სიტყვით, ზუსტად ისე, როგორც ყველა ბრაზილიელი. ჰოდა, ოთახში პირველად მამაო ჩვენოს ვამბობთ, მერე კი თითოეული ჩვენგანი პერსონალურად ლოცულობს - ყოველი თამაშის წინ ყველამ თავისი სიტყვა უნდა წარმოთქვას.

- თუ შეიძლება, გვითხარით, რომელი ფეხბურთელები იკრიბებიან ბორდონის ოთახში სალოცავად?

- ყველა ბრაზილიელი - ბორდონი, ლინკოლნი და რაფინია. მათთან ერთად მეც. ხანდახან ურუგვაელები, დარიო როდრიგესი და გუსტავო ვარელაც შემოგვიერთდებიან ხოლმე. ხშირად ყოფილა შემთხვევები, როცა მათ ახალგაზრდა ფეხბურთელებიც მოუყვანიათ. ვლოცულობთ, რომ კარგი ფეხბურთი ვაჩვენოთ და გერმანიის ჩემპიონები გავხდეთ.

- უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან კარგ სეზონს ატარებთ. წელს სულ იცინით და სახე გიბრწყინავთ, 2006 წელს კი საშინლად იყავით, რაც საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ იასპარეზეთ...

- ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის განაცხადში ვერ მოვხვდი, ჩემთვის უდიდესი დარტყმა იყო და ამ დარტყმამ გამოცდილება შემძინა. ბევრ რამეს მივხვდი და ბევრი რამ ვისწავლე. ლოცვის გარდა, ძალიან დამეხმარა ჩემი ოჯახი და რეგულარული საუბრები ჩემს მრჩევლებთან. რას ვიზამ, ღმერთს უნდოდა, რომ მუნდიალზე არ მეასპარეზა. ახლა კი უნდა, რომ გოლები გავიტანო და გამაქვს კიდეც, რის გამოც უბედნიერესი ფეხბურთელი ვარ.

- ერთ დღესაც, ღმერთს, შესაძლოა, ისიც მოუნდეს, რომ გერმანია დატოვოთ და ევროპის სხვა რომელიმე კლუბში ითამაშოთ...

- არ ვიცი. ფაქტი ის არის, რომ მეც მაქვს სურვილი, ბუნდესლიგის მიღმაც ვცადო ბედი. ევროპის რომელიმე გრანდში თამაშზე ხომ ნებისმიერი ფეხბურთელი ოცნებობს.

გოტფრიდ ლენცი

კევინ კურანი პეტრ ჩეხის კარში გატანილ გოლს ზეიმობს

კანდიდატი

ბოატენგი: თუ გერმანიას არ ვჭირდები, განაში წავალ!

"ჰერტას" ნახევარმცველი კევინ პრინს ბოატენგი წარმოშობით განელია, მაგრამ გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს და ერთ-ერთი პერსპექტიული ფეხბურთელის სახელი აქვს. ბერლინულ კლუბში მასთან ერთად მისი ძმა, ჯერომ ბოატენგიც ირიცხება. ეს უკანასკნელი მარჯვენა მცველია და ისევე, როგორც კევინი, ამ ბოლო დროს "ჰერტას" სასტარტო შემადგენლობაში საკმაოდ ხშირად ხვდება.

თუმცა კევინს თავისი ნამდვილი სამშობლოც არ დავიწყებია. აი, რა უთხრა ბოატენგმა "კიკერს": *"თუ გერმანიის ეროვნულ ნაკრებში საჭირო არ ვარ, მაშინ ეს ახლავე უნდა მითხრან. განიდან არაერთხელ დამირეკეს და მითხრეს, რომ ძალიან სურთ, განის ნაკრებში ვითამაშო. უარზე არც მე ვარ, ოღონდ პირველ ადგილზე მაინც გერმანიის ნაკრებს ვაყენებ. განის ნაკრების მაისურას კი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოვირგებ, თუ მეტყვიან, რომ ბუნდესგუნდში საჭირო არ ვარ."* ერთი სიტყვით, კევინ პრინს ბოატენგი განელებს უარს არ ეუბნება, თუმცა ხაზს უსვამს, რომ მისი მიზანი ჯერომთან ერთად გერმანიის ნაკრებში თამაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტივ მაკლარენის პრესკონფერენცია

ინგლისი vs ანდორა

მაკლარენს მხოლოდ სამი ქულა გადაარჩენს

ევროპის ჩემპიონატის მიღმა დარჩენა ინგლისელებს 100 მილიონი დაუჯდებათ...

ანდორასთან მატჩის შემდეგ **სტივ მაკლარენს** საფეხბურთო ასოციაციაში დაიბარებენ. თუ დღეს ინგლისი კიდევ გაანიავებს ქულებს, მწვრთნელს დათხოვნა არ ასცდება. მაკლარენს **სერ ალექს ფერგიუსონიც** დაესხა თავს. "იუნაიტედის" ბოსი არ დაუშვებს, რომ ნაკრების უსახური თამაში **უეინ რუნის** დაბრალდეს.

კითხვაზე, რა მოხდება, ინგლისმა ანდორასთან ფრედ რომ ითამაშოს, ასოციაციის ერთ-ერთმა მოხელემ უპასუხა: *"არა მგონია, ის (მაკლარენი) ამას გადაურჩეს. საზოგადოება დაჟინებით მოითხოვს მის გადაყენებას, ასოციაცია კი ამ ზეწოლას ვერ გაუძლებს."* იმავე კითხვით მაკლარენსაც მიმართეს - გადადგებით თუ არა, ანდორას რომ ვერ მოუგოთო. ინგლისის მწვრთნელმა მიუგო: *"ამაზე არცკი ვფიქრობ. ჩემთვის საკითხი ასე საერთოდ არ დგას."*

მისტერ სტივმა რუნისთან დაპირისპირებაც კატეგორიულად უარყო: *"მე და უეინს საუკეთესო ურთიერთობა გვაქვს, რაც კი შეიძლება მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის არსებობდეს. მნიშვნელობა არ აქვს, რა მოხდა ისრაელთან თამაშის შემდეგ. ის, რაც გასახდელში ითქვა, გასახდელშივე დარჩება."*

მოგეხსენებათ, ინგლისელთა მოუგებელი სერია ხუთ მატჩს მოიცავს. ამ ხნის განმავლობაში გუნდმა მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა. ესაა ინგლისის ყველაზე ცუდი მაჩვენებელი ბოლო 26 წლის განმავლობაში. პირველი რვა თამაშის შემდეგ, ასეთი სავალალო სტატისტიკა ინგლისის ნაკრების არცერთ მწვრთნელს არ ჰქონია. ბრიტანელები ანდორას ბარსელონაში ესტუმრებიან. მაკლარენი სამ ფეხბურთელს შეცვლის. თადარიგში გადაინაცვლებენ **ენდი ჯონსონი**, **ჯეიმი კარაგერი** და **ფილ ნევილი**. მათ ნაცვლად ძირითადში ვიხილავთ ახალგაზრდებს - **ჯერმენ დეფოს**, **ეშლი კოულსა** და **მიკა რიჩარდსს**. "სანს" თუ დავუჯერებთ, სტივი რუნისა და **ფრენკ ლემპარდსაც** სიამოვნებით ამოაგდებდა, მაგრამ ამ ფეხბურთელთა შემცვლელები არ ჰყავს.

"სანის" გამოთვლით, თუ ნაკრები ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩება, ასოციაცია 100 მილიონი გირვანქით იზარალებს. ინგლისში ეროვნული გუნდის მიმართ ინტერესის კლება შეინიშნება. ასე მაგალითად, ესპანეთთან ამხანაგური მატჩისას "ოლდ ტრეფორდზე" ბილეთების 25 პროცენტი არ გაიყიდა. "უემბლიზე" პირველი ამხანაგური მატჩისას ასოციაცია სალაროებში მხოლოდ 71 200 ბილეთს გაყიდის. 90-ათასიან არენაზე დანარჩენი ადგილები სპონსორებზე, ორგანიზაციებსა და უცხოელ სტუმრებზე გადანაწილდება. შესარჩევი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, ივნისამდე, ინგლისი შინ ხუთ ამხანაგურს გამართავს. თუ ინტერესმა არ მოიმატა, გაუყიდავი ბილეთებით მიყენებული ზარალი 18 მილიონს გადააჭარბებს, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე გასვლა ასოციაციას სპონსორებისა და ტელეკომპანიებისგან 140 მილიონ გირვანქას მოუტანს. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ინგლისის ნაკრებისთვის თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს და უკვე თითოეული ქულის განაივებაც კი მაკლარენს სასიკვდილო დარტყმას აყენებს.

დღეს ინგლისელები, სავარაუდოდ, ასეთი შემადგენლობით ითამაშებენ: *რობინსონი, რიჩარდსი, ფერდინანდი, ტერი, ეშლი კოული, ჯერარდი, ჰარგრივსი, ლემპარდი, დაუნინგი, რუნი, დეფო.*

სერბეთი vs პორტუგალია

კლემენტეს ბოლო შანსი?

ყაზახეთში სენსაციური მარცხი იმას ნიშნავს, რომ დღეს სერბეთმა პორტუგალიას აუცილებლად უნდა მოუგოს. შაბათ საღამოს სერბებს დისკვალიფიცირებული **დეიან სტანკოვიჩი** აკლდათ. ამიტომ კაპიტნობა "მანჩესტერ იუნაიტედის" ცენტრალურმა მცველმა **ნემანია ვიდიჩმა** იკისრა. ვიდიჩი დარწმუნებულია, რომ მისი გუნდის უკანა ხაზს მრისხანე პორტუგალიელ თავდამსხმელებთან გამკლავება შეუძლია. ვიდიჩი გახსნილ თამაშს წინასწარმეტყველებს, რადგან ქულები სტუმრებსაც სჭირდებათ.

სტანკოვიჩმა სასჯელი მოიხადა და ძირითადში ბრუნდება. მაგრამ ვერ ითამაშებს წამყვანი თავდამსხმელი **ნიკოლა ჟიგიჩი**. ის ალმატის მატჩის მიწურულს გააძევეს. სერბეთის თავკაც **ხავიერ კლემენტეს** სხვა საკადრო პრობლემა არ აქვს.

მისი ვიზავი, **ლუიშ ფელიპე სკოლარი** იმავე შემადგენლობას გამოიყვანს, რომელმაც შაბათს ბელგია დაამარცხა. ბრაზილიელი მწვრთნელი არ მალავს, რომ ბელგრადში სამი ქულისთვის ჩავიდა: *"გამარჯვება ჯგუფიდან გასვლას გაგვიადვილებს. ამ წუთში ჩვენი ჯგუფის საუკეთესო ნაკრებად პოლონეთი მიმაჩნია."*

მეტოქეთა სავარაუდო შემადგენლობები ასეთია: **სერბეთი**: სტოიკოვიჩი, მარკოვიჩი, კრსტაიჩი, ვიდიჩი, დრაგუტინოვიჩი, კოვაჩევიჩი, სტანკოვიჩი, კორომანი, კრასიჩი, ლაზოვიჩი, პანტელიჩი; **პორტუგალია**: რიკარდო, მიგელი, რიკარდო კარვალიო, ჟორჟე ანდრადე, პაულუ ფერეირა, პეტიტი, ტიაგო, მოურინიო, კვარეშმა, კრისტიანო რონალდო, ნუნუ გომეში.



ლუიშ ფელიპე სკოლარი და კრისტიანო რონალდო

ინტერვიუ ეიდურ გუდიონსენთან

ნაკრებში თამაშის ენთუზიაზმი არ გამნელებია

ბარსელონელმა ფორვარდმა სადებიუტო სანაკრებო შეხვედრაში საკუთარი მამა შეცვალა...

ესპანეთის ნაკრები მორიგი საკვალიფიკაციო მატჩისთვის ემზადება. მოგეხსენებათ, ლუის არაგონესის შეგირდებმა მრავალი ქულა გაფლანგეს და ახლა ბენვის ხიდზე სიარული უწევთ. წინა ტურში მათ დანიას რთული მატჩი მოუგეს. მოსალოდნელია, რომ ისლანდიის ეროვნულ გუნდთან გასამართი შეხვედრა შედარებით იოლი იქნება, თუმცა პირენეელები მიიჩნევენ, რომ გუდიონსენსა და მის მეგობრებს უსიამოვნო სიურპრიზის შეთავაზების უნარი შესწევთ. ისლანდიელებს ესპანეთი პალმა დე მალიორკაზე უმასპინძლებს. ჩრდილოელები ჩუმად და მონდომებულად ემზადებოდნენ. ისინი მთელ იმედებს "ბარსელონის" ფორვარდზე ამყარებენ. მთავარ მწვრთნელ სვერისონს სჯერა, რომ გუდიონსენს გოლის გატანის შესაძლებლობა მიეცემა. მთავარია, მისმა შეგირდებმა დაცვაში უშეცდომოდ იასპარეზონ.

- ეიდურ, თქვენს ცხოვრებაში ესპანეთი დიდი დოზით შემოიჭრა. პრემიერა დივიზიონში გადმობარგების შემდეგ ჩვენი ქვეყანა და ფეხბურთი საკმაოდ კარგად გაიცანით. როგორ ფიქრობთ, შეგიძლიათ, "სელექსიონის" დამარცხება?

- ჩვენ სტუმრად ვთამაშობთ. ამასთან, ისლანდიის მოწინააღმდეგე, ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ნაკრები იქნება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, შემიძლია მოგახსენოთ, რომ ფავორიტები არ ვართ. ესპანეთს გამარჯვების მეტი შანსი აქვს, თუმცა განწირულები არც ჩვენ ვართ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

- ისლანდიის ნაკრები როგორ ფორმაშია?

- საქმე ის არის, რომ ჩვენი გუნდის ძირითადი ბირთვი შვედეთისა და ნორვეგიის ჩემპიონატებში ასპარეზობს. იქ კი სეზონი ჯერაც არ დაწყებულა. ამიტომ, ფეხბურთელები სასურველ ფიზიკურ კონდიციაში არ იმყოფებიან. სამწუხაროა, მაგრამ რეალობას ხელოვნურად ვერავინ შეცვლის. მკაცრი კლიმატური პირობების გამო, სკანდინავიაში ზამთარში ფეხბურთის თამაში შეუძლებელია. ყველა პრობლემის მიუხედავად, არსებული რესურსები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ და შევეცადოთ, რომ არ წავაგოთ.

- დანიისა და ესპანეთის შეხვედრა ხომ არ გინახავთ?

- რა თქმა უნდა. ძალიან საინტერესო და დაძაბული მატჩი იყო. "სანტიაგო ბერნაბეუმ" გასაოცარი შთაბეჭდილება დატოვა. სტადიონი ბოლომდე შეივსო და საკუთარ გუნდს გულმხურვალედ უქომაგა. ჩემი თანაგუნდელები ამ სანახაობას გაფართოებული თვალებით ადევნებდნენ თვალ-ყურს. ბევრი მათგანისთვის ასეთი საფეხბურთო ატმოსფერო ზღაპრულ სამყაროს ჰგავს, რადგან რეალურად მათ ის არ განუცდიათ. დანიას არ გაუმართლა. ისინი საათზე მეტ ხანს 10 კაცით თამაშობდნენ. ჩემი აზრით, არბიტრს დანიელი რომ არ გაეგდო, სულ სხვაგვარ თამაშს ვიხილავდით. მთლიანობაში კი მიმაჩნია, რომ ესპანეთმა სრულიად სამართლიანად გაიმარჯვა.

- "სელექსიონმა" მრავალი ქულა გაფლანგა. ახლა მისთვის ყოველი მატჩი ფინალის ტოლფასია. კიდევ ერთი წაფორხილება შესაძლოა, საკმარისი გახდეს იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატს გამოვემშვიდობოთ. როგორ გგონიათ, მასპინძელთა რთული მდგომარეობა, რომელიც ფსიქოლოგიურ წნეხთანაა დაკავშირებული, თქვენს წისქვილზე ასხამს წყალს?

- ფსიქოლოგიური წნეხი არც ჩვენ გვაკლია. ვიმეორებ, სტუმარ ისლანდიასთან ბრძოლაში ესპანეთს მეტი შანსი აქვს. ძნელია წინასწარ საუბარი. ყველაფერი უშუალოდ თამაშზე გამოჩნდება. ისე კი, თუ ესპანელები ბევრს ინერვიულებენ, გარკვეული კოზირები გაგვიჩნდება. მინდა ვისურვო, რომ ღირსეულად ვიასპარეზებთ.

- კონტრშეტევებზე ითამაშებთ?

- ზოგადად, ტაქტიკური მონახაზების გამოაშკარავება ბრიყვული საქციელია, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა დამალვას არანაირი აზრი არ აქვს. ისლანდია საკუთარ თავს უფლებას ვერ მისცემს, რომ შეტევაში დიდი ძალებით წავიდეს. რა თქმა უნდა, უფრო რაციონალური იქნება, თუ თამაშს კონტრშეტევებზე ავაგებთ. ესპანეთს სამი ქულა ჰაერივით სჭირდება. ამიტომ, ისინი აუცილებლად შემოგვიტევენ. ვალდებულები ვართ, დაცვაში მაქსიმალური ყურადღებით ვიასპარეზოთ.

- სავარაუდოა, რომ მოედანზე თანაკლუბელებს შეხვდებით. ბარსელონელებისგან როგორ თამაშს ელით?

- იმედია, არავინ მიწყენს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ესპანეთის საუკეთესო ფეხბურთელები სწორედ ბარსელონელები არიან. მხოლოდ ინიესტა რად ღირს. ჩემი აზრით, ანდრესი ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი ნახევარმცველია. მას ბრაზილიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაშიც კი დააყენებდნენ. მის გარდა, "სელექსიონს" ჩავი და პუიოლიც უდიდეს დახმარებას უწევენ. მათ წინააღმდეგ თამაში დიდი სიამოვნება იქნება. ჩვენს მწვრთნელს შეხედულებები გავუზიარე და ინფორმაციებიც მივაწოდე.

- ფიქრობთ, რომ ეს ინფორმაციები სვერისონისთვის სასარგებლო იქნება?

- ინფორმაცია არასოდესაა ზედმეტი. რაც უფრო ინფორმირებული ხარ, მოქმედებისთვის მეტი არჩევანი გაქვს. არ ვამბობ, რომ ჩემს მიერ მიწოდებული ინფორმაცია სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ესპანელ ფეხბურთელებს საკმაოდ კარგად ვიცნობ, განსაკუთრებით კი ბარსელონელებს.

- მოკლედ პრემიერა დივიზიონზეც ვისაუბროთ. თქვენი კლუბის საჩემპიონო შანსებს როგორ აფასებთ?

- წინ უაღრესად დაძაბული 11 ტური გველის. "სევილია" პოზიციებს არ თმობს. გამორიცხული არ არის, "ვალენსიამ" და "რეალმაც" მოუმატონ, თუმცა პირადად მე ჩემპიონობისთვის ბრძოლაში უპირველეს კონკურენტად ანდალუსიელებს მივიჩნევ. ყველაფერი "ბარსელონაზეა" დამოკიდებული. ჩვენ შეგვიძლია, ჩემპიონები გავხდეთ. ამისათვის საჭიროა, შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვამჟღავნოთ. მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ. გვჯერა, რომ სეზონის ბოლოს პრიმერა დივიზიონში გამარჯვებით გავიხარებთ და დაუვიწყარ ზეიმს მოვაწყობთ.



ეიდურ გუდიონსენი

- ამასწინათ, ჩიკი ბეგირისტაინმა და ხოან ლაპორტამ განაცხადეს, ესპანეთის სამეფო თასის გათამაშებას ისე ვეკიდებით, როგორც ჩემპიონთა ლიგასო. ეს ტურნირი თქვენთვის მართლაც ამდენად მნიშვნელოვანია?

- ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნის შემდეგ, ესპანეთის სამეფო თასმა ორმაგი ფასი შეიძინა. მოგეხსენებათ, "სარაგოსასთან" პაექრობაში სერიოზულ პრობლემებს გადავეყარეთ. პირველი თამაში წავაგეთ და გამოვარდნის საფრთხის წინაშე დავდექით... მაგრამ საპასუხო ორთაბრძოლა ჩვენთვის სასარგებლო ანგარიშით დავასრულეთ. ახლა ნახევარფინალისტები ვართ. არ მესმის, რატომ არ უნდა მოვინდომოთ და თასი ბარსელონაში არ ჩავიტანოთ? დუბლი მიმდინარე სეზონს საოცრად გაგვიალამაზებს. მოკლედ, პრიმერა დივიზიონსა და ესპანეთის სამეფო თასზე გამარჯვება ჩვენი ამოცანაა.

- "ენფილდზე" გოლი გაიტანეთ, მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი. ძალიან დაგწყდათ გული?

- განა ეს საკითხავია?! ორი დღე საჭმელსაც კი ვერ ვჭამდი. დეპრესიამ შემიპყრო, მაგრამ მივხვდი, რომ სევდით მოწამვლა სიკეთეს არ მომიტანდა. ჩემს გუნდს სეზონი არ დაუსრულებია. ამიტომ, ძალა მოვიკრიბე და მუშაობის ხალისი დავიბრუნე. სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით ერთადერთი გამონაკლისი არ გახლდით. უკლებლივ ყველა შოკირებული და წელში გატეხილი იყო, მაგრამ დარდისთვის ერთ დღეზე მეტი არ მოგვეცა. იცით, რომ კვირის ბოლოს სუპერკლასიკო გვქონდა ჩასატარებელი.

- ის თამაში ლეო მესის ბენეფისად იქცა. რას ფიქრობდით, როცა მის თამაშს ადევნებდით თვალს?

- მიხაროდა, რომ მესი ჩემი თანაგუნდელია, რომ ყველა ერთად დიადი კლუბის, "ბარსელონის" კეთილდღეობაზე ვზრუნავთ. ლეომ მართლაც ფანტასტიკური შეხვედრა ჩაატარა. "რეალის" კარში სამი გოლის გატანა ურთულესი საქმეა.

- გუდი, ოთხშაბათის შეხვედრას დავუბრუნდეთ, როგორ გგონიათ, არაგონესმა ძირითად შეადგენლობაში ფერნანდო ტორესის ნაცვლად კვლავ ფერნანდო მორიენტესი უნდა დააყენოს?

- მორიენტესმა გოლი გაიტანა. ასე რომ, მას ყველა უფლება აქვს იმისთვის, რათა კვლავ ძირითად შემადგენლობაში თამაშის იმედი იქონიოს. სხვას ვერაფერს მოგახსენებთ, არაგონესის საქმეები მე არ მეხება.

- ჩვენი გაზეთის მკითხველს, უცნაურ სანაკრებო დებიუტზე ხომ არ მოახსენებთ?

- (იცინის) სიამოვნებით. დებიუტი 1996 წელს მქონდა. უცნაურობა კი იმაში მდგომარეობს, რომ მაშინ მამაჩემის ნაცვლად შევედი მოედანზე. მახსოვს, ესტონეთთან ვთამაშობდით. საოცარი გრძნობა დამეუფლა. ბედნიერი ვიყავი, რომ ეროვნული გუნდის მაისურა მეცვა და მამაჩემის საქმე გავაგრძელე. მას შემდეგ 11 წელი გავიდა. თითქოს მთელმა ცხოვრებამ ჩაიარა, მაგრამ ნაკრებში თამაშის ენთუზიაზმი ოდნავადაც არ გამნელებია.

ილია ნიკოლაიშვილი

ესპანეთი vs ისლანდია

არაგონესი გაძლიერებული დაცვით

გუდიონსენმა მალიორკა კარგად დასცადა

დღეს მალიორკაში ესპანეთი ისლანდიას ეთამაშება. შაბათს, დანიასთან გამარჯვებით, ლუის არაგონესის შეგირდებმა მეოთხე ადგილზე აინაცვლეს. თუ ისინი ისლანდიელებსაც დაამარცხებენ, კიდევ ერთი საფეხურით წაიწევენ წინ.

მასპინძლების თავდასხმას ისევ დავიდ ვილია და ფერნანდო მორიენტესი გაუძღვებიან. ძირითადში ბრუნდებიან ცენტრალური მცველები, სერხიო რამოსი და კარლეს პუიოლი, რომელთაც დანიასთან მატჩი დისკვალიფიკაციების გამო გაუცდათ. შაბათს არაგონესი ნახევარმცველებით იყო უკმაყოფილო. მან ანდრეს ინიესტა და ჩაბი ალონსო გააკრიტიკა, ცენტრში ბურთს ვერ აკონტროლებდნენო. არაა გამორიცხული, ძირითადში ვიხილოთ ფრანსესკ ფაბრეგასი.

ესპანეთი და ისლანდია შარშან აგვისტოში, რეიკიავიკში შეხვდნენ ერთმანეთს. ის შეხვედრა უგოლოდ დასრულდა. სტუმრებს მწყობრში ჰყავთ უმთავრესი ვარსკვლავი, ეიდურ გუდიონსენი. ბარსელონელ თავდამსხმელს მალიორკაში თამაში კარგად აქვს დაცდილი. ნოემბერში, პრიმერა დივიზიონის კალენდარული მატჩისას (1:4) მან დუბლი შეასრულა.

ესპანელთა სავარაუდო შემადგენლობა: *კასილიასი, რამოსი, პუიოლი, მარჩენა, კაპდევილა, ინიესტა (ან ფაბრეგასი), ალბელდა, ჩავი, დავიდ სილვა, ვილია, მორიენტესი.*

თურქეთი vs ნორვეგია

შინ, ერთვნული ბიბლიოთეკა გერმანიაში

იმპერატორი მორიგ სამ ქულას უმიზნებს...

ათენში საარაკო გამარჯვების შემდეგ თურქები ნორვეგიელთა მასპინძლობისთვის ემზადებიან. მაგრამ მასპინძლობა პირობითია: **ფათიჰ თერიმის** შეგირდები საშინაო მატჩს ნეიტრალურ სტადიონზე, ფრანკფურტში ჩაატარებენ. გერმანიაში მილიონობით თურქი ცხოვრობს. ისინი თვალის დახამხამებაში შეავსებდნენ "ვალდშტადიონის" ტრიბუნებს ფიფას კიდევ ერთი სანქცია რომ არა: თურქეთი ვალდებულია, ნეიტრალურ სტადიონებზე უმაყურებლოდ ითამაშოს. ასეთია შეიცარიასთან სამუნდიალო ფლეი ოფისას მომხდარი ამაზრზენი ინციდენტების შედეგი.

იმ ამბებში აქტიური მონაწილეობისთვის **ემრე ბელოზოღლუს** ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. სასჯელი ამოიწურა და "ნიუკასლის" ნახევარმცველი მინდორზე გასასვლელად მზადაა. თერიმი ამბობს, რომ ნორვეგიასთან დაპირისპირება საბერძნეთზე ადვილი არ იქნება. ის შემადგენლობასა და ტაქტიკაში უმნიშვნელო ცვლილებებს შეიტანს და მორიგი სამი ქულის მოპოვებას შეეცდება, მიუხედავად იმისა, რომ ჩრდილოევროპის ნაკრებებთან თურქეთის უფერული სტატისტიკა აქვთ.

ნორვეგიელებს წამყვანი ნახევარმცველი **მორტენ გამსტ პედერსენი** არ ეყოლებათ. ბოსნიასთან შაბათის მატჩში მან მორიგი გაფრთხილება მიიღო და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. მის ადგილს ვოლერენგელი **კრისტიან გრინდჰაიმი** დაიკავებს. თავდასხმაში **ფროდე ოლსენს სტეფან ივერსენი** შეცვლის. **ოლე გუნარ სოლსკიაერის** ტრავმის გამო, ნორვეგიელთა შეტევებს სიმწვავე აკლია. ასტონვილელი **ჯონ კარუ** უთვალავ მომენტს ანიავებს.

სავარაუდო შემადგენლობები: ***თურქეთი***: ვოლქანი, იბრაჰიმი, ემრე ასიქი, ვოლქან იამანი, სერვეთ ჩეთინი, მეჰმეთი, ემრე, საბირი, თუმერ მეთინი, თუნჯაი, ჰაქან შუქური; **ნორვეგია**: მირე, ჰაგენი, ჰანგელანდი, სტორბეკი, რიისე, ანდრესენი, ჰესტადი, სტრიომსტადი, გრინდჰაიმი, კარუ, ივერსენი.

დოკუმენტური ფილმი

მარადონა ეკრანზე ბრუნდება

პარასკევიდან იტალიის ასამდე კინოთეატრში, მაისში კანის კინოფესტივალზეც....

პარასკევს, იტალიის ასამდე კინოთეატრში რეჟისორ **მარკო რიზის** დოკუმენტური ფილმის ჩვენება დაიწყება. ფილმს სახელად *"მარადონა, ღმერთის ხელი"* ჰქვია და ლეგენდარული არგენტინელის აღმასვლასა და დაცემას ეძღვნება. ფილმში დეტალურადაა გაშუქებული ნაკოტიკებთან დაკავშირებული პრობლემები. აი, რეჟისორის კომენტარი: *"უდავოა, რომ ის კოკაინს იღებდა, მაგრამ ის არ ყოფილა რომელიმე მთავრობის წევრი. მას სხვებისთვის არაფერი დაუშავებია. დიეგო გენიოსი იყო, რომელიც მთელი ცხოვრება საკუთარ თავს ზიანს აყენებდა."*

რიზი 1986 წლის მუნდიალზე, ინგლისელთა კარში გატანილ გახმაურებულ გოლს ასე აღწერს: *"ეს ხელოვანის ჟესტი გახლდათ."* იტალიის შემდეგ დაგეგმილია ფილმის ჩვენება კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, რომელიც მაისში გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიო ბასლერი და მირკო სლომკა

მწვრთნელი

ბასლერი: პრაქტიკაზე სლომკასთან

მარიო შაბათს, ბაიერნთან მატჩშიც მირკოს გვერდით იქნება...

მარიო ბასლერი "შალკეშია", ოღონდ არა როგორც ფეხბურთელი ან მწვრთნელი, არამედ როგორც პრაქტიკანტი. გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო გერმანელი მოთამაშე და 1996 წლის ევროპის ჩემპიონი გელსენკირხენულ კლუბში ერთ კვირას გაატარებს. როგორც იცით, სუპერმარიო მწვრთნელის კურსებს გადის და უნდა, რომ მომავალში სახელოვანი სპეციალისტი გახდეს. ახლა მას პრაქტიკის დრო დაუდგა და ბევრი არც უფიქრია, მაშინვე "შალკეში" წასვლა გადაწყვიტა.

"ვფიქრობ, რომ ჩემთვის საუკეთესო პრაქტიკა მირკო სლომკას გვერდით ყოფნა იქნება. ძალიან მინდოდა, რომ მენახა, თუ როგორ მუშაობს ეს მწვრთნელი და მიხარია, რომ "შალკეს" ხელმძღვანელებმა ამის საშუალება მომცეს," - განუცხადა ბასლერმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. უკვე 3 დღეა, რაც 38 წლის ბასლერი **სლომკას** გვერდითაა და ეს უკანასკნელი მოსწავლის მონდომებით კმაყოფილია. *"მარიო ბასლერი იმ თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია. მე მას დიდად ვაფასებ. შაბათს, "ბაიერნთან" შეხვედრაში ის ჩემ გვერდით იქნება,"* - აცხადებს სლომკა და იქვე ხუმრობით ამატებს, - *"ბავარიელებს ნუ შეეშინდებათ, ჯარიმის დასარტყმელად მოედანზე არ შევიყვან."* აქვე გეტყვით, რომ პრაქტიკის მეორე კვირას ბასლერი რეგიონალლიგური "ჰოფენჰაიმის" მწვრთნელ, **რალფ რანგნიკთან** გაატარებს. შეგახსენებთ, რომ რანგნიკი "შალკეს" ექსთავკაცია. როცა "პროფესორი რალფი" **ლევან კობიაშვილის** გუნდის დამრიგებელი იყო, სლომკა მისი ასისტენტი გახლდათ.

ბაიერნი

ლელი: პოლიციელმა საფულე მოპარა

ისმაელს შალკესთან თამაში შეუძლია...

კრისტიან ლელი

"შალკესთან" უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ "ბაიერნში" დიდი ამბებია. ახალგაზრდა მცველი **კრისტიან ლელი** სკანდალშია გახვეული, **კლაუდიო პიზარო** ახალი კონტრაქტისთვის იბრძვის, **ვალერიან ისმაელი** კი ძირითად გუნდში დასაბრუნებლად ემზადება.

ლელით დავიწყოთ. 22 წლის მცველი 25 თებერვალს პოლიციამ დააკავა. ის ღამე ლელმა დისკოთეკაზე გაატარა. დილის 5 საათზე კი მას მეგობარმა გოგონამ წამოსაყვანად მიაკითხა. როგორც გაირკვა, წყვილმა იჩხუბა, რასაც ის მოჰყვა, რომ ლელმა გერლფრენდს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მოწმეები ამბობენ, რომ კრისტიანმა მას მუცელში მუშტი ჩაარტყა. თვითმხილველებმა მაშინვე პოლიცია გამოიძახეს. საქმის განხილვა დღემდე მიმდინარეობს, თუმცა "ბაიერნის" ფეხბურთელს სასჯელი არ ემუქრება, რადგან დაზარალებულმა მისი გათავისუფლება მოითხოვა, არანაირი პრეტენზია არ მაქვსო. ლელმა კი ერთ-ერთ უკანასკნელ ჩვენებაში თქვა, რომ ერთ-ერთმა პოლიციელმა მას საფულე მოპარა. ამ საქმეზე კი ახალი გამოძიება დაიწყო. თუ ეჭვმიტანილ პოლიციელს დანაშაული დაუმტკიცდა, მისი საქმე ცუდად იქნება, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, მაშინ ლელს უკვე იმაზე მოუწევს თავის მართლება, რომ პოლიციელს ქურდობა დააბრალა.

ამასობაში, კრისტიანმა კვირას რეგიონალლიგაში, "ბაიერნის" მოყვარულთა გუნდში ითამაშა და "როიტლინგენს" გოლიც კი გაუტანა (შეხვედრა მიუნხენელთა გამარჯვებით, 3:0 დასრულდა). ამავე მატჩში იასპარეზეს **მიხაელ რენზინგმა, ანდრეას გიორლიტცმა** (ამ უკანასკნელმა ორი საგოლე პასი მიითვალა), **ანდრეას ოტლმა** და ვალერიან ისმაელმა, რომელიც ხანგრძლივი იძულებითი პაუზის შემდეგ, ფორმის აღდგენას მოყვარულთა გუნდში ცდილობს. ფრანგმა მცველმა მოყვარულებში ზედიზედ მეოთხე შეხვედრა ჩაატარა და როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, მზადაა, ძირითად გუნდში დაბრუნდეს.

"აგერ უკვე ერთი თვეა, რაც სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ფორმა უკვე აღვიდგინე. ვფიქრობ, მზად ვარ, რომ "შალკესთან" ძირითად შემადგენლობაში ვითამაშო და მოედანზე 90 წუთი დავყო," - უთხრა ისმაელმა "ბილდს". ფრანგმა რეკორდმაისტერის ძირითად გუნდში უკანასკნელად ბუნდესლიგის შარშანდელი სეზონის ბოლო ტურში იასპარეზა, მერე კი ოპერაცია გაიკეთა. ისმაელი "ბაიერნს" აგვისტოში დაუბრუნდა, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ვარჯიშზე ისევ დაშავდა და კვლავ საოპერაციო გახდა.

ბარსელონა. მოსალოდნელი ტრანსფერი

რობენი ეჭვს მილიონად?

ჩელსი ჰოლანდიელ გარემარბს 23 მილიონად აფასებს, მაგრამ კატალონიელებს ფიფას რეგლამენტი უმაგრებს ზურგს...

"ბარსელონა" **არიენ რობენით** სერიოზულად დაინტერესდა. კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობამ ლონდონელი კოლეგები უმალ საქმის კურსში ჩააყენეს. მათ "ჩელსის" მესვეურებს შეატყობინეს, რომ ჰოლანდიელი ნახევარმცველის ხელში ჩასაგდებად შეუპოვარი ბრძოლის დაწყებას აპირებენ. აღსანიშნავია, რომ "არისტოკრატებმა" თავიანთი ვარსკვლავი 23 მილიონ ევროდ შეაფასეს. ეს დიდი თანხაა და წესით, "ბარსასთვის" ხელი უნდა შეეშალოს, მაგრამ კატალონიურ გიგანტს ფიფას რეგლამენტი უმაგრებს ზურგს. ამ რეგლამენტის მე-17 პუნქტის თანახმად, ფეხბურთელს, რომელსაც კლუბთან კონტრაქტი ორ წელიწადში ეწურება, უფლება ეძლევა საკუთარი ხელშეკრულება იმ თანხად გამოისყიდოს, რომელიც მას ამ ორი წლის განმავლობაში ხელფასის სახით უნდა მიეღო. რობენის წლიური გასამრჯელო სამ მილიონ ევროს შეადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ "ბარსელონას" მის გადასაბირებლად სულ რაღაც ექვსი მილიონის გადახდა მოუწევს. მიხვდებოდით, ჰოლანდიელი "ჩელსისთან" კონტრაქტით 2009 წლამდეა დაკავშირებული. ლონდონელები ესპანური გრანდის დაინტერესებით, რა თქმა უნდა, გახარებული ვერ დარჩებოდნენ. ისინი იმასაც ითვალისწინებენ, რომ შოტლანდიელმა **ენდი ვებსტერმა** ყბადაღებული მე-17 მუხლი მისი ინტერესების დასაცავად ჩინებულად გამოიყენა და "ჰართსიდან" "უიგანში" უპრობლემოდ გადაბარგდა. ცხადია, "ჩელსის" გავლენა და ავტორიტეტი გაცილებით დიდია, მაგრამ კანონი ყველასთვის თანასწორია. "არისტოკრატებს" ისღა დარჩენიათ, უშუალოდ ფეხბურთელს მოელაპარაკონ და ხელფასის გაზრდის საკითხზე დარჩენაზე დაითანხმონ. არაოფიციალური ინფორმაციით რობენს "სტემფორდ ბრიჯზე" დარჩენა აღარ სურს და კარიერის "ბარსელონაში" გაგრძელებაზე ოცნებობს.

ამასობაში, კატალონიური გიგანტის გენერალურმა დირექტორმა **ხავიერ სავიოლას** კონტრაქტზე ჩამოაგდო სიტყვა. აი, რა განაცხადა მან: *"მსურს, მთელი სერიოზულობით მოგახსენოთ, რომ "ბაჭიას" საკითხზე გულმოდგინედ ვმუშაობთ. მან დაამტკიცა, რომ დიდი ფორვარდია. არგენტინელმა შრომისა და თავდადების ფასად გასაოცარ პროგრესს მიაღწია. ხავიერს შეუძლია, მშვიდად იყოს, რადგან სეზონის დასრულებამდე ან მისი დასრულებიდან რამდენიმე დღეში, ახალ კონტრაქტს შევთავაზებთ. წინასწარ შემიძლია მოგახსენოთ, რომ ეს ღირსეული ხელშეკრულება იქნება."*

იმ შემთხვევაში, თუ ბარსელონელთა წინადადება მეტისმეტად დიდ ხანს გაჯანჯღლდება, ან მისი პირობები სავიოლას არ დააკმაყოფილებს, ფორვარდს საშუალება ექნება, "იუვენტუსის" შეთავაზება განიხილოს. "ტუტო სპორტის" ინფორმაციით, "ბებერი ქალბატონი" არგენტინელს ოთხწლიან თანამშრომლობას სთავაზობს. იტალიური გაზეთი იმასაც იხსენებს, რომ **დიდიე დეშამსი** და "ბაჭიას" "მონაკოში" შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდათ.

არიენ რობენი რუმინეთთან შაბათის მატჩისას

სიმეონე ბრუნდება?

დიეგო სიმეონე, შეიძლება, "ატლეტიკოში" დაბრუნდეს. მადრიდელთა მთავარი მწვრთნელის, **ხავიერ აგირეს** კონტრაქტი ივნისში იწურება. ესპანელი მიმომხილველების მტკიცებით, მხარეებს თანამშრომლობის გაგრძელება სურთ, მაგრამ თუ მექსიკელი სპეციალისტი მოულოდნელად თავს შეიკავებს, დირექტორებს სურთ, რომ სათადარიგო კანდიდატები შეგულებული ჰყავდეთ.

სიმეონემ სამწვრთნელო მოღვაწეობა გასულ ზაფხულს დაიწყო. მან "ესტუდიანტესი" ჩაიბარა და სადებიუტო სეზონშივე აპერტურა მოაგებინა. შედეგი სენსაციად მოინათლა. მან დიეგოს ავტორიტეტი თვალსა და ხელშუა აამაღლა. სიმეონეს ესპანეთში დაბრუნებას ერთმა გარემოებამ შეიძლება შეუშალოს ხელი. პრიმერა დივიზიონში სამუშაოდ, მწვრთნელს მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება ესაჭიროება, მაგრამ არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც.

დღეს რომარიომ, შეიძლება, რეკორდი გაიმეოროს

"ვასკო და გამა" დიდი ამბისთვის ემზადება. **რომარიოს** სანუკვარი მიზნისაგან ხელის გასაწვდენი მანძილიღა აშორებს. გასულ უქმეებზე "ვასკო" "ფლამენგოს" შეხვდა და 3:0 დაამარცხა. მატჩი რომარიოს საყვარელ "მარაკანაზე" შედგა. 79-ე წუთზე 41 წლის თავდამსხმელმა მესამე გოლი შეაგდო. რვა წუთში მას კიდევ ერთის ბურთის გატანა მართებდა და 1 000 გოლიც შესრულებული იქნებოდა, მაგრამ ზეიმი გადაიდო. დღეს მშობლიურ "სან ჟანუარიოზე" "ვასკო და გამა" "ამერიკანოს" უმასპინძლებს. მთელი ყურადღება რომარიოსკენ იქნება მიპყრობილი.

მოსალოდნელი ტრანსფერი

ჟილბერტო სილვას ქალბატონთან უნდა

ტურინელები პალადინოს კონტრაქტს გაუგრძელებენ

ჟილბერტო სილვა აღიარებს, რომ მისი ცდუნება ძალიან ადვილი იქნება, თუკი წინადადებას "ბებერი ქალბატონი" შესთავაზებს. "იუვენტუსი" რომ შემადგენლობის გაძლიერებაზე უკვე მუშაობს, სიახლე არაა. ცოტა ხნის წინ პრესაში დაიწერა, რომ ტურინულ კლუბს ნახევარდაცვის გასაძლიერებლად თვალი **ჟილბერტო სილვაზე** დაედგა. გუშინ ბრაზილიელ "მეთოფეს" "კორიერე დელო სპორტი" დაუკავშირდა და ამ ტრანსფერის შესახებ მისი აზრი მოისმინა. აი, რა უთხრა ბრაზილიელმა იტალიურ გამოცემას: *"ძალიან მომწონს "იუვენტუსი", ეს არის დიდი კლუბი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, რომ დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს ძველ სიმაღლეებს და მომავალ სეზონშივე მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწიოს. გარდა ამისა, ის ემერსონის ყოფილი გუნდია. ჩემთვის ისიც მნიშვნელოვანია, რომ იტალიის ჩემპიონატში ძალიან ბევრი ჩემი თანამემამულე გამოდის".*

ეს სურვილებს რაც შეეხება, რეალობა კი სხვაა. სამხრეთამერიკელმა იცის, რომ **არსენ ვენგერს** მისი გაშვება არ უნდა და, რომ მისი მომავალი "არსენალის" ნებაზეა დამოკიდებული. *"მე "არსენალის" საჭუთრება ვარ, კონტრაქტი ლონდონელებთან 2009 წლამდე მაქვს გაფორმებული. ჩემი ტრანსფერის თაობაზე ბოლო სიტყვა კლუბმა უნდა თქვას"* – განაცხადა ჟილბერტომ.

მიუხედავად ამისა, ფიფას ახალი ნორმატივის წყალობით, სეზონის ბოლოს ბრაზილიელმა შეიძლება, გათავისუფლების ნებართვა სულ რაღაც 3 მილიონ ევროდ მიიღოს. ფეხბურთელის აგენტი **პაულო ვილანა** არ გამორიცხავს მისი კლიენტის იტალიაში გადაბარგების შესაძლებლობას, თუმცა არც იმის ხაზგასმა ავიწყდება, რომ ჟილბერტო "არსენალის" კუთვნილებაა. *"ის "არსენალში" თავს მშვენივრად გრძნობს, ამასთან, კონტრაქტით კიდევ ორი წელიწადი რჩება. ასეთია დღევანდელი სიტუაცია, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება, მოხდეს და ფეხბურთიც ცხოვრების ნაწილია"* - თქვა აგენტმა.

ამასობაში, "იუვენტუსი" **რაფაელე პალადინოსთვის** ახალი კონტრაქტის გასაგრძელებლად ემზადება. 22 წლის ფორვარდი ამ სეზონში ისე კარგად თამაშობს, რომ უკვე იტალიური ფეხბურთის მომავალს უწოდებენ და გასაკვირი არაა, რომ მასში კლუბიც მომავალ ლიდერს ხედავს. პალადინოზე მოთხოვნა ძალიან დიდია, მაგრამ ტურინელი დირექტორები მუდამ იმეორებენ, რომ ის ხელშეუხებელია. ამის დასტურად, "იუვეს" მისთვის ახალ კონტრაქტს ამზადებს. პირობები აგენტთან უკვე შეთანხმებულია. იტალიური პრესის ვარაუდით, ახალი ხელშეკრულება 2012 წლამდე გაფორმდება და პალადინო სეზონში 2 მილიონ ევროს მიიღებს, რაც ოთხჯერ აღემატება მის ამჟამინდელ ანაზღაურებას.



ჟილბერტო სილვა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

ახალგაზრდული ნაკრებები

დანიისკენ ხუთდღიანი შეკრების ამარა

6 აპრილს დანიაში იწყება მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ჩვენი ქვეჯგუფის თამაშები. ჩვენი ახალგაზრდები მასპინძლების გარდა, უკრაინელებსა და ლიტველებს შეეცილებიან მსოფლიო ჩემპიონატის საგზურს. ამისათვის, ჯგუფში, მინიმუმ, მეორე ადგილის დაკავება გვმართებს, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა.

როგორც იცით, ევროპის ხელბურთის ფედერაციის თავდაპირველი გადაწყვეტილებით, ტურნირი საქართველოში უნდა გამართულიყო, მაგრამ უფულობის გამო, მასპინძლობაზე უარი ვთქვით. შესაბამისად, მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოპოვების საქმე გაცილებით გავირთულეთ, რადგან, როგორც წესი, ჩვენი ნაკრები გუნდები გასვლით მატჩებში თითქმის ყოველთვის აგებენ. ამას ემატება ის პრობლემაც, რომ ახალგაზრდული ნაკრები ესოდენ მნიშვნელოვანი ტურნირისთვის მზადებას მხოლოდ 1 აპრილს შეუდგება და დანიაში ხუთდღიანი შეკრების ამარა ჩავა. გვესაუბრება ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ირაკლი კიკელიძე.**

- 29-30 მარტს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრის მატჩები გაიმართება. 31 მარტს ხელბურთელებს დავასვენებთ და მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის სამზადისს 1 აპრილს დავიწყებთ. სავარაუდოდ, თბილისში, ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ვივარჯიშებთ. საკვალიფიკაციო ეტაპი 6 აპრილს იწყება. შესაბამისად, ხუთდღიანი შეკრებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

- ერთ საკონტროლო მატჩს მაინც არ გამართავთ?

- სავარაუდოდ, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე უფროს ხელბურთელებს ვეთამაშებით. უცხოელებთან სათამაშოდ არც დრო გვაქვს და არც ფული.

- მეტოქეებზე რას იტყვით?

- დანია გამოკვეთილი ფავორიტია. გარდა იმისა, რომ მასპინძელია, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორია. უკრაინაზე ინფორმაცია კი იქაურ ჩემპიონატში მოთამაშე საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებმა – ვლადიმერ რუსიამ და მამია კობახიძემ მოგვაწოდეს. მათი თქმით, უკრაინელებსაც საკმაოდ ძლიერი ახალგაზრდები ჰყავთ. რაც შეეხება ლიტვას, ამ გუნდზე ბევრი არაფერი ვიცი. თუმცა, იქაური ხელბურთის სკოლა ყოველთვის ნორმალური იყო და წესით, არც მათ უნდა ჰყავდეთ ურიგო გუნდი.

როგორც იცით, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბოლოს შარშან, თბილისში ითამაშა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე. მაშინ, კვიპროსს მოვუგეთ, პოლონეთსა და რუმინეთთან კი წავაგეთ. უკრაინასა და განსაკუთრებით, დანიას, პოლონელებზეც და რუმინელებზეც ძლიერი გუნდები ჰყავთ. თუმცა, არც ჩვენ ვიქნებით დაბალი ღობე, გვყავს ხელბურთელები, რომლებმაც იანვარში ეროვნულ ნაკრებში მიიღეს გამოცდილება და ვნახოთ...

- საკვალიფიკაციო ეტაპი თბილისში რომ გამართულიყო, მაშინ რა შანსი გექნებოდა?

- მასპინძლის ფაქტორი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი უპირატესობაა, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ თბილისში თამაშით აუცილებლად გავიდოდით მსოფლიო ჩემპიონატზე.

- დაბოლოს, თქვენს კლუბზეც ვთქვათ. სტუ-"შევარდენმა" მოახერხა "თელავთან" გაერთიანების ოფიციალური მხარის მოგვარება?

- თელაველებთან აბსოლუტურად ყველაფერი მოგვარებულია და გაერთიანების პრობლემა არ არსებობს. მოსაგვარებელია მხოლოდ იურიდიული დოკუმენტაცია და ამასაც მალე მივაწვდით ხელბურთის ასოციაციას. გვინდა, ეს 29 მარტამდე, ანუ ეროვნული ჩემპიონატის მესამე წრემდე მოვასწროთ.

კობა ხატისაშვილი

ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რატი მსხვილიძე

რეზო ჭანტურია

ინტერვიუ რეზო ჭანტურიასთან

რა ღირს ქართველი გარემაროზი?

სანაკრებო ბატალიების შემდეგ, საქართველოს ნაკრების გარემარი რეზო ჭანტურია თავის მაკედონიურ კლუბს დაუბრუნდა და მთლიანად "მეტალურგზე" გადაერთო. სამწუხაროდ, წლეულს რეზოს აშკარად არ უმართლებს – საქართველოს ნაკრებმაც ვერ ივარგა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე და ახლახან მისმა კლუბმა ფაქტობრივად, დაკარგა მაკედონიის ჩემპიონობის შანსი. გთავაზობთ რეზო ჭანტურიასთან ინტერვიუს.

- რეზო, საქართველოს ნაკრებით დავიწყოთ. საკვალიფიკაციო ეტაპის ჩაგდების მიზეზებზე ბევრი მოსაზრება გამოითქვა. შენი აზრით, რა იყო მარცხის მიზეზი?

- უპირველეს ყოვლისა, შეუთამაშებლობა. როდესაც გუნდი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპამდე ერთ საკონტროლო მატჩსაც ვერ ჩაატარებს, რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს, მაინც გაუჭირდება. ჩვენ კი არც ვარსკვლავებით გადაჭედილი ნაკრები გვყავს და თანაც, სამი წამყვანი ხელბურთელი გვაკლდა – ტიტე კალანდაძე, სერგო დათუკიშვილი და გარი თურქია. ასეთ ვითარებაში, იმ გუნდებთან დამარცხება, რომლებსაც ჩვენზე გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ და არც საკადრო პრობლემები აწუხებდათ, ნამდვილად არ იყო დიდი მოულოდნელობა.

- საკუთარ თამაშზე რას იტყვი და თანაგუნდელებიდან ვის გამოარჩევ?

- პირველ ორ მატჩში კარგად ვითამაშე, მერე კი ცოტა გადავიღალე და შედარებით მოვუკელი. რაც შეეხება საქართველოს ნაკრების დანარჩენ წევრებს, აუგს ვერავისზე ვიტყვი. გუნდის თითოეულ წევრს ძალიან უნდოდა, რომ ნაკრებს წარმატებით ეთამაშა და თავი არავის დაუზოგავს.

- სერგეი კირილოვი ალბათ ცალკე თემაა. ქართველი სპეციალისტების ნაწილის აზრით, მისი ჩამოყვანა შეცდომა იყო, ხოლო მეორე ნაწილი ამ ნაბიჯს ამართლებს. შენი პოზიცია როგორია?

- ძლიერი ხაზის მოთამაშე ნამდვილად გვჭირდებოდა და ვერ ვიტყვი, რომ კირილოვის ჩამოყვანა შეცდომა იყო. ბუნებრივია, როცა ნაკრებში უცხოელი ჩამოგყავს, გულშემატკივარი მისგან ბრწყინვალე თამაშს ელის. მთლიანობაში, სერგეიმ ბოლომდე მაინც ვერ აჩვენა ის, რასაც მისგან ელოდნენ და რაც შეუძლია, მაგრამ ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. ამაში მთავარი დამნაშავე ზომითნახსენები შეუთამაშებლობა იყო. კირილოვი საქართველოს ნაკრების ხელბურთელებს ხეირიანად არ იცნობდა, არ იცოდა, ვის რა შეეძლო და თავიდან ძალიან გაუჭირდა. ბოლო მატჩებში კი აუღო ალღო გუნდს და შედარებით კარგად ათამაშდა. მე მაკედონიაში მინახავს მისი თამაში და უფრო მეტი შეუძლია. თუკი საქართველოს ნაკრებში მომავალშიც დაუძახებენ, წესით, უკეთესად უნდა ათამაშდეს...

- კირილოვს ხშირად ხვდები ხოლმე?

- ქალაქი ბოგდანცი სკოპიედან შორს არის და ძირითადად, მაშინ ვხვდები, როდესაც ჩვენი გუნდები უპირისპირდებიან ერთმანეთს. ისე, კირილოვის "მლადოსტს" ბოლო ორი წელიწადია, სისტემატურად ვამარცხებთ.

- მაგრამ, ვეღარ უგებთ თქვენს ძირითად კონკურენტ "ვარდარს"...

- სამწუხაროდ, რამდენიმე დღის წინათ, ვარდართან საკმაოდ პრინციპული მატჩი წავაგეთ და ჩემპიონობის შანსი, პრაქტიკულად, დავკარგეთ. ამ სეზონში, "ვარდარმა" უკვე მესამედ დაგვამარცხა, 6 ქულით გვისწრებს და ნარმოუდგენელია, რომ დარჩენილ თამაშებში, სამჯერ დამარცხდეს. სამწუხაროდ, ჩემპიონთა ლიგასაც ნაადრევად გამოვეთხოვეთ. ამ სეზონში ერთადერთ იმედად ისღა გვრჩება, რომ მაკედონიის თასი გვაქვს წინ და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ უტიტულოდ არ დავრჩეთ.

ისე, "ვარდართან" წაგების შემდეგ, გუნდში დიდი საკადრო წმენდა დაიწყეს და ერთბაშად 4 წამყვანი ხელბურთელი გაუშვეს. ამის მიზეზი მხოლოდ ბოლო წაგება არ ყოფილა, კარგა ხანია, გუნდში დისციპლინა მოიკოჭლებს და უნდათ, მდგომარეობა გამოასწორონ. ამისათვის, არც ლიდერებთან გამოთხოვებას ერიდებიან. ჩემით გუნდის ხელმძღვანელობა კმაყოფილია და რეპრესიები არ შემხებია. ერთადერთი პრობლემა ის მაქვს, რომ ფეხი მაწუხებს.

- სეზონის დასრულების შემდეგ, უკეთეს გუნდში გადასვლას ხომ არ აპირებ?

- კონტრაქტით, "მეტალურგს" 2008 წლამდე ვეკუთვნი. თუმცა, თუკი უკეთეს გუნდში გადასვლის პერსპექტივა გამოჩნდა, არც მე ვიტყვი უარს და წესით, არც "მეტალურგმა" უნდა თქვას უარი ჩემი გაყიდვით აღებულ ფულზე. როგორც ვიცი, რამდენიმე კლუბს სურს, რომ თავის რიგებში მიხილოს, მაგრამ ჯერჯერობით, "მეტალურგის" ხელმძღვანელობა მათ ვინაობას არ მიმხელს. უნდათ, რაც შეიძლება მეტად იხეირონ ჩემი გაყიდვით და ჯერ არ ჩქარობენ.

კობა ხატისაშვილი

ცურვა

რევიშვილმა ორჯერ უფრო შორს გაცურა

ავსტრალიის ქალაქ მელბურნში ცურვის მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ერთ დისციპლინაში იასპარეზა **ირაკლი რევიშვილმა,** რომელიც ვაჟთა შორის ერთადერთი ქართველი მონაწილეა. 400 მეტრზე ასპარეზობის შემდეგ მან ძალები ორჯერ უფრო გრძელ დისტანციაზე სცადა. 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში რევიშვილი მესამე საკვალიფიკაციო გაცურვაში გამოვიდა. მან დისტანცია 8 წუთსა და 31,52 წამში დაფარა. ეს შედეგი 40 წამზე მეტით უარესია, ვიდრე საკვალიფიკაციოს გამარჯვებულის, ავსტრალიელი **კრეიგ სმიტისა.** ბუნებრივია, ამ შედეგით რევიშვილი ფინალურ გაცურვაში ვერ მოხვდა (ეს არც მისი კარიერის საუკეთესო შედეგია) და საბოლოოდ, 43 მონაწილეს შორის 35-ე ადგილი დაიკავა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სროლის ხმა თოვლზე

გიატლონი. საქართველოს ბიატლონის ეროვნულმა ფედერაციამ (პრეზიდენტი **ნიკოლოზ ბუძიშვილი**) ბაკურიანში ჩაატარა საქართველოს პირველობა გოგონებსა და ჭაბუკებს შორის (მთავარი მსაჯი **ალექსანდრე ბუძიშვილი**).

ჭაბუკთა შორის 3-კილომეტრიანი დისტანცია უჯარიმოდ და უკეთესი შედეგით (10,34) განვლო **გიორგი ავაქიანმა.** ჩემპიონიც ის გახდა, მეორე ადგილზე გავიდა **მიხეილ ავაქიანი** (11,21), მესამეზე - **ლაშა კიკვაძე** (11,22).

გოგონებში ადგილები ასე განაწილდა: 1. **ანჟელა ბანდური** (13,02), 2. **ანა მარიახინა** (14,00), 3. **ანჟელა ხუბაევი** (14,55).

უნივერსიადის პროგრამით

მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ინიციატივით, ოლიმპიური მზადების ცენტრში ჩატარდა პირად-გუნდური პირველობა საქართველოს უნივერსიადა-2007 პროგრამით.

კვარცხლბეკი. გოგონები: 1. **ცირა კუპრეიშვილი** (თსუ), 2. **რაისა გრიცაკოვი** (სპორტის აკადემია), 3. **მაია გოცაძე** (სამედიცინო უნივერსიტეტი); ვაჟები: 1. **ირაკლი სიმონიანი** (სპორტის აკადემია), 2. **ლაშა მათითაიშვილი** (თსუ), 3. **გიორგი ათაბეგოვი** (სპორტის აკადემია). გუნდური: 1. სპორტის აკადემია, 2. თსუ, 3. სამედიცინო უნივერსიტეტი

ომარ ჩხაიძე

ყველაზე ხანდაზმული ქართველი მოცურავე

ეს კაცი გახლავთ **პეტრე დადიანიძე,** რომელსაც გუშინ შეუსრულდა დაბადებიდან 80 წელი. სანყლოსნო კომპლექს "ლაგუნა-ვერეს" დირექციის (დირექტორი ვ. გოიაშვილი) თაოსნობით ვეტერან მოცურავის იუბილე გუშინ აღნიშნეს სპორტკომპლექსში. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი ცურვაში, წყალბურთში ერთ-ერთი პიონერთაგანი, თავს დღესაც მხნედ გრძნობს. იგი "ლაგუნა-ვერეს" "საპატიო მოცურავეა" და ნებისმიერ დროს აუზის კარი ღიაა მისთვის.

თებერვალი

28 მარტი, 1934 - დაიბადა რევაზ ცირეკიძე. ფარიკაობა, დაშნა. სსრკ ორგზის ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში (1955, 57) და მეორე პრიზიორი პირად პირველობაში (1955). 1956 წლის მელბურნის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (VI ადგილი გუნდურში), ეროვნებათა საერთაშორისო ტურნირის მეორე პრიზიორი (1956). საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, ღირსების ორდენის კავალერი. გარდაიცვალა 2006 წელს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

თავისუფალი ჭიდაობა

საქართველოს ნაკრები

თურმანიძე მალე დაასახელებს

ზაზა თურმანიძე

საქართველოს ნაკრებმა მორიგი შეკრებაც დაამთავრა და ორიოდ დღის წინ ბორჯომიდან თბილისში დაბრუნდა. შეგახსენებთ, რომ ნაკრები 17-22 აპრილს სოფიაში გასამართი ევროპის პირველობისთვის ემზადება. ჩვენები 4 აპრილს დასკვნით შეკრებაზე ისევ ბორჯომში გაემგზავრებიან და დაახლოებით ერთ კვირაში საკონტროლო შეხვედრებიც გაიმართება. ნაკრების თავკაცი ზაზა თურმანიძე ამის შემდეგ დაასახელებს საბოლოო შემადგენლობას.

მწვრთნელი ინტრიგას ბოლომდე ინარჩუნებს და ჯერ შემადგენლობაზე არ საუბრობს. მხოლოდ ამბობს, რომ გასარკვევი ორიოდე წონითი კატეგორიაა და არ ამხელს - რომლები. მაგრამ რუსულ პრესაზე დაყრდნობით, მთავარ კითხვას მაინც შეგვიძლია ვუპასუხოთ - 96 კილოგრამში ევროპის ჩემპიონატზე **გიორგი გოგშელიძე** იჭიდავებს. ამის შესახებ რუსულ მედიას გოგშელიძის უმთავრესმა კონკურენტმა **ლუკა კურტანიძემ** განუცხადა.

არაოფიციალური ხმებით, კრასნოიარსკში ჩატარებულმა მსოფლიო თასმა კონკურენცია კიდევ უფრო გააბუნდოვნა მძიმე წონაში. იქ ახალგაზრდა **დავით მოძმანაშვილმა** იჭიდავა და ორი შეხვედრა წააგო (რუსთან და უზბეკთან) უკრაინელს კი მოუგო. ეს მართლაც ფასდაუდებელი გამარჯვება გამოდგა, რადგან გუნდური მოგება მოგვიტანა. სამაგიეროდ, უზბეკთანაც გადამწყვეტი ბრძოლა წააგო, რითაც ბრინჯაოც დავკარგეთ. ჩანს, ახალგაზრდა ფალავანი ამ დონეზე საჭიდაოდ ჯერ მოუმზადებელია. ისიც სათქმელია, რომ მას ლამის მისივე თანატოლმა რუსმა **ბახტიარ ახმედოვმა** და უზბეკმა **ოლეგ კალაგოვმა** მოუგეს. თან, ამ რანგის ტურნირზე ისინიც პირველად ჭიდაობდნენ. მართალია, მოძმანაშვილი მძიმე წონაში პირველ სეზონს ატარებს, მაგრამ კალაგოვიც ასევეა. მეტიც - წინასწარ განაცხადში ის სულაც 96 კილოში ჰყავდათ დასახელებული, ანუ ამ ტურნირისთვის აანაცვლეს ზევით. ამიტომ, არ იქნება გასაკვირი, თუ მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატზე სხვა მოჭიდავეს ნაიყვანს. მაგალითად - გამოცდილ **ალექსი მოდებაძეს**, თუმცა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მოძმანაშვილმა ის საქართველოს ჩემპიონატის ფინალში დამაჯერებლად დაამარცხა.

მოკლედ, ზაზა თურმანიძეს სოფიაში წასვლამდე საფიქრალი მაინც ბლომად რჩება. „თავისუფლები“ ევროპის ჩემპიონატში ყველაზე ბოლოს ჩაებმებიან - 17-18-ში ქალები იჭიდავებენ, 19-20 აპრილი „ანტიკოსებს“ დაეთმობათ, ბოლო ორი დღე - „თავისუფლებს“. ორივე სტილის ჭიდაობაში წონითი კატეგორიები ერთნაირადაა განაწილებული - პირველ დღეს 55, 66, 84 და მძიმე წონების ფალავნები იჭიდავებენ, მეორე დღეს - დანარჩენები.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ „ანტიკოსთა“ ნაკრები ამჟამად მინსკში, სტაიკის ოლიმპიურ ბაზაზე იმყოფება ერთობლივ ვარჯიშებზე. ისინი თბილისში აპრილის დასაწყისშივე დაბრუნდებიან და, სავარაუდოდ, ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩია** საევროპო შემადგენლობას დაასახელებს.

ირაკლი თავაძე

სროლა

ნინო სალუქვაძე

მხოლოდ ბანგკოგსა და მიუნხენში

ევროპის ჩემპიონატზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ, ჩვენი მსროლელები თბილისში აგრძელებენ მზადებას მომავალი შეჯიბრებებისთვის. შეგახსენებთ, რომ კონტინენტის პირველობა პნევმატური პისტოლეტით სროლაში ათიოდ დღის წინ დასრულდა ფრანგულ დოვილში. ოლიმპიური ჩემპიონი **ნინო სალუქვაძე** მეათე ადგილზე გავიდა, **ნინო უჩაძე** - 38-ზე, **თამილა ასათიანი** კი 50-ე იყო.

სამწუხაროდ, ფედერაციას ფინანსური პრობლემები შეექმნა და ნაკრები ლამისაა, წინა წლებისეულ სტატუ-კვოს დაუბრუნდეს, როცა ტურნირებზე დიდი გაჭირვებით მიდიოდნენ და ისიც მხოლოდ - სალუქვაძე. იმედია, მდგომარეობა გამოსწორდება, მაგრამ თავდაპირველი გეგმები უკვე შეიცვალა - სამის ნაცვლად, ორ მსოფლიო თასზე გამოვლენ, ბანგკოგსა და მიუნხენში. თანაც, ჯერ ისიც საკითხავია, ბანგკოკში სალუქვაძის გარდა სხვებიც წავლენ თუ არა. სრული გუნდების გაგზავნა გადაწყვეტილი არც მიუნხენშია, მაგრამ ვინაიდან ის ახლოსაა და იქ წასვლა შედარებით იაფი ჯდება, სავარაუდოდ, რამდენიმე მსროლელს გაუშვებენ.

თითქოს ჩვენი გაჭირვება არ გვეყოფოდა და წლეულს ეს მსოფლიო თასებიც ჩვენთვის მეტად მოუხერხებელი განრიგით ტარდება - ევროპაში მხოლოდ ერთი იმართება, მიუნხენში, დანარჩენებს კი ამერიკული ფორტ ბენინგი, სიდნეი და ბანგკოკი უმასპინძლებენ. ფინანსური პრობლემების გამო, ამერიკის კონტინენტზე (ამ რანგის ტურნირი ბრაზილიაშიც ხშირად იმართება) ადრეც იშვიათად მიდიოდნენ, ახლა კი გაჭირვებამ თავდაპირველი კალენდრიდან სიდნეიც ამოაგდო. არადა, ბანგკოკის ტურნირი - 3-11 მაისს სწორედ ამ შეჯიბრებას მოსდევს და იქ წასვლა ერთ ჯერზე შეიძლებოდა. სამწუხაროდ, ფედერაციამ ამდენი თანხა ვერ მოიძია.

სიდნეიში წაუსვლელობა იმას ნიშნავს, რომ ჩვენს მსროლელებს მთელი აპრილი შეჯიბრებები არ ექნებათ, ისე წავლენ ტაილანდში, მერე კი მიუნხენის ტურნირია - ზედ მაის-ივნისის გასაყარზე. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო თასებზე სალუქვაძე ორივე დისციპლინაში გამოვა - პნევმატურშიც და სპორტულშიც, აი, სხვები თუ გაუშვეს, ისინი მხოლოდ პნევმატურში მოსინჯავენ ძალებს, რადგან ვაზნების არქონისა თუ რიგი სხვა მიზეზების გამო სპორტულში ვერ ვარჯიშობენ. შეგახსენებთ იმასაც, რომ მსოფლიო თასების გამარჯვებულნი ოლიმპიურ ლიცენზიებსაც იღებენ და სუპერფინალის საგზურსაც (სალუქვაძეს ლიცენზია უკვე მოპოვებული აქვს). სუპერფინალში გამოსვლის უფლებას ვერცხლის პრიზიორიც იღებს. ეს ტურნირიც ბანგკოკში ტარდება ოქტომბერში, მანამ კი ევროპის პირველობა სპორტული პისტოლეტით სროლაშიც გაიმართება - 10-25 ივლისს ესპანურ გრანადაში.

იმედია, ფედერაციაში ფინანსური პრობლემები მოგვარდება და უკვე შეკვეცილი კალენდრის ან გუნდის კიდევ უფრო შეკვეცა მაინც არ მოუწევთ, თუ ნაკრების მზადების თავდაპირველი გეგმა არ აღდგება.

ირაკლი თავაძე

მშვილდოსნობა

ესებუას უკრაინაში არ უშვებენ

სულ მალე, 1-6 აპრილს სამხრეთკორეულ ულსანში მშვილდოსანთა მსოფლიო თასის პირველი ეტაპი იწყება, მაგრამ უფულობის გამო ჩვენი ნაკრები ტურნირზე ვერ მიდის. კორეაში წასვლა ფედერაციას ძალიან კი სურდა იქაურთა გამოცდილების გასაცნობად, მაგრამ ეს ფუფუნება თავიდანვე გამოირიცხა.

ამ რანგის უახლოესი შეჯიბრება 30 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით იტალიურ ვარეზეში გაიმართება და იქ ჩვენებიც გამოვლენ. იტალიური შეჯიბრებისთვის მზადების მიზნით ჩვენი მშვილდოსნები ორ ტურნირში გამოვლენ - 3-6 აპრილს ბათუმში, ანგისას სტადიონზე აჭარის პირველობა ჩატარდება, 13-15 აპრილს კი იქვე უკვე საქართველოს ჩემპიონატი გაიმართება. სამწუხაროდ, ჯერ არაა ცნობილი, ქვეყნის პირველობაში გამოვა თუ არა ყველა უძლიერესი მშვილდოსანი.

შედარებით მარტივადაა აჭარის პირველობის საქმე - მასში ყველა ადგილობრივი მშვილდოსანი ისვრის. პრინციპში, სპორტის ამ სახეობაში ისედაც იქაურები დომინირებენ და ეს საქართველოს ჩემპიონატზე ბევრად სუსტი შეჯიბრება არ იქნება. განსაკუთრებით, ქალთა შორის. მით უფრო, მასში ნაკრების ერთადერთი თბილისელი წევრი - **ქრისტინე ესებუაც** ისვრის, ოღონდ უკონკურსოდ ანუ საკვალიფიკაციოში წარმატებით გამოსვლის შემთხვევაში, ფინალში ვერ იასპარეზებს. იგი ახლაც ბათუმში ვარჯიშობს და რაკი იქაა, შეღავათიც ამიტომ გაუკეთეს, რადგან ეს სტარტისთვისაც წაადგება.

თუმცა ესებუასთან დაკავშირებით მთავარი მაინც სხვა რამეა - ჩანს, მას ლვოვში, თავის პირველ მწვრთნელ **მონიკა სიმონსისთან** სავარჯიშოდ არ გააგზავნიან. ამის წინააღმდეგი ნაკრების თავკაცი **თამაზ ფუტკარაძეა**, რომელსაც ურჩევნია, მთელი გუნდი ერთად მოამზადოს. ცოტა უცნაურია პოზიციაა, მაგრამ ეს საკითხი მაინც ფედერაციამ და ნაკრების ხელმძღვანელობამ უნდა გადაწყვიტონ, მათ კომპეტენციაში კი არ ვერევით.

მშვილდოსნებისთვის სეზონის უმთავრესი შეჯიბრება 7-15 ივლისს გერმანულ ლაიფციგში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატია, სადაც პეკინის ოლიმპიადის 44 ლიცენზიაც გაიცემა. შესაძლოა, იქ წასვლამდე ჩვენები ანთალიაშიც გამოვიდნენ ასევე მსოფლიო თასის მესამე ეტაპზე, აპრილში კი ქუთაისში საქართველოს თასის გათამაშების მეორე ტურიც გაიმართება.



ქრისტინე ესებუა

ირაკლი თავაძე

ძიუდო

ზაურ მჭედლიძის მემორიალი

მასწავლებლის ხსოვნას

ქუთაისის სპორტული პანსიონის ძიუდოს დარბაზში გაიმართა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ზაურ მჭედლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი 1995-96 წლებში დაბადებულ ძიუდოისტთა შორის. შეჯიბრებაში დაახლოებით 250 მოჭიდავემ იასპარეზა. ორთაბრძოლები 12 წონით კატეგორიაში გაიმართა. რის შემდეგაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

23კგ. **ალეკო სულაკაძე** (ქუთაისი), 26კგ. **ლევან შონია** (ქუთაისი), 29კგ. **ივანე გაჩეჩილაძე** (ზესტაფონი), 32კგ. **გიორგი ხმელიძე** (ქუთაისი), 35კგ. **გოგა ლომთაძე** (ქუთაისი), 38კგ. **ნიკა უგულავა** (წყალტუბო), 42კგ. **გიორგი მუზაშვილი** (გორი), 46კგ. **ბექა ღვინიაშვილი** (გორი), 50კგ. **ვლადიმერ ოქროპირაშვილი** (ვანი), 55კგ. **ავთო ჩიტაია** (სამტრედია), 60კგ. **ჯაბა კაპანაძე** (ქუთაისი), მძიმე. **ბექა ძოწენიძე** (ქუთაისი)

ზაურ მჭედლიძის ოჯახის წევრები ღვაწლმოსილი მწვრთნელის დაფასებისა და მისი სახელობის ტურნირის ჩატარების გამო კმაყოფილი იყვნენ.

სოსო მჭედლიძე (ზაურ მჭედლიძის ვაჟი): „ბედნიერი ვარ, რომ ქუთაისში მამაჩემის ღვაწლი მრავალი წლის შემდეგაც არ მიეცა დავიწყებას. დღევანდელ ტურნირს ორგანიზება მამაჩემის ყოფილმა შეგირდებმა დავით თევდორაძემ, ვეფხია ბალხამიშვილმა, ამირან მამრიკიშვილმა და სხვებმა გაუწიეს, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.“

ავთანდილ გუბელაძე (ვეტერანი ძიუდოისტი, ზაურ მჭედლიძის ყოფილი მოწაფე): - დღევანდელი ტურნირი პირველ რიგში იმით არის მნიშვნელოვანი, რომ დღეს ვაჟკაცი ადამიანისა და შესანიშნავი მწვრთნელის ზაურ მჭედლიძის ხსოვნას მივაგეთ პატივი. შეჯიბრებას რაც შეეხება, საკმაოდ საინტერესო ორთაბრძოლები გაიმართა, კარგად იასპარეზეს ქუთაისელმა ჭაბუკებმა და კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ჩვენს ქალაქში ძიუდოს დიდი პოტენციალი აქვს და თუ ადგილობრივი ხელმძღვანელები და მეცნიერები უფრო მეტი ყურადღებას გამოიჩენენ, აქ მომავალში არაერთი სახელოვანი ძიუდოისტი აღიზრდება.

ტურნირის ორგანიზატორებს სამომავლოდ ქუთაისში უცხოელი ძიუდოისტების მოწვევა და ტურნირისთვის საერთაშორისო მნიშვნელობის მინიჭება აქვთ განზრახული.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

ჰელოთბურთი

საქართველოს ჩემპიონატი. ინტერვიუ შიო ხეცურიანთან

ყველაზე ჭკვიანი და მარგი

საქართველოს ჩემპიონატის მე-18 ტური არაფრით იყო გამორჩეული. შესაბამისად, მიმოხილვაში ტურის მოვლენის გამოყოფაც გაგვიჭირდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ციფრებს გადავავლეთ თვალი, აღმოვაჩინეთ, რომ გიორგი შერმადინმა "აზოტთან" ჩაგდებული 39 ქულის წყალობით, ქულათა მონაგარი დაამრგვალა - 600. ბოლო წლებში ასეთ ნიშნულამდე საქართველოს ჩემპიონატის არც ერთი სნაიპერი არ გასულა.

600 ქულა კარგია, მაგრამ დასანანია, რომ შერმადინის მე-16 პირველობაზე მხოლოდ 7 მატჩიღა დარჩა ჩასატარებელი. ალბათ, მისთვისაც უმჯობესი იქნებოდა და ქართული კალთბურთისთვისაც, შუა სეზონში "მაკაბიდან" ფლეი ოფში მოხვედრის კანდიდატ რომელიმე გუნდში რომ გადასულიყო. ამჟამად "მაკაბი" ცხრილის ფსკერზეა და გიორგის ტრიბუნებიდან მოუწევს ყურება როგორ ებრძვის თსუ-"ავიამშენს", ან "აზოტი"...

მე-18 ტურის საუკეთესო კალათბურთელად დასახელდა თსუ-ს კაპიტანი შიო ხეცურიანი, რომელსაც ჩვენი მკითხველი აქვე შეხვდება.

- შიო, ჯერ თსუ-"დინამოს" დაპირისპირება გავიხსენოთ.

- დინამოელთა ძლევა ყოველთვის ძნელია, მაგრამ ამჯერად, წინამორბედი მატჩებისგან განსხვავებით, იოლად დავამარცხეთ. გეხსომებათ, რომ მესამე წერში ძალიან გაგვიჭირდა - მეტოქის გატეხვა მხოლოდ ოვერტაიმში შევძელით.

- საკუთარ თამაშზე რას იტყვი?

- პირველ რიგში, MVP-დ აღიარებისთვის ჟურნალისტებს მადლობას მოვახსენებ. თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ სეზონში ეს ჩემი საუკეთესო მატჩი არ იყო და, შესაბამისად, არც საუკეთესოდ აღიარებას ველოდი.

- მაშინ, იქნებ გაიხსენო, როდის ელოდი?

- არც თამაშებისას და არც მერე MVP-ს წოდებაზე არ მიფიქრია. მაგრამ კარგად მახსოვს, რომ ამავე "დინამოსთან" პირველივე წერში ორმაგი დუბლი შევასრულე. ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი სწორედ ის იყო, თუმცა, მაშინ საუკეთესო კალათბურთელად ჟურნალისტებმა მიშა ფანჩულიძე დამსახურებულად აირჩიეს, რადგან მისი მოედანზე გამოსვლის შემდეგ თამაშის სურათი ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა და საბოლოოდ გავიმარჯვეთ კიდეც.

- ჟურნალისტი რომ იყო, მე-18 ტურის ყველაზე მარგ მოთამაშედ ვის დაასახელებდი?

- თსუ-"დინამოს" დაპირისპირებაში სტუდენტი მეფარეებისგან ავირჩევდი - ან დავით იმნაძეს, ან რიჩარდ მათიაშვილს, მეტად დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ. რიჩომ 16 მოხსნაც მიითვალა. მეტოქე გუნდიდან კი ლექსო ლაფანაშვილს, დავით გვიმრაძესა და ირაკლი გულისაბედაშვილს გამოვარჩევ. ირაკლის მეურვეობა მე მიწევდა და რამდენიმე რთული ბურთი ჩამიგდო. გარდა ამისა, ზვიად ბაბიაშვილსაც მეტად ეფექტური სტატისტიკა ჰქონდა...

- რადგან MVP-მ გაუწია რეკომენდაცია, ტურის სიმბოლური ნაკრების წინა ხაზში ორ სტუდენტს, დავით იმნაძესა და რიჩარდ მათიაშვილს დავაყენებთ...

- ...

- სუპერლიგაზე რა აზრის ხარ?

- მისასალმებელია, რომ ერთი კაცის, ნიკა ხომასურიძის მონდომებამ ბევრი რამ შეცვალა. რაც მთავარია, თამაშების ჩატარება ცარიელი ტრიბუნების წინაშე აღარ გვიწევს. მაგრამ, ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა ჩემპიონატი სპორტის სასახლეში დარჩენილიყო, რადგან მატჩების ვერის ბაღში გადმოტანამ ქომაგთა რიცხვი შეამცირა. იმედია, დასასრულიც ისეთივე ეფექტური იქნება, როგორიც დასაწყისი.

- მინდა, ტელეპროექტ "ყველაზე ჭვიანის" შესახებ გკითხო...

- ეს უბრალოდ თამაშია და როცა მასში მონაწილეობა შემომთავაზეს, თანხმობა განვუცხადე, რადგან გართობა და ძალების შემოწმება მსურდა.

- ე.ი. მოსაგებად არ წასულხარ...

- სათამაშოდ წავედი, მაგრამ ისე მოხდა, რომ გამარჯვებაც შემრჩა.

- როგორ ფიქრობ, რა დაგვანახა სპორტსმენების ინტელექტუალურმა შეჯიბრებამ?

- ბევრი არაფერი, რადგან ვერ ვიტყვი, რომ კალათბურთელები, ვთქვათ, მოჭადრაკეებზე ჭკვიანები ვართ, ან მოკრივეებსა და მოჭიდავეებზე...

ვაჟა სიმონიშვილი

შიო ხეცურიანი



საქართველოს XVI ჩემპიონატი. XVIII ტური

აზოტი-მაკაბი	109:66
თსუ-დინამო	90:72
ავიამშენი-სტუ	112:87

საუკეთესო მაჩვენებლები

ქულა

60	გიორგი შერმადინი	დინამო-მაკაბი	111:113

მოხსნა

22	გიორგი შერმადინი	მაკაბი-სტუ	86:84

პასი

12	გიორგი ლოლიძე	სტუ-მაკაბი	96:85

ჩაჭრა

7	შალვა კოხრეიძე	აზოტი-სტუ	107:52

დაფარება

6	გიორგი შერმადინი	თსუ-მაკაბი	111:97

შეცდომა

13	შალვა კოხრეიძე	აზოტი-სტუ	107:52

ქულა

			თამაში	ქულა	საშ.
1	გიორგი შერმადინი	მაკაბი	16	600	37.5
2	ზვიად ბაბიაშვილი	ავიამშენი	17	383	22.5
3	ნოდარ ბერაია	სტუ	14	312	22.3
4	ირაკლი ხოშტარია	ავიამშენი	16	265	16.6
5	დავით გვიმრაძე	დინამო	13	211	16.2
6	გესიკ ლეჟავა	თსუ	18	275	15.3
7	კოტე ტულუში	აზოტი	16	231	14.4
8	შიო ხეცურიანი	თსუ	15	216	14.4
9	ლექსო ლაფანაშვილი	დინამო	15	207	13.8
10	რიჩარდ მათიაშვილი	თსუ	17	224	13.2
11	ლუკა შანიძე	თსუ	18	233	12.9
12	სოსო შერმადინი	მაკაბი	18	228	12.7
13	ლაშა გამყრელიძე	აზოტი	16	199	12.4
14	ირაკლი ბერიშვილი	ავიამშენი	16	195	12.2
15	დავით უგრეხელიძე	აზოტი	18	219	12.2
16	ზურაბ ბაღრიძე	დინამო	17	206	12.1
17	გიორგი ბარბაქაძე	სტუ	17	205	12.1
18	ვაკო გეჟნიშვილი	აზოტი	14	168	12.0
19	ირ. გულისაბედაშვილი	დინამო	17	198	11.6
20	ვიქტორ კოლუაშვილი	დინამო	17	196	11.5
21	გულივერ ახალკაცი	სტუ	18	207	11.5

მოხსნა

			თამაში	მოხსნა	საშ.
1	გიორგი შერმადინი	მაკაბი	16	223	13.9
2	ზვიად ბაბიაშვილი	ავიამშენი	17	159	9.4
3	სოსო შერმადინი	მაკაბი	18	148	8.2
4	რიჩარდ მათიაშვილი	თსუ	17	135	7.9
5	დავით მისურაძე	სტუ	14	92	6.6
6	დავით უგრეხელიძე	აზოტი	18	117	6.5
7	გულივერ ახალკაცი	სტუ	18	105	5.8
8	დავით გვიმრაძე	დინამო	13	73	5.6
9	ალასანდრე როლანდია	ავიამშენი	13	69	5.3
10	ვიქტორ კოლუაშვილი	დინამო	17	90	5.3
11	ირაკლი ხოშტარია	ავიამშენი	16	84	5.3
12	ჟურივეტ ტუჯანი	აზოტი	15	78	5.2
13	თორნიკე ნინიაშვილი	ავიამშენი	11	55	5.0

პასი

			თამაში	პასი	საშ.
1	გიორგი ლოლიძე	მაკაბი	18	119	6.6
2	ლაშა გამყრელიძე	აზოტი	16	93	5.8
3	ირაკლი ბერიშვილი	ავიამშენი	16	92	5.8
4	დავით ბერიშვილი	ავიამშენი	15	80	5.3
5	კოტე ტულუში	აზოტი	16	72	4.5
6	შალვა კოხრეიძე	სტუ	18	80	4.4
7	ლექსო ლაფანაშვილი	დინამო	15	63	4.2
8	გიორგი შერმადინი	მაკაბი	16	67	4.2
9	ირაკლი ხოშტარია	ავიამშენი	16	67	4.2
10	ნოდარ ბერაია	სტუ	14	56	4.0
11	ალექო ძიძიგური	სტუ	4	16	4.0
12	შიო ხეცურიანი	თსუ	15	55	3.7
13	გიორგი ნიკოლაძე	ავიამშენი	17	60	3.5
14	ნიკო ნოზაძე	დინამო	18	62	3.4
15	ზურაბ ბაღრიძე	დინამო	17	58	3.4

ჩაჭრა

			თამაში	ჩაჭრა	საშ.
1	შალვა კოხრეიძე	სტუ	18	52	2.9
2	გუგა ბერიშვილი	თსუ	17	44	2.6
3	ლაშა გამყრელიძე	აზოტი	16	38	2.4
4	კოტე ტულუში	აზოტი	16	36	2.3
5	ნოდარ ბერაია	სტუ	14	30	2.1
6	ირაკლი დოლიძე	მაკაბი	18	38	2.1
7	ნიკო ნოზაძე	დინამო	18	37	2.1
8	ირ. გულისაბედაშვილი	დინამო	17	34	2.0
9	ზურაბ ბაღრიძე	დინამო	17	32	1.9
10	ჟურივეტ ტუჯანი	აზოტი	15	26	1.7

დაფარება

			თამაში	დაფარება	საშ.
1	გიორგი შერმადინი	მაკაბი	16	38	2.4
2	რიჩარდ მათიაშვილი	თსუ	17	22	1.3
3	ალასანდრე როლანდია	ავიამშენი	13	13	1.0
4	ზვიად ბაბიაშვილი	ავიამშენი	17	11	0.6
5	გულივერ ახალკაცი	სტუ	18	11	0.6

შეცდომა

			თამაში	შეცდომა	საშ.
1	გიორგი შერმადინი	მაკაბი	16	106	6.6
2	ირაკლი დოლიძე	მაკაბი	18	92	5.1
3	შალვა კოხრეიძე	სტუ	18	86	4.8
4	ზურაბ კორკოტაძე	მაკაბი	18	70	3.9
5	გესიკ ლეჟავა	თსუ	18	62	3.4
6	ნოდარ ბერაია	სტუ	14	47	3.4
7	გიორგი ბარბაქაძე	სტუ	17	56	3.3
8	ლაშა გამყრელიძე	აზოტი	16	50	3.1
9	გიორგი პირველაშვილი	მაკაბი	16	50	3.1
10	სოსო შერმადინი	მაკაბი	18	53	2.9
11	დავით მისურაძე	სტუ	14	41	2.9
12	გულივერ ახალკაცი	სტუ	18	51	2.8
13	ირ. გულისაბედაშვილი	დინამო	17	46	2.7
14	ირაკლი ბერიშვილი	ავიამშენი	16	43	2.7

ქართველები NBA-ში

სურდო ჩაანვინა

გუშინ, გამთენიისას "ატლანტა ჰოქსი" NBA-ს ჩემპიონ "მაიამი ჰიტთან" სათამაშოდ ჩავიდა. მატჩისწინა ვარჯიშზე **ზაზა ფაჩულია** ჩვეულებრივად ვარჯიშობდა... თუმცა, სურდოს სიმპტომები ეტყობოდა...

უშუალოდ შეხვედრის წინ მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა და მწვრთნელი იძულებული გახდა, ჩვენიანი მოედნის ნაცვლად სასტუმროში გაეგზავნა. ასე რომ, ზაზამ **შაკილ ონილის** წინააღმდეგ მორიგი დაპირისპირება გაციების გამო გამოტოვა. ამ ამბავს "ჰოქსის" თავკაცი **მაიკ ვუდსონი** შეშფოთებული შეხვდა: *"ასეთი მატჩის წინ ზაზა ფაჩულიას დაკლება საშინელებაა. "მაიამის" ცენტრების შაკილ ონილისა და ალონსო მურნინგის შეჩერება ახლა წარმოუდგენელია. მაგრამ ამას ვინ ჩივის - ხუთშაბათს ჩვენი ძალის "შარლოტს" ვსტუმრობთ, რომლის მთავარი იარაღი მეფარე ემეკა ოკაფორია. თუკი მანამდე ზაზა არ მომჯობინდა, კვლავ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით."*

აქვე დავამატებთ, რომ ფაჩულიას არყოფნაში "ატლანტამ" "მაიამისთან" 89:106 დათმო. შაკილ ონილს კი ამ სეზონში საუკეთესო მატჩი გამოუვიდა - ანგარიშზე 22 ქულა და 11 მოხსნა ჩაიწერა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭაბუკთა ნაკრების ვარჯიში. შუაში გია ღლონტი

გურამ ტურაშვილის ფოტო

მსოფლიოს ჩემპიონატი. U-19

ჭაბუკები ირლანდიაში

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ირლანდიაში საწვრთნელ შეკრებაზე გაემგზავრა. აქ 4 აპრილიდან იწყება მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც პატარა ბორცვღლალოსნები B დივიზიონში იასპარეზებენ და ელიტარულ A დივიზიონში დაბრუნებას შეეცდებიან. პირველ ჯგუფურ ეტაპზე ჩვენი მორაგბეები სამ შეხვედრას გამართავენ რუსეთის, რუმინეთისა და ზიმბაბვეს ნაკრებებთან. სულ ტურნირში 12 გუნდი თამაშობს. პირველი ეტაპის შემდეგ პირველი ოთხეული ზედა ჯგუფში გადასასვლელად იბრძოლებს. ზედა დივიზიონის საგზურს მხოლოდ ერთი ნაკრები მიიღებს.

საქართველოს ნაკრების კონკურენტები რეალურად ტონგის, იტალიისა და რუმინეთის ნაკრებები იქნებიან.

ბელფასტში შეკრების მსვლელობისას ჩვენი გუნდი ორ საწვრთნელ შეხვედრას გამართავს ადგილობრივ სტუდენტურ გუნდებთან.

ნაკრების მწვრთნელებმა **გია ღლონტმა** და **ზურაბ ამონაშვილმა** მსოფლიოს ჩემპიონატისთვის 26 მორაგბე შეარჩიეს. აქედან ოთხი ქუთაისის "აიას" მოთამაშეა, ხუთი რუსთავის "ხარების", ერთიც ფრანგული "აჟენის" ახალგაზრდულ გუნდში ასპარეზობს, დანარჩენები კი თბილისურ კლუბებს წარმოადგენენ.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველო (19)

პირველი ხაზი: გიორგი ცირეკიძე (არმაზი), **ბექა სულუხია** (აია), **გიორგი ჯაშტაშვილი** (ხულიგანა), **რევაზ ბასილაშვილი** (ხარები), **ირაკლი მირცხულავა** (დინამო), **დავით ალადაშვილი** (უნივერსიტეტი)

მეორე ხაზი: **თორნიკე ძაგნიძე** (აია), **ბექა ნიკოლაიშვილი** (ყოჩები), **ვიქტორ კოლელიშვილი** (ლელო)

მესამე ხაზი: **გიორგი კალმახელიძე** (ხულიგანა), **ვახტანგ მძინარიშვილი** (ლელო), **დავით ჩიჩუა** (აჟენი), **არჩილ კობაური** (ყოჩები), **ვასილ კაკოვინი** (უნივერსიტეტი)

9: **ზაქარია ზირაქაშვილი** (ხარები), **გიორგი როხვაძე** (აია)

10: **ლაშა ხმალაძე** (ლელო), **ბექა წიკლაური** (უნივერსიტეტი)

12-13: **გიორგი ონიანი** (აია), **ჯაბა სონღულაშვილი** (ხულიგანა), **ვახტანგ კავთიძე** (ხარები)

11-14: **გიორგი სვანიძე** (აკადემია), **ალექსანდრე ტუჩაშვილი** (უნივერსიტეტი), **სანდრო ინაშვილი** (ყოჩები)

15: **რატი ნუცუბიძე** (ხარები), **მიხეილ წიკლაური** (ხარები).

4 აპრილი

საქართველო-რუმინეთი

8 აპრილი

საქართველო-ზიმბაბვე

12 აპრილი

საქართველო-რუსეთი

პლეი ოფი

16 და 20 აპრილი

ზე-14. VIII ტური

შავები დაბრუნდნენ, წინ ბლუზია

სამხრეთი ნახევარსფეროს უძლიერეს საკლუბო ტურნირში მერვე ტური მიილია, გუნდებში თამაშის ნება დართეს "ოლ ბლექსის" რჩეულ მოთამაშეებს, რომლებსაც აქამდე ასვენებდნენ. დამარცხდა აქამდე წაუგებელი "შარქსი" და გამოიკვეთა უომედო აუტსაიდერი - ავსტრალიური ქვინზლენდის "რედსი".

ოკლენდში "ვორათაზის" განადგურებით ზელანდიურმა "ბლუზმა" პირველი ადგილი დაიბრუნა. მატჩი გაცილებით უთანაბრო იყო, ვიდრე ამას ანგარიში ასახავს, "ბლუზი" ბურთს დროის 74 პროცენტი ფლობდა, სტუმრებს კი ლელოს გატანის ერთადერთი შანსი მიეცათ. "ვორათაზი" მატჩში 11-ჯერ დაჯარიმდა, ბოლოს **კოლდველის** გასინბინებამ "ბლუზს" შანსი მისცა პრემიის მომტანი ლელო გაეტანა და ეს შანსი **ფლეველმა** შესანიშნავად გამოიყენა. "ბლუზის" **კევინ მეალამუ** იყო პირველი რჩეული "ოლ ბლექსელი", რომელიც წლევანდელ ზე 14-ში გამოჩნდა.

აფრიკულმა ბულზმა პირველად მოიგო დანიდინში "ჰაილენდერზის" წინააღმდეგ - 22:13. "ხარებს" შესაშური ტური გამოუვიდათ ავსტრალიასა და ზელანდიაში, მათი საფლეიოფო პოზიციები მყარია. კრაისჩერჩში ჩემპიონმა კლასით აჯობა მონდომებულ "სტორმერზს". "ოლ ბლექმა" **რიკო გიარმა** სტუმრებს ორი ლელო გაუტანა, მეორე განსაკუთრებით ლამაზი ბოლო წუთზე გავიდა, ამ ლელომ "კრუსეიდერზს" ბონუს-ქულა მოუტანა. მატჩში მასპინძლებს ერთბაშად ნაკრების ექვსი წევრი დაუბრუნდა - **მეიჯერი, მაკქოუ, მაკდონალდი, სორნი, ჯეკი და კარტერი.**

"ზვიგენები" პირველად მშობლიურ დურბანში დამარცხდნენ, ეს "ბრამბიზმა" მოახერხა - 21:10. კანბერელები ძალიან მაგრად იცავდნენ თავს და ხელითაც დიდებულად თამაშობდნენ, შედეგად ტაიმი მათ 18:0 მოიგეს. ძალიან კარგად ითამაშა უნივერსალმა ბეკმა **ჯულიან** ჰაქსლიმ (ამჯერად 12 ნომერზე), პირველ ტაიმში ჰაქსლის ანგარიშზე ლელო, ორი გარდასახვა და ჯარიმაა. იოჰანესბურგში გუნდის ლიდერმა **ანდრე პრეტორიუსმა** "ლაიონზს" 20 ქულა მოუტანა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ბლუზი-ვორათაზი 34:6

ბლუზი (ზელ): 4ლ (ბრეიდი, ფლეველი 2, დივაინი), 4გ, 2ს (მაკალისტერი)

ვორათაზი (ავს): 2ს (პიუეტი)

ჰაილენდერზი-ბულზი 13:22

ჰაილენდერზი (ზელ): ლ (კაუენი), გ, 2ს (ევანსი)

ბულზი (აფრ): ლ (ფანდერვენსტჰოიზენი), გ,ნს (ჰუხარდი)

კრუსეიდერზი-სტორმერსი 36:11

კრუსეიდერზი (ზელ): 4ლ. (ლაულალა, გიარი 2, მაკდონალდი), 2გ,4ს (კარტერი)

სტორმერსი (აფრ): ლ (ბერი), 2ს. (გრანტი)

რედსი-ჩიფსი 19:21

რედსი (ავს): ლ (კროფტი), გ, 4ს. (ვოკერი)

ჩიფსი (ზელ): 2ლ (ორმსბი), გ,3ს. (დონალდი)

შარქსი- რამბიზი 10:21

შარქსი (აფრ): ლ (იაკობსი), გ, ს. (პინარი)

ბრამბიზი (ავს): 2ლ (ჰაქსლი, უოლეს-ჰარისონი), გ, 3ს (ჰაქსლი)

ლაიონზი - პარიკენზი 30:7

ლაიონზი (აფრ): 2ლ (რეინეცკე, ფური), გ,ნს,ა (პრეტორიუსი)

პარიკენზი (ზელ): ლ (ვეეპუ), გ (სტიუარტი)

ვესტერნ ფორსი და ჩიტაზი ისვენებდნენ

	თ	მ	ფ	წ	ბ	პრ	ქ
ბლუზი	7	6	0	1	214-105	4	28
შარქსი	7	6	0	1	156-103	1	25
კრუსეიდერზი	7	4	0	3	204-141	6	22
ბულზი	8	5	0	3	167-165	2	22
ფორსი	7	4	1	2	155-99	3	21
ლაიონზი	8	5	0	3	138-160	0	20
ბრამბიზი	8	4	0	4	126-126	2	18
ჩიტაზი	7	3	1	3	179-180	3	17
ჩიფსი	7	2	1	4	167-159	6	16
ჰაილენდერზი	7	3	0	4	120-132	4	16
ჰარიკენზი	8	3	0	5	144-194	2	14
სტორმერსი	8	3	0	5	127-189	2	14
ვორათაზი	7	1	1	5	111-166	2	8
რედსი	8	1	0	7	122-211	3	7

ლეგიონერები

ექვს-ექვსი ჭერი დარჩა

ექვსი ერის გათამაშების დასრულების შემდეგ, განახლდა საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი ელიტარულ, პირველ დივიზიონში. ქართველ მორაგბეთა კლუბებიდან წარმატებულ წინსვლას განაგრძობს დავით ზირაქაშვილისა და გოდერძი შველიძის "კლერმონი". ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს და დივიზიონიდან გავარდნის პირასაა მამუკა გორგოძის "მონპელიე".

"კლერმონმა" მორიგი გამარჯვება გასვლით მატჩში მოიპოვა. "ვულკანებმა" ურთულეს. ბრძოლაში მუდმივად ცხრილის შუაში მყოფი "ნარბონი" დაამარცხეს - 29:26. თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე წინ მასპინძლები იყვნენ, გამარჯვების მომტანი ლელო კი კლერმონელმა **ორელიან რუჟრიმ** გაიტანა. ეს ამ შეხვედრაში მის მიერ გატანილი მესამე ლელო გამოდგა. **გოდერძი შველიძე** ტრავმირებულია და თამაშში მონაწილეობა არ მიუღია, **დავით ზირაქაშვილი** კი, რომელიც გუნდმა ნაკრებში სათამაშოდ არ გამოუშვა, სათადარიგოთა სკამზე იჯდა და თამაშში 45-ე წუთიდან შევიდა, მატჩის მიწურულს კი ტრავმა მიიღო.

მამუკა გორგოძის "მონპელიე" სტუმრად დამარცხდა გათამაშების ერთეთრ ფავორიტ "ტულუზთან" - 10:28. შედეგად, ჩვენებურის გუნდი სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაეშვა და გათამაშების დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე მეორე დივიზიონში გავარდნის სერიოზული საფრთხე ემუქრება. გორგოძე ტრავმირებულია და შეხვედრაში მონაწილეობა არ მიუღია.

სტუმრად აუტსაიდერ "ბაიონთან" ვერაფერი გააწყო **აქვსენტი გიორგაძის** "კასტრმა" 12:19. აქვსენტი ძირითად შემადგენლობაში იყო და ბოლომდე შეუცვლელად ითამაშა.

ერთპიროვნულ ლიდერ "სტად ფრანსესთან" შინ ფრეს დასჯერდა 19:19 **დავით ხინჩაგიშვილისა** და **ირაკლი გიორგაძის** "ბურგუენი". ორივე ქართველი ამ დროს საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა.

ავთო კოპალიანის "მონტობანმა" 22:12 საკუთარ მოედანზე დაამარცხა **ანრი ბრონკანის** მომავალი კლუბი "აჟენი". კოპალიანი ბორცვღლალოსანთა რიგებში თამაშობდა.

დავით ზირაქაშვილი ნარბონთან მატჩში

საფრანგეთი. II დივიზიონი. XX ტური. ალბი-ბაირიცი 10:23, მონტობანი-აჟენი 22:12, ბაიონი-კასტრი 19:12, ტულუზი-მონპელიე 28:10, ბრივი-პერპინიანი 22:22, ნარბონი-კლერმონი 26:29.

1. სტად ფრანსე-67 ქულა, 2. კლერმონი-64, 3. ტულუზი-58, 4. პერპინიანი-57 / 5. ბაირიცი-56, 6. ბურგუენი-47, 7. მონტობანი-46, 8. აჟენი-41, 9. კასტრი-40, 10. ალბი-40, 11. ნარბონი-35, 12. ბაიონი-35 / 13. ბრივი-34, 14. მონპელიე-33.

ექვსი ტური დარჩა რეგულარული გატამაშების დასრულებამდე II დივიზიონშიც. იმ ერთი გუნდის ვინაობა, რომელიც მომავალი სეზონიდან პირველ დივიზიონში ითამაშებს, უკვე თითქმის გარკვეულია. ილია ზედგინიძის "ოში" გათამაშებას დამაჯერებლად ლიდერობს და უახლოეს მდევარ "ლა როშელს" 14 ქულით უსწრებს.

"ოშმა" 24-ე ტურში საკუთარ მოედანზე "ლიონი" მიიღო და მოულოდნელად დამარცხდა - 16:21. **ილია ზედგინიძემ** მუხლის ოპერაცია გაიკეთა და მკურნალობას ალბათ სეზონის ბოლომდე მოუნდება.

გასვლით შეხვედრაში "დაქსთან" სრულიად უმწეოდ გამოიყურებოდა **გია ლაბაძისა** და **გიორგი კუთარაშვილის** "ტულონი". ჩვენებურთა გუნდმა მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანა მოახერხა და - 3:29 დამარცხდა. კუთარაშვილი თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო. ლაბაძემ ეროვნულ ნაკრებში ითამაშა.

ლიდერთა ჯგუფის კიდევ ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, **ირაკლი მაჩხანელის** "ბეზიემ". საკუთარ მოედანზე "ტარბი" დაამარცხა - 34:16. ლანგედოკელთა რიგებში საქართველოს ნაკრების გარემარბს ტრავმის გამო არ უთამაშია.

ასევე შინ გაიმარჯვა **მერაბ კვირიკაშვილის** "პომ" ერთ-ერთ აუტსაიდერ "გაიაკთან" მატჩში (32:17) და საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. მეკო ამ დროს ნაკრებს ეხმარებოდა.

საკუთარ მოედანზე დამარცხდა "მონ დე მარსანთან" **დავით აშვეთიასა** და **მამუკა მაგრაქველიძეს** "მეტრო რასინგი" - 13:14. ქართველებს თამაშში მონაწილეობა არ მიუღიათ.

ლევან ღვაბერიძის "გრენობლმა" 30:23 დივიზიონიდან, ფაქტობრივად, გავარდნილი "კოლომიე" დაამარცხა შინ. ღვაბერიძე განაცხადში არ ყოფილა.

II დივიზიონი. XXIV ტური. პო-გაიაკი 32:17, ლა როშელი-ლიმოჟი 44:20, დაქსი-ტულონი 29:3, მეტრო რასინგი-მონ დე მარსანი 13:14, ოში-ლიონი 16:21, გრენობლი-კოლომიე 30:23, ბეზიე-ტარბი 34:16, ბორდო-ოიონაქსი 16:12

1. ოში-87 ქულა / 2. ლა როშელი-73, 3. ბეზიე-70, 4. დაქსი-69, 5. ტულონი-69 / 6. ლიონი-68, 7. ოიონაქსი-57, 8. ბორდო-52, 9.პო-49, 10. გრენობლი-49, 11. მეტრო რასინგი-48, 12. გაიაკი-48, 13. მონ დე მარსანი-48; 14. ტარბი-43 / 15. ლიმოჟი-39, 16. კოლომიე-29

ბესიკ ჯანგავაძე

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

დეტროიტი-ანაჰაიმი 1:0

0:0, 1:0, 2:0

გოლი: 1:0 დაციუკი-25 (ჰოლმსტრიომი-21, შნაიდერი-40).

აღმოსავლეთი კონფერენცია

	თ	მ	წ	ოწ	ქ
1. x-ბაფალო	75	48	20	7	103
2. ნიუ ჯერსი*	75	44	23	8	96
3. ატლანტა*	76	39	27	10	88
4. x-ოტავა	76	45	23	8	98
5. პიტსბურგი	76	43	23	10	96
6. რეინჯერსი	76	39	28	9	87
7. ტამპა ბეი	76	41	31	4	86
8. კაროლინა	75	38	29	8	84
9. აილენდერსი	75	36	27	12	84
10. მონრეალი	76	39	31	6	84
11. ტორონტო	75	36	29	10	82
12. ფლორიდა	75	31	30	14	76
13. ბოსტონი	75	34	35	6	74
14. ვაშინგტონი	76	26	37	13	65
15. ფილადელფია	75	20	44	11	51

დასავლეთი კონფერენცია

	თ	მ	წ	ოწ	ქ
1. x-ნეშვილი	76	48	21	7	103
2. x-ანაჰაიმი	76	44	20	12	100
3. ვანკუვერი*	75	45	23	7	97
4. x-დეტროიტი	76	46	19	11	103
5. მინესოტა	76	45	24	7	97
6. დალასი	75	45	24	6	96
7. სან ხოსე	76	46	26	4	96
8. კალგარი	75	40	25	10	90
9. კოლორადო	75	39	29	7	85
10. სტ. ლუისი	75	31	32	12	74
11. კოლამბუსი	75	31	37	7	69
12. ედმონტონი	76	31	38	7	69
13. ლოს ანჯელესი	76	26	36	14	66
14. ფინიქსი	75	29	41	5	63
15. ჩიკაგო	75	27	39	9	63

*შენიშვნა: ოწ - ოვერტაიმში წაგება (დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ენიჭება); x - გაინალდა ფლეი ოფის საგზური; * - დივიზიონის ლიდერი*

ბომბარდირები (გოლი+პასი)

კროსბი (პიტ)	111 (34+77)
ჯ. ტორნტონი (ს-ხოს)	104 (21+83)
ლეკავალიე (ტ-ბეი)	100 (49+51)
სენტ ლუისი (ტ-ბეი)	97 (41+56)
ჰიტლი (ოტა)	96 (45+51)
მარიან ჰოსა (ატლ)	93 (41+52)
სავარი (ბოს)	92 (22+70)
საკიკი (კოლ)	90 (34+56)
ბრიერი (ბაფ)	89 (31+58)
იაგრი (რეინ)	87 (26+61)
სელიანე (ანა)	86 (44+42)
ოვეჩკინი (ვაშ)	86 (43+43)

გოლეადორები

ლეკავალიე (ტ-ბეი)	49
ჰიტლი (ოტა)	45
სელიანე (ანა)	44
ოვეჩკინი (ვაშ)	43
მარიან ჰოსა (ატლ)	41
სენტ ლუისი (ტ-ბეი)	41
კოვალჩუკი (ატლ)	38
ჯ. ბლეიკი (აილ)	37
ვანეკი (ბაფ)	37
განიე (ფილ)	37
სიომინი (ვაშ)	37
ო. იოკინენი (ფლო)	36

ასისტენტები

ჯ. ტორნტონი (ს-ხოს)	83
კროსბი (პიტ)	77
სავარი (ბოს)	70
ჰ. სედინი (ვან)	63
იაგრი (რეინ)	61
ბრიერი (ბაფ)	58
საკიკი (კოლ)	56
სენტ ლუისი (ტ-ბეი)	56
დაციუკი (დეტ)	55
ალფრედსონი (ოტა)	54
ტანგეი (კალ)	53

კვირის სამი ვარსკვლავი

გასულ კვირას, ჰოკეის ეროვნული ლიგის მიერ არჩეულ სამ ვარსკვლავს შორის ორი მეკარე მოხვდა: "ნიუ იორკ რეინჯერსისა" და "მონრეალ კანადიენსის" გოლკიპერები - **ჰენრიკ ლუნდკვისტი** და **იაროსლავ ჰალაკი**.

შვედი ლუნდკვისტი კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა. მან თავის გუნდს ოთხიდან ოთხ მატჩში მოაგებინა, საშუალოდ თამაშში 0.72 შაიბას უშვებდა და დარტყმების 97.4 პროცენტს იგერიებდა.

სლოვაკ დებიუტანტ **იაროსლავ ჰალაკს** მესამე ვარსკვლავის სტატუსი ერგო. მისი კარგი თამაშის წყალობით, "მონრეალმა" გასულ კვირას სამივე შეხვედრა მოიგო, ხოლო დუბლიორი მეკარის სტატისტიკური მაჩვენებელი ამგვარი გახლდათ - საშუალოდ მატჩში გაშვებული 1.33 შაიბა. სამშაბათს, ჰალაკმა კარიერაში პირველი შათაუტი შეასრულა ("ბოსტონთან" 1:0).

კვირის მეორე ვარსკვლავი, შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი, "სან ხოსეს" ფორვარდი **ჯონათან ჩიჩუ** გახდა. გასულ კვირას, ჩიჩუმ ყველაზე მეტი - 8 ქულა დააგროვა. მის ანგარიშზე იყო 6 გოლი და 2 შედეგიანი გადაცემა.

ტურნირების მიმოხილვა

სერენა რასისტებმა შეაწუხეს

სერენა უილიამსი

მსოფლიო კლასიფიკაციის პირველ ჩოგან **როჯერ ფედერერს** გასულ კვირას, ინდიან უელსის ტურნირზე შელახული პრესტიჟის აღდგენის შანსი მიეცა. შვეიცარიელმა 1/16 ფინალში იოლად დაამარცხა ესპანელი **ნიკოლას ალმაგრო** და შემდეგ ეტაპზე არგენტინელ **გილერმო კანიასს** შეხვდება. ეს ის ჩოგბურთელია, ვინც წინა მასტერსის მეორე წრეში შეარცხვინა ფედერერი და ფენომენალურ შვეიცარიელს 41-მატჩიანი მოგებათა სერია შეაწყვეტინა.

ალმაგროსთან მატჩის პირველ სეტში, როჯერი კარგა ხანი ვერაფერს უხერხებდა მეტოქის მოწოდებას. მას შანსი 6:5-ზე, მე-12 გეიმში მიეცა. ესპანელმა ფედერერის სეტ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა, პარტია წააგო და განაწყენებულმა ჩოგანი დაამსხვრია.

მეორე სეტში ბრძოლა არ შედგა. ფედერერი თავიდანვე 4:1 დაწინაურდა და უპრობლემოდ მიიყვანა მატჩი გამარჯვებამდე.

მამაკაცებს შორის 1/16 ფინალი, ერთის გამოკლებით ყველა ფავორიტმა გაიარა. ეს გამონაკლისი გახლდათ რუსი **ნიკოლაი დავიდენკო**, რომელსაც ნაკლებად ცნობილმა ამერიკელმა **ამერ დელიჩმა** მოუგო, თანაც იოლად - ორ სეტში (7:6, 6:3).

დელიჩი ბოსნიაში დაბადებული ჩოგბურთელია. მისი ოჯახი ამერიკაში 1995 წელს გადასახლდა, დელიჩმა კი, პროფესიული ჩოგბურთის თამაში 2003 წელს დაიწყო, თუმცა, აქამდე არც ისე ხშირად ჩნდებოდა ATP-ის ტურნირებზე - აქამდე მისი მოგება-წაგების შეფარდება 11-21 იყო.

ბოსნიელმა ამერიკელმა მაიამიში ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო - ასეთი რამ, მის კარიერაში პირველად მოხდა (აქ, რა თქმა უნდა, ATP-ის ტურნირები იგულისხმება). ასევე პირველად, დელიჩმა კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულის წევრი დაამარცხა.

პირველ სეტში საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და ყველას ეგონა, რომ სწორედ აქ გატეხდა დავიდენკო გამოუცდელ მეტოქეს, მაგრამ მოხდა პირიქით - დელიჩმა შემოკლებული გეიმი 7:5 მოიგო, რითაც რუსი მორალურად აღარ ვარგოდა. შესაბამისად, მან მეორე პარტიაში თავიდანვე წააგო საკუთარი მოწოდება და ამერიკელმა შანსი ხელიდან აღარ გაუშვა. მან ბოლომდე შეინარჩუნა თავისი გეიმები და ყველაზე დიდი სენსაციის ავტორი გახდა.

■ ■ ■

ქალებს შორის, უფრო მეტი სენსაციების მომსწრენი ვართ. ბოლო ორი დღის განმავლობაში, ტურნირს გამოეთიშნენ **მარტინა ჰინგისი, დანიელა ჰანტუხოვა, სვეტლანა კუზნეცოვა** და **კიმ კლაისტერსი**.

სამაგიეროდ, პირველობისთვის ბრძოლას აგრძელებს **სერენა უილიამსი**. თუმცა, ავსტრალიის წლევანდელი პირველობის ჩემპიონს კორტზე ნერვები დააწყვიტეს. მაგრამ, ეს არა მისმა მეტოქემ - ჩეხმა **ლუსი საფაროვამ**, არამედ ერთმა რასისტმა გულშემატკივარმა გააკეთა, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში არ გაჩერებულა და რასისტული შეძახილებით წყობიდან გამოჰყავდა ამერიკელი.

"ის დიდხანს მაწუხებდა, ბოლოს კი, ჩემი ერთ-ერთი მოწოდების წინ, ასეთი რამ იყვირა: "ბადეს გაარტყი, როგორც ამას ზანგები აკეთებთ". შოკში ჩავვარდი და ორმაგი შეცდომა დავუშვი. ამის დაჯერება არ მინდოდა", - უამბო ჟურნალისტებს უმცროსმა უილიამსმა.

საბოლოოდ, სერენას მოთმინების ძაფი გაუწყდა და მსაჯს ამ გულშემატკივრის ტრიბუნიდან გაძევება სთხოვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ის ეროვნებით ჩეხი აღმოჩნდა და საფაროვას საქომაგოდ, მაიამიში პირდაპირ ჩეხეთიდან იყო ჩასული. ახლა, ხულიგანს საკმაოდ დიდი ჯარიმის გადახდა მოუწევს, გარდა ამისა, მის გვარს "შავ სიაში" შეიტანენ და ის კარგა ხანს ველარ დაესწრება საჩოგბურთო ტურნირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ იმ ორმაგ შეცდომას მატჩის საბოლოო შედეგზე არ უმოქმედია. სერენამ საფაროვა ორ სეტში - 6:3, 6:4 დაამარცხა.

ATP

სონი ერიქსონის ღია

მაიამი (აშშ). 19 მარტი-1 აპრილი. ჰარდი

საპრიზო ფონდი: 3 450 000 დოლარი

1/16 ფინალი

როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 29) 7:5, 6:3; **ამერ დელიჩი (აშშ)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4) 7:6 (5), 6:3; **ტომი რობრედო (ესპ, 6)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:4, 6:4; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 7)**-ფაბრის სანტორო (საფ) 3:6, 6:3, 6:4; **იარკო ნიემინენი (ფინ, 20)**-დავიდ ნალბანდიანი (არგ, 11) 6:4, 7:6 (3); **ხუან იგნასიო ჩელა (არგ, 23)**-ტომას ბერდიჩი (ჩეხ, 14) 6:4, 7:6 (6); **გილერმო კანიასი (არგ)**-რიშარ გასკე (საფ, 15) 7:6 (3), 6:3; **რადეკ სტეპანეკი (ჩეხ, 24)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:3, 6:2.

1/8 ფინალში ხვდებიან

ფედერერი (1)-კანიასი; რობრედო (6)-სტეპანეკი (24); ჩელა (23)-დელიჩი; ლუბიჩიჩი (7)-ნიემინენი (20); მარეი (12)-მატიო; როდიკი (3)-ფერერი (13); ჯოკოვიჩი (10)-ლოპესი; ნადალი (2)-დელ პოტრო.

WTA

სონი ერიქსონის ღია

მაიამი (აშშ). 21 მარტი-1 აპრილი. ჰარდი

საპრიზო ფონდი: 3 450 000 დოლარი

1/16 ფინალი

სერენა უილიამსი (აშშ, 13)-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 23) 6:3, 6:4.

1/8 ფინალი

ჟუსტინ ანენი (ბელ, 2)-ვერა ზვონარევა (რუს, 18) 6:3, 6:2; **შაარ პეერი (ისრ, 14)**-სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3) 6:4, 4:6, 6:3; **ნა ლი (ჩინ, 15)**-კიმ კლაისტერსი (ბელ, 4) 4:6, 6:4, 6:2; **ნადია პეტროვა (რუს, 6)**-დინარა საფინა (რუს, 10) 3:6, 6:2, 6:4; **ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 8)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:2, 6:4; **ანა ჩაკვეტაძე (რუს,9)**-მარა სატანჯელო (იტა, 32) 6:1, 7:5; **ტატიანა გარბინი (იტა, 24)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ) 6:4, 6:2.

1/4 ფინალში ხვდებიან

შარაპოვა (1)/სერენა უილიამსი-ვაიდიშოვა (8); პეერი (14)-გარბინი (24); ჩაკვეტაძე (9)-ნალი (15); ანენი (2)-პეტროვა (6).

კალათბურთი

პარკერმა რეპ-ალბომი გამოუშვა

ორშაბათს, "სან ანტონიო სპურსის" ფრანგმა ლეგიონერმა **ტონი პარკერმა** თავისი პირველი მუსიკალური ალბომის პრეზენტაცია მოაწყო. დისკში რეპის სტილში ჩაწერილი კომპოზიციებია შესული. პარკერი სიმღერებს ფრანგულად ასრულებს და თავის თაყვანისმცემლებს, მუსიკის დახმარებით საკუთარ ცხოვრების სტილზე უამბობს.

24 წლის პარკერი NBA-ის ყველაზე მაღალანაზღაურებად კალათბურთელთა რიცხვში შედის. "სან ანტონიოს" გამთამაშებელმა თავის პირველ ალბომს "ტონი პარკერი" უწოდა.

გარბახოსამ კინაღამ ფეხი მოიტეხა

"ტორონტო რეპტორზის" ფორვარდმა **ხორხე გარბახოსამ** "ბოსტონ სელტიქსთან" მატჩში ფეხის ტრავმა მიიღო. ესპანელმა ფეხი მაშინ დაიზიანა, როდესაც **ელ ჯეფერსონის** ტყორცნის ბლოკირებას ცდილობდა.

შეტაკების შემდეგ, გარბახოსა საკაცით გაიყვანეს მოედნიდან და საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ტრავმის სერიოზულობას სამედიცინო შემოწმება დაადგენს.

"მეგონა, რომ მან ფეხი მოიტეხა. გარბახოსა ისე ყვიროდა, რომ ტკივილი მეც გადამედო", - განაცხადა ჯეფერსონმა.

შაკმა რეჯი მილერს გაასწრო

გუშინ, "ატლანტა ჰოუქსთან" მატჩში, "მაიამი ჰიტის" ცენტრალურმა თავდამსხმელმა **შაკილ ო'ნილმა** კარიერაში 25280-ე ქულა დააგროვა და ყველა დროის ბომბარდირებს შორის "ინდიანა პეისერსის" ლეგენდარულ მცველ **რეჯი მილერს** გადაასწრო. ახლა, შაკი ამ სიაში მე-12 ადგილს იკავებს.

ამ ეტაპისთვის, ო'ნილის საშუალო შედეგიანობა 26.0 ქულას უტოლდება.

არტესტმა წასვლა გადაიფიქრა

"საკრამენტო კინგზის" ფორვარდმა **რონ არტესტმა** რადიო ESPN-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ არ აპირებს კარიერის დასრულებას. როგორც იცით, უფრო ადრე სკანდალურად ცნობილმა კალათბურთელმა თანაგუნდელებთან საუბარში განაცხადა, რომ შესაძლოა მან მალე დატოვოს დიდი სპორტი. არტესტი ამ აზრამდე ციხეში ჯდომისას მივიდა, სადაც ის ცოლის შეურაცხყოფისთვის მოხვდა. მაგრამ ახლა, როცა რონი კვლავ ოჯახთან ერთად იმყოფება, კალათბურთიდან წასვლის სურვილი თავისთავად გაქრა.

"კალათბურთიდან წასვლას არ ვაპირებ. როცა გვერდით არ გყავს შვილები, დეპრესიული ხდები. კარიერის დასრულების გამო განცხადებებიც მხოლოდ იმიტომ გავაკეთე, რომ ოჯახისგან შორს ვიყავი", - განაცხადა არტესტმა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

მაიამი-ატლანტა 106:89

28:22, 29:30, 25:17, 24:20

მაიამი: შ. ო'ნილი (22 ქ. 11 ქ), პოუსი (19 ქ), უილიამსი (14 ქ. 5 პ), ჯონსი (13 ქ. 9 მ).

ატლანტა: ს. სტაუდმაიერი (22 ქ), სმიტი (20 ქ. 6 მ), უილიამსი (14 ქ. 8 მ).

ბოსტონი-ტორონტო 95:87

22:19, 20:19, 23:18, 30:31

ბოსტონი: პირსი (23 ქ. 8 პ. 5 მ), ჯეფერსონი (22 ქ. 9 მ), უესტი (18 ქ), რონდო (16 ქ. 8 პ. 5 მ), გრინი (10 ქ).

ტორონტო: ფორდი (28 ქ. 9 პ), პარკერი (16 ქ), ბოში (15 ქ. 11 მ).

ნიუ იორკი-ორლანდო 89:94

21:23, 28:22, 15:25, 25:24

ნიუ იორკი: მარბერი (32 ქ. 5 მ), კარი (17 ქ).

ორლანდო: ნელსონი (18 ქ. 5 მ), თურქოგლუ (18 ქ. 5 პ), ბეტი (14 ქ), ჰოვარდი (10 ქ. 14 მ).

დეტროიტი-დენვერი 113:109 (ო)

26:13, 16:31, 29:27, 27:27, 15:11

დეტროიტი: ბილაპსი (34 ქ. 10 პ. 5 მ), რ. უოლასი (22 ქ. 9 მ), მაკდაესი (20 ქ. 11 მ), პრინსი (19 ქ. 8 მ).

დენვერი: კემბი (24 ქ. 13 მ), ნენე ილარიო (21 ქ. 17 მ), სმიტი (21 ქ. 5 მ), აივერსონი (16 ქ. 8 პ).

ჩიკაგო-პორტლენდი 100:89

25:31, 16:14, 28:18, 31:26

ჩიკაგო: დენგი (38 ქ. 5 პ), ჰაინრიხი (21 ქ. 12 პ), გორდონი (17 ქ), ბ. უოლასი (16 მ).

პორტლენდი: ოლდრიჯი (20 ქ. 8 მ), რენდოლფი (17 ქ. 8 მ. 5 პ), უებსტერი (14 ქ), ჯეკი (10 ქ. 9 პ).

ჰიუსტონი-მილუოკი 106:87

33:20, 20:25, 28:15, 25:27

ჰიუსტონი: მაკგრეიდი (22 ქ. 10 პ), იაო მინი (22 ქ. 8 მ), ელსტონი (13 ქ), ჰედი (13 ქ), ჰოვარდი (12 ქ. 10 მ).

მილუოკი: რედი (26 ქ. 5 მ), ბელი (20 ქ. 5 მ), პატერსონი (16 ქ), ბოიკინსი (13 ქ. 7 პ).

იუტა-ვაშინგტონი 103:97

13:18, 22:23, 35:30, 33:26

იუტა: ბუზერი (41 ქ. 16 მ), უილიამსი (16 ქ. 13 პ), ოქური (16 ქ. 5 მ).

ვაშინგტონი: არენასი (32 ქ), სტივენსონი (21 ქ. 6 მ), ჯეიმისონი (20 ქ. 8 მ), სონგაილა (10 ქ. 6 მ).

ფინიქსი-მემფისი 105:87

31:27, 27:16, 22:21, 25:23

ფინიქსი: ბელი (29 ქ), ა. სტაუდმაიერი (27 ქ. 12 მ), ბარბოზა (12 ქ. 6 პ), ნეში (11 ქ. 9 პ).

მემფისი: გასოლი (21 ქ. 10 მ), გეი (13 ქ), უორიკი (12 ქ. 8 მ), კინსი (12 ქ), ჯონსი (12 ქ).

გ. სტეიტი-ს. ანტონიო 89:126

30:36, 24:37, 12:29, 23:24

გოლდენ სტეიტი: ელისი (17 ქ. 5 პ), დევისი (17 ქ), ჯექსონი (12 ქ. 5 მ), პიეტრუსი (10 ქ. 8 მ).

სან ანტონიო: დანკანი (20 ქ. 8 მ. 5 პ), პარკერი (20 ქ. 9 პ), ფინლი (20 ქ), ჯინობილი (17 ქ. 6 მ), ბოუენი (14 ქ).

კვირის მოთამაშეები

დასავლეთი კონფერენციიდან გასული კვირის საუკეთესო მოთამაშე ზედიზედ მეორედ, "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ლიდერი **კობი ბრაიანტი** გახდა.

კობისთვის გასული კვირა იმით დაიწყო, რომ მან ზედიზედ მეოთხე მატჩში შეძლო 50-ქულიანი ზღვარის გადალახვა, რითაც ის NBA-ის ისტორიაში მეორე მოთამაშე გახდა, ვინც მსგავსი შედეგის ჩვენება შეძლო (პირველი ლეგენდარული **უილტ ჩემბერლენი** იყო). წინა 7 დღეში, "ლეიკერსმა" სამი მატჩი ჩაატარა და ბრაიანტი თითოში საშუალოდ 51.0 ქულას აგროვებდა.

ამ ბრწყინვალე სერიის წყალობით, "ლეიკერსის" მცველი ამ სეზონში ლიგის საუკეთესო ბომბარდირთა დავაში პირველ ადგილზე გადავიდა.

აღმოსავლეთიდან კვირის მოთამაშის ტიტული "შარლოტ ბობკეტსის" ფორვარდ **ჯერალდ უოლასს** ერგო. ამ კალათბურთელის საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები ასეთი იყო - 20.3 ქულა, 7.0 მოხსნა, 4.0 პასი და 2.33 დაფარება.

კვირის მოთამაშის ტიტულისთვის კიდევ ეს კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ბენ გორდონი, კირკ ჰაინრიხი** (ორივე - "ჩიკაგო ბულზი"), **დირკ ნოვიცკი** ("დალას მავერიქსი"), **ტრეისი მაკგრეიდი** ("ჰიუსტონ როკეტსი"), **კრის ბოში** და **ტი ჯეი ფორდი** (ორივე - "ტორონტო რეპტორზი").

მსოფლიოს ჩემპიონატი

ფელპსის შოუ და ბევრი რეკორდი

გუშინდელი დღე ცურვის მოყვარულებისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო - მელბურნში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე, 90-წუთიან ინტერვალში ექვსი რეკორდი დამყარდა, რომელთაგან ოთხი მსოფლიოსია, ორი კი მსოფლიო ჩემპიონატებისა (მარტო ჩემპიონატებზე რომ ფიქსირდება). რაც მთავარია, დაემხო სპორტიდან ახლახანს წასული ავსტრალიელი **იან ტორპის** რეკორდი 200 მეტრზე თავისუფალში.

ამ მოვლენის ავტორი, რა თქმა უნდა, ამერიკელი **მაიკლ ფელპსია**. რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ის ამ რეკორდის დასამხობად სპეციალური პროგრამით ემზადებოდა და თითქმის დარწმუნებული იყო იმაში, რომ მიზანს მიაღწევდა.

ფელპსის გარდა, რეკორდები გააუმჯობესეს ამერიკელებმა **აარონ პირსოლმა** და **ნატალი კაფლინმა**, ასევე იტალიელმა **ფედერიკა პელეგრინიმ**. პირველმა ორმა (ორივე კალიფორნიელია) 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში თავიანთივე რეკორდები გააუმჯობესეს, პელეგრინიმ კი თავისი მიღწევა 200 მეტრზე თავისუფალში დააფიქსირა.

მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდების ავტორები კი არიან ამერიკელი **კეიტ ციგლერი** და ავსტრალიელი **ლეიზელ ჯონსი**. პირველმა 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ყველა დროის მეორე საუკეთესო შედეგი დააფიქსირა, მეორემ კი ასევე ყველა დროის მეორე საუკეთესო დროით, 100 მეტრი ბრასის სტილით მოიგო.

200 მეტრზე თავისუფალის წინასწარ გაცურვებსა და ნახევარფინალში საუკეთესო დრო ჰოლანდიელ **პეტერ ვან დენ ჰოოგენბანდს** ჰქონდა, ვისაც ბევრი ფინალის ფავორიტადაც მიიჩნევდა. მაგრამ 21 წლის ამერიკელმა მთავარი სიურპრიზი ფინალისთვის შემოინახა. მან დისტანცია წუთსა და 43.86 წამში გაცურა და 0.20 წამი მოაკლო ტორპის ძველ რეკორდს, რომელიც ავსტრალიელმა "ტორპედომ" 2001 წელს იაპონიის ქალაქ ფუკუოკაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე დააფიქსირა.

აღსანიშნავია, რომ ვან დენ ჰოოგენბანდმა ფუკუოკას მსოფლიო ჩემპიონატზეც მეორე ადგილი დაიკავა, ოღონდ მაშინ ტორპთან წააგო. ამათ ათენის ოლიმპიადაზეც პირველი-მეორე ადგილები დაიკავეს, ფელპსი კი მაშინ ბრინჯაოს დასჯერდა. ამჯერად კი ბრინჯაოს მედალს ჩემპიონატის კორეელი აღმოჩენა, **პარკ ტაე-ჰვანი** დაეუფლა, ვინც 400 მეტრზე თავისუფალში უკვე მოასწრო ოქროს მედლის აღება.

"ძალიან მინდოდა, აქ ტორპსაც ესპარეზა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. სამაგიეროდ, ორიენტირად მისი რეკორდი მქონდა, მეტოქეობას კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მოცურავე (ვან დენ ჰოოგენბანდი) მიწევდა. ამ ფინალისთვის დიდი ხანია, ვემზადებოდი. გასახურებლად წყალში რომ ჩავხტი ვიგრძენი, რომ მარტო მოგება კი არა, რეკორდთან გაჯიბრებაც შემეძლო. კარგია, როცა მსოფლიოს ჩემპიონი ხდები, მაგრამ კიდევ უფრო კარგია, როცა ამას რეკორდული შედეგით ახერხებ", - განაცხადა ფელპსმა, ვისაც მსოფლიო რეკორდები ასევე ეკუთვნის 200 მეტრზე ბატერფლაისა და 200 და 400 მეტრზე ინდივიდუალური, შერეული სტილით ცურვაში.

"ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რაოდენ ბრწყინვალე მოცურავე იყო ტორპი, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ასე მალე მასზე უკეთესი გამოჩნდებოდა", - ასე შეაფასა ამერიკელი მეტოქე ვან დენ ჰოოგენბანდმა, ვინც 100 მეტრზე თავისუფალში ფლობს მსოფლიო რეკორდს.

არანაკლებ შთამბეჭდავი იყო პელეგრინის გამოსვლა, ვინც ნახევარფინალურ გაცურვაში შეძლო სახელოვანი გერმანელის, **ფრანცისკა ვან ალმსიკის** რეკორდი, რომელიც მას 2002 წელს, ბერლინში ჩატარებულ ევროპის ჩემპიონატზე ჰქონდა დამყარებული. 18 წლის იტალიელმა დისტანცია წუთსა და 56.47 წამში გაცურა და 0.17 წამი მოაკლო ძველ რეკორდს (1:56.64).

"საოცარია, მაგრამ ეს მე შევძელი. ახლაც არ მჯერა, რომ ეს მოხდა. აქ კარგ ფორმაში ჩამოვედი, 400 მეტრზე ჩემს საუკეთესო შედეგს სამი წამი მოვაკელი, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ რეკორდის გაუმჯობესებას შევძლებდი", - განაცხადა პელეგრინიმ, ვინც ათენში ვერცხლის მედალი მოიპოვა და ამგვარად, გახდა ყველაზე ახალგაზრდა იტალიელი სპორტსმენი, ვისაც კი ინდივიდუალური ოლიმპიური მედალი მოუპოვებია.

პელეგრინიმ განაცხადა, ათენის შემდეგ იმედი მომეცა, რომ რეკორდს შევწვდებოდი, მაგრამ ეს ორი სეზონი ჩემთვის ძალიან ძნელი გამოდგა და ბედნიერი ვარ, რომ ამ სიძნელეების დასრულება მსოფლიო რეკორდით აღვნიშნეო.

ფრანგი **ლორ მანოდუს** იმედებს, მელბურნში ოქროს რვა მედალი მოეპოვებინა, გუშინ დაესვა წერტილი. ის ჯერ კაფლინთან პაექრობაში დამარცხდა, შემდეგ ციგლერთან ერთად 1500 მეტრზე თავისუფალში იასპარეზა და ბოლო ადგილი დაიკავა, მესამედ კი 200 მეტრზე თავისუფალში, პელეგრინის ჯგუფში მეხუთე ადგილს დასჯერდა. ამ სამ მარცხს ერთი საერთო ნიშანი ჰქონდა - სამივეში რეკორდები დამყარდა.

კაფლინმა 100 მეტრი გულაღმა 59.44 წამში გაცურა და თავის ძველ რეკორდს (59.58), რომელიც 2002 წელს, ფლორიდის ფორტ ლაუდერდეილში ჰქონდა დამყარებული, 0.14 წამით აჯობა. მანოდუ ამჯერად ვერცხლს დასჯერდა. სამაგიეროდ, ის მეორე ქალი მოცურავეა, ვინც დისტანცია წუთზე ნაკლებში გაცურა. თუმცა, ეს ნუგეშად ვერ გამოადგა - ფრანგი კვარცხლბეკზე დამწუხრებული იდგა (ამის მიზეზი ზემოთ მოგახსენეთ).

რაც შეეხება კაფლინს, მან ცურვა ისე სწრაფად დაიწყო, პირველი მუხლი 28.30 წამში გაცურა, რაც მნიშვნელოვნად სჯობს 50 მეტრის მსოფლიო რეკორდს. უკანა გზაზე ის ასეთი სწრაფი აღარ ყოფილა, რითაც მანოდუს დაწევის საშუალება მიეცა, მაგრამ ფრანგმა დაწინაურება ველარ შეძლო.

არანაკლებ შთამბეჭდავად იასპარეზა პირსოლმაც, ვინც თავის ძველ რეკორდს (რომელიც 2005 წელს, ინდიანაპოლისში დაამყარა) 0.19 წამი მოაკლო და ამ დისტანციაზე მესამედ გადხა მსოფლიო ჩემპიონი.

"საერთოდ, მსოფლიო ჩემპიონატებზე დროზე მეტად მნიშვნელოვანი დაკავებული ადგილია, მაგრამ როცა რეკორდზეა ლაპარაკი, ეს განსაკუთრებული მოვლენაა", - განაცხადა პირსოლმა, ვინც თითქმის ნახევარი წამით აჯობა თანაგუნდელ **რაიან ლოხტეს**. ამას წინასწარ გაცურვებში საუკეთესო შედეგი ჰქონდა, მაგრამ ფინალში ჩემპიონის სისწრაფეს ვერაფერი დაუპირისპირა.

სხვათა შორის, ნაფინიშევს პირსოლმა თავის მეტოქეებს მადლობა გადაუხადა და მერე პრესკონფერენციაზეც განაცხადა, მათი თავდადება რომ არა, ალბათ რეკორდიც არ იქნებოდაო.

შეგახსენებთ, რომ პირსოლი შეუდარებელია 100 და 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში. უკვე ხუთი წელია, მას ამ დისტანციებზე ტურნირი არ წაუგია, ამ პერიოდში კი ორივეზე სამ-სამჯერ გახდა მსოფლიოსა და ორ-ორჯერ ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი!!!

ას მეტრზე ბრასში კვლავ არ ჰყავდა ბადალი ოზ **ლეიზელ ჯონსს**, ვინც ამ დისტანციაზე მსოფლიოს ჩემპიონიცაა და მსოფლიო რეკორდსმენიც. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პირველად მონრეალში მოიპოვა, ბოლო რეკორდი კი შარშან, მელბურნში, ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებზე დაამყარა.

აღსანიშნავია, რომ ჯონსი მხოლოდ 21 წლისაა, მაგრამ საერთაშორისო დონეზე უკვე შვიდი სეზონია, ასპარეზობს. თუმცა, მონრეალამდე მისი საუკეთესო ინდივიდუალური შედეგი სიდნეისა და ათენის ოლიმპიადებზე მოპოვებული ვერცხლი იყო (ათენში ესტაფეტაში ოქროც აიღო). მსოფლიო ჩემპიონი მონრეალამდე ბარე ორჯერ მაინც უნდა გამხდარიყო, მაგრამ ორივე შემთხვევაში, საკუთარმა ნერვებმა უმტყუნა. ამჯერად კი ასი მეტრი წუთსა და 05.72 წამში გაცურა და თავის რეკორდამდე 0.63 წამი დააკლდა. სამაგიეროდ, ტიტული შეინარჩუნა.

რაც შეეხება ციგლერს, მას ცურვაში ყველაზე ძველი რეკორდის გაუმჯობესებამდე წამი დააკლდა. მან სტარტიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და წინ არავინ გაუშვია. ფინიშის დაფას კი 15 წუთსა და 53.05 წამში მისწვდა, რაც ამერიკელი **ჯანეტ ევანსის** მიერ 1988 წელს დამყარებულ რეკორდზე 0.95 წამით უარესი შედეგია.

"როცა საკუთარ საუკეთესო შედეგს ორი წამით აუმჯობესებ, უკმაყოფილო არ უნდა იყო. თუმცა, თუ რეკორდამდე სულ ცოტა გაკლდება, ეს საწყენია. ჯანეტ ევანსი ყოველთვის ჩემი კერპი იყო და მიხარია, რომ მის ფენომენალურ შედეგს ასე მივუახლოვდი", - განაცხადა 18 წლის ციგლერმა, ვინც 1000 მეტრის შემდეგ რეკორდზე უკეთესი გრაფიკით მიცურავდა, მაგრამ შემდეგ დაიღალა და ასე განსაჯეთ, ბოლო 50-მეტრიან მონაკვეთზე ძალიან გაუჭირდა, როცა მას შვეიცარიელი **ფლავია რიგამონტი** წამოეწია.

საბოლოოდ, რიგამონტი ვერცხლს დასჯერდა, ბრინჯაო კი იაპონელ **აი შიბატას** ერგო, ვინც 800 მეტრზე თავისუფალში ოლიმპიური ჩემპიონია.

მერაბ ლორთქიფანიძე

მელბურნი (ავსტრალია)
როდ ლეივერის არენა

კაცები

200 მეტრი თავისუფალით

1. მაიკლ ფელპსი (აშშ) 1:43.86 (**მსოფლიო რეკორდი**); 2. პეტერ ვან დენ ჰოოგენბანდი (ჰოლანდია) 1:46.28; 3. პარკ ტაე-ჰვანი (კორეა) 1:46.73...

100 მეტრი გულაღმა

1. აარონ პირსოლი (აშშ) 52.98 (**მსოფლიო რეკორდი**); 2. რაიან ლოხტე (აშშ) 53.50; 3. ლაიამ ტენკოკი (ბრიტანეთი) 53.61...

ქალები

100 მეტრი გულაღმა

1. ნატალი კაფლინი (აშშ) 59.44 (**მსოფლიო რეკორდი**); 2. ლორ მანოდუ (საფრანგეთი) 59.87; 3. რეიკო ნაკამურა (იაპონია) 1:00.40...

1500 მეტრი თავისუფალით

1. კეიტ ციგლერი (აშშ) 15:53.05 (**მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდი**); 2. ფლავია რიგამონტი (შვეიცარია) 15:55.38; 3. აი შიბატა (იაპონია) 15:58.55...

100 მეტრი ბრასით

1. ლეიზელ ჯონსი (ავსტრალია) 1:05.72 (**მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდი**); 2. ტარა კირკი (აშშ) 1:06.34; 3. ანა ხლისტუნოვა (უკრაინა) 1:07.27...

ნატალი კაფლინი



აარონ პირსოლი



ფედერიკა პელეგრინი



მაიკლ ფელპსი

TV სპორტი

28 მარტი. ოთხშაბათი

იმედი

20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საქართველო-ფარერები.

HTB-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ინდეპენდიენტე.
14:15 ამხანაგური მატჩი. ბრაზილია-განა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
17:00 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
18:35 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:55 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:55 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ისრაელი-ესტონეთი (LIVE).
21:55 პირდაპირი ხაზი.
22:55 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ანდორა-ინგლისი (LIVE).
00:50 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:05 ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. იტალია-შოტლანდია.

SPORT 1 (უკრაინა)

07:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიონი-რომა.
08:50 სპორტის ისტორია.
09:00 სპორტინფორმი.
09:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალის მიმოხილვა.
10:15 სპორტინფორმი.
10:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. პორტუგალია-ბელგია.
12:15 სპორტინფორმი.
12:25 კალათბურთი. FIBA. ყველა ვარსკვლავის მატჩი.
15:10 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. ჰოლანდია-რუმინეთი.
16:55 სპორტის ისტორია.
17:00 სპორტინფორმი.
17:10 კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. ოლიმპიაკოსი-ხუვენტუდი.
18:55 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
19:21 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-ნიუ ჯერსი.
21:05 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
21:40 სპორტინფორმი.
21:50 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მექსიკა.
22:50 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. სლოვენია-ჰოლანდია (LIVE).
00:45 სპორტინფორმი.
00:55 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. უელსი-სან მარინო.
02:50 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. დღის მიმოხილვა.
03:25 კალათბურთი. ევროლიგა. II ჯგუფური ეტაპი. ოლიმპიაკოსი-ხუვენტუდი.
05:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბაიერნი-რეალი.

EUROSPORT

09:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია.
10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. პეკინი (LIVE).
12:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია (LIVE).
14:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. პეკინი (LIVE).
17:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
18:45 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია.
20:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
21:45 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ფლეი ოფი.
22:15 აფროსნობა.
22:20 მულტისპორტი.
22:25 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. ჰოლანდია.
23:30 გოლფი.
23:35 აფროსნობა.
23:40 მულტისპორტი.
00:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. სერბეთი-პორტუგალია, პოლონეთი-სომხეთი, სლოვენია-ჰოლანდია, ირლანდია-სლოვაკეთი.
01:00 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
01:30 ველოსპორტი. მსოფლიო თასი (ტრეკი). სეზონის შეჯამება.
02:30 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია.
03:00 ცურვა. მსოფლიო ჩემპიონატი. წყალში ხტომა. მელბურნი. ავსტრალია (LIVE).

EUROSPORT-2

08:30 ახალი ამბები.
11:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. ჰოლანდია-რუმინეთი.
11:45 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-ბოსნია.
12:30 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. საბერძნეთი-თურქეთი.
13:15 ახალი ამბები.
15:00 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-საფრანგეთი.
16:15 ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები. ჰოლანდია-რუმინეთი.
17:00 ლაკროსი. რეგულარული ჩემპიონატი. პორტლენდი-სან ხოსე.
18:00 არენა ფეხბურთი. რეგულარული ჩემპიონატი. ორლანდო-დალასი.
19:00 ახალი ამბები.
19:30 სნოუბორდი.
20:00 სკიკროსი.
20:30 ახალი ამბები.
21:00 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ბილიარდი. პული. ევროტური. ჩეხეთი.
22:30 მულტისპორტი.
23:00 რესტლინგი.
00:30 მულტისპორტი.
01:00 ახალი ამბები.
02:00 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
03:45 ახალი ამბები.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ამხანაგური მატჩები

ჩინეთი-უზბეკეთი	3:1
საბერძნეთი (U21)-დანია (U21)	2:1
ბულგარეთი (U21)-უკრაინა (U21)	2:1
კვიპროსი (U21)-ფინეთი (U21)	3:3
სერბეთი (U21)-პორტუგალია (U21)	2:0
ბრაზილია-განა	1:0
მალტა (U21)-შვედეთი (U21)	2:1
საფრანგეთი (U21)-ნორვეგია (U21)	0:1
პოლანდია (U21)-ირლანდია (U21)	1:0
ბოსნია (U21)-შვეიცარია (U21)	1:0
გერმანია (U21)-ჩეხეთი (U21)	1:0

ინგლისი

I ლიგა

როთერჰემი-ბლეკპული	1:0

II ლიგა

შრიუსბერი-როჩდეილი	3:0
უიკომბი-როვერსი	0:1

კონფერენსი

ალდერშოტი-უეიმაუთი	1:0
ალტრინჩემი-სტეფორდი	0:1
ქროული-უოკინგი	0:0
ფორესტ გრინი-ექსეტერი	2:1
გრეისი-რაშდენი	3:1
კიდერმინსტერი-ბარტონი	0:0
მორეკამბი-ნორთვიჩი	2:1
საუთპორტი-ჰალიფაქსი	1:1
ტამუორტი-გრეივსენდი	2:1
იორკი-სტივენიჯი	0:1

გერმანია

რეგიონალლიგა (ჩრ)

ჰამბურგი II-ლევერკუზენი II	4:1
დინამო-ვუპერტალი	1:1
კილი-ვილჰელმშავენი	3:1
ოსნაბრიუკი-ვერდერი II	0:0
ერფურტი-დორტმუნდი II	0:1
სტ. პაული-ემდენი	2:0

შოტლანდია

III დივიზიონი

არბროა-ისტ სტირლინგი	3:2

კალათბურთი

საფრანგეთი

ბურკი-შალონი	68:98
ვილერბანი-დიჟონი	80:73
გრაველინი-ჰავრი	76:87
ორლეანეზი-ნანსი	69:98
რეიმსი-შოლე	73:58
რუანი-პო ორტეზი	92:91
სტრასბური-კლერმონი	89:74
ტულონი-ბეზანსონი	92:83

ჰოკეი

გერმანია

ჰანოვერი-ნიურნბერგი	2:2

ჩეხეთი

ლიბერეცი-სპარტა	4:5

შვეიცარია

დავოსი-ბერნი	3:2

შვედეთი

ფერიესტადი-ლინჩოპინგსი	1:4
ჰვ71-მოდო	4:3

ჩოგბურთი

ATP. მაიამი

მარეი-მატიო	2:6, 7:5, 6:3
რობრედო-სტეპანეკი	7:6, 5:7, 7:6
როდიკი-ფერერი	7:5, 6:3
ჩელა-დელიჩი	6:3, 6:2

WTA. მაიამი

ს. უილიამსი-შარაპოვა	6:1, 6:1
ჩაკვეტაძე-ნა ლი	4:6, 7:5, 6:2



ადრიანეს კედელს გადაღმა

- ქართველები ხართ? – გლაზგოს აეროპორტში გვკითხეს და პასუხს არც დალოდებიან, იქვე ერთმანეთს გადაულაპარაკეს – ესენი თამაშზე იქნებიანო.

პირველი, რაც ავტობუსის მძღოლმა გააკეთა, გლაზგოს სილამაზეზე დაიწყო საუბარი. ღამეა და მისი ნაუბარის სისწორეში დარწმუნებას ვერ ვახერხებთ, თანაც, მთელი დღის ნამგზავრები დაღლილებიც ვართ. პირდაპირ ნაკრების სასტუმროში მივდივარ. გლაზგოსთან ოთხსაათიანი სხვაობა ძალიან მიშლის ხელს - ერთ საათში მაქვს მოსასწრები დაწერაც და გაგზავნაც.

დილით, ნასაუზმევს და ქალაქში გასულს, უცნაური სანახაობა მხვდება. ქუჩაში აურაცხელი ხალხი ტრიალებს, არადა არც პიკის საათია და არც რაიმე სანახაობა.

- ოდმენტს დეი სერ – ვიღაც გამვლელი შეეცადა ჩემს გარკვევას, გაკვირვებული რომ მნახა და იქვე ამიხსნა რასაც ნიშნავდა – დღეს ყველაფერი იაფად იყიდება და ხალხიც ემზადება მაღაზიებში შესავარდნად გაღებისთანავე.

ქუჩაში დავეხეტები, ქალაქს ვათვალიერებ. ვერ ვიტყვი, გლაზგოს სილამაზემ დამატყვევა-მეთქი, ერთი ჩვეულებრივი მოვლილი ევროპული ქალაქია, რომლის მშენებლობაც ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მაღაზიები, რესტორნები, დუქნები, ღამის კლუბები –არ დაითვლება, იმდენია. ეკლესიაც კი გადაუკეთებიათ ღამის კლუბად. მემგონი გადავგვარდით, წუწუნებენ შოტლანდიელები.

მზე ნელ-ნელა ამოდის, ჰაერს ათბობს და დილის ნისლისგან დასველებულ ქუჩებს აშრობს. მაღაზიებიც იღება და ჯგუფებად შეკრებილი ხალხიც მომენტალურად აღმოჩნდა მაღაზიების გაღებულ კარს იქით.

- რამდენიმე წლის წინათ აქ ცარიელი ადგილი იყო – მეუბნება ერთ-ერთი "აქაური" ქართველი – ისე სწრაფად აშენებენ ყველაფერს, გაგიკვირდება. ინგლისი ჰყავთ, რა, იმის გარეშე ვინ რისი გამკეთებელია. არადა, მაინც დამოუკიდებლობა უნდათ. რაღაც მოძრაობაც კი ჩამოაყალიბეს.

ნაკრების ვარჯიშის დრო დგება. ვემშვიდობები ახალგაცნობილს და სასტუმროში მივდივარ. ყველა შთა არველაძისა და ზურაბ ხიზანიშვილისგან ცდილობს გაგებას, სად რისი გაკეთება შეიძლება გლაზგოში.

- რა არის, იცი, აქ უნდა იცხოვრო. დათვალიერებელი ედინბურგია. შოტლანდიაში რომ ხარ, ედინბურგი უნდა ნახო, თორემ გლაზგოში ბევრს ვერაფერს იპოვი – ამბობს შოთა.

- თქვენ რუსულად არ ლაპარაკობთ? – "რეინჯერსის" ბაზაზე ვარჯიშის სანახავად მისულს მეკითხება შოტლანდიის ფედერაციის წარმომადგენელი.

- დიახ, თქვენ საუბრობთ რუსულად?

- არა, უბრალოდ მაინტერესებდა. ესე იგი ქართველები რუსულად საუბრობთ?

- არა, ჩვენ ჩვენი ენა გვაქვს, ქართული, მაგრამ საბჭოთა კავშირში ვცხოვრობდით და რუსული ბევრმა იცის.

ნაკრების ვარჯიში ხალისიანად მიმდინარეობს. იმის ფიქრში ვარ, რას და როგორ მოვასწრებ სალამოს, ოჰ, ეს ოთხსაათიანი სხვაობა...

- ბიჭებო დაცვისას ეცადეთ თითოეულმა თქვენი კაცი აიყვანოთ – თანაგუნდელებს მითითებებს აძლევს შოთა არველაძე. გუნდი ოთხადაა გაყოფილი. თითოეულ გუნდს სამ-ოთხჯერ უწევს თამაში.

- ეგრე არა, ეგრე არა – ისევ შოთას ხმა ისმის – მისმინე, შუაში ნუ დგახარ, კაცი აიყვანე, თორემ გაგექცევა და ეცადე, ბურთი არ მოიშორო.

მეორე გუნდიდან იაშვილის ხმა ისმის ყველაზე მეტად – ცოტა აქტიურად, აქტიურად, თორემ წავაგეთ თამაში. მიიღებ ბურთს და ეგრევე პასი გააკეთე. აი, ეგრე, აი, ეგრე.

იაშვილის აქტიურობას გოლი მოაქვს.

- კაცი აიყვანეთ, კაცი, რას დგახართ შუაში – შოთა უკმაყოფილოა.

კომბინაციების დამუშავება მიდის. ბურთი ხან ხიზანიშვილს, ხან სალუქვაძეს ამოაქვთ, გადადის ფლანგზე, მერე ცენტრალურ ნახევარმცველებთან, იქიდან ისევ ფლანგზე – შეტევაში ხან განაპირა ნახევარმცველები არიან, ხან მცველები – იქიდან კი მიდის ჩაწოდება საჯარიმოში.

საათნახევრიანი ვარჯიში მთავრდება. ტოპმიოლერი ყველაფერით კმაყოფილი არ არის, გამომეტყველებაზე ეტყობა.

- ეცადე, აქაურებს ბრიტანელი არ დაუძახო, ამას მტკივნეულად აღიქვამენ, ინგლისელის დაძახებაზე კი შეიძლება მაგარ შარშიც აღმოჩნდე. – მეუბნება მაგარ შარშიც აღმოჩნდე. – მეუბნება დილას გაცნობილი ქართველი, რომელიც საღამოს სასტუმროში გვესტუმრა ქართველების სანახავად. სასტუმროს უკანა მხარეს ბარია, საკმაოდ პრესტიჟული, რაკილა მხოლოდ სმოკინგებში და საღამოს კაბებში გამოწყობილი ხალხი ირევა. სასტუმროს ჰოლში გამოდის რამდენიმე, ლუდს უკვეთს. რასაც ორი დღე ვუყურებ, ლუდი აქ უზომო რაოდენობით ისმევა.

- ქართველებოოოო! – ყვირის მთვრალი შოტლანდიელი – გაგიმარჯოთ!

მას დანარჩენებიც აჰყვნენ და... მერე წავიდა საუბარი, რა კავშირი აქვთ იბერიელებსა და კელტებს, რა ურთიერთობა აქვთ მათ ინგლისელებთან, ჩვენ - რუსებთან და ასე შემდეგ.

ზღვარი შოტლანდიასა და ინგლისს შორის საკმაოდ მკაფიოდ იკვეთება. ეს არის ეგრეთ წოდებული ადრიანეს კედელი. რომაელების მიერ იმპერატორ ადრიანეს დროს აგებული კედელი, იმპერიის დაპყრობილი მიწების კელტებისგან დასაცავად ააგეს. 120 კილომეტრიანი კედელი ბრიტანეთს ერთ-ერთ ყველაზე წვრილ ადგილას ყოფს.

- კედელს აქეთ სხვა ცხოვრებაა, სხვა წეს-ჩვეულებები – მიხსნის შოტლანდიელი – ფულიც კი სხვაა.

იგივე გირვანქა სტერლინგი აქ შოტლანდიურია და შოტლანდიის ბანკი უშვებს. შესაბამისად მასზე არა ბრიტანეთის დედოფალია გამოსახული, არამედ გამორჩეული შოტლანდიელები.

თამაშის წინა დღეა. მატარებელი ედინბურგამდე 45 წუთს ანდომებს, მეუბნებიან სადგურში. ედინბურგში წასვლა მაქვს გადაწყვეტილი. ყველაფერი კარგად გავთვალე, ჩასვლა-ჩამოსვლას და ნაკრების ვარჯიშზე მოხვედრას ვასწრებ.

ალაგ-ალაგ კლდეში გაჭრილ ღია გვირაბში უწევს სიარული მატარებელს, როცა კი იქიდან გადის, თვალწინ გვეშლება მწვანე ველები, რომლებიც თითქოს საგანგებოდაა მოწყობილი რაინდთა ბრძოლებისთვის. ციხესიმაგრეები, რომლებიც თითქოს გრავიურიდანაა გადმოტანილი. სანამ მატარებელი სადგურს მიადგება, "მარიფილდი" ჩანს, ეროვნული სტადიონი. მაღალ ბორცვზე ქალაქს თავს დაჰყურებს შესანიშნავი "ქასლი", ციხესიმაგრე, ედინბურგის მთავარი ღირსშესანიშნაობა. საერთოდ ზოგიერთი არსებითი სახელი გარკვეულ მნიშვნელობას ატარებს და საკუთარ სახელადაც კი იქცა. მაგალითად "ქასლი", შოტლანდიელებისთვის "ქასლია" და არა უბრალოდ ციხესიმაგრე, რომელიც აქ არაერთია და არც არავინ ცდილობს "ქასლის" ხსენებაზე დაკონკრეტოს რომელ ციხესიმაგრეზეა საუბარი. ასევეა სამეფო პარკი, რომელიც უბრალოდ "პარკია".

თამაშის წინა დღეა. ვცდილობ, შოტლანდიელების ვარჯიშს დავესწრო, არაფერი გამომდის, ახლოსაც არავინ მაკარებს. მთავარი ხომ საქართველოს ნაკრებია და მეც ჩვენების ვარჯიშზე მივდივარ. "ჰემპდენი" საკმაოდ შორია ქალაქის ცენტრიდან, ტაქსით მივდივარ. სტადიონთან შოტლანდიელი ჟურნალისტები და უბრალოდ გულშემატკივრები ირევიან. ყველას აინტერესებს რას წარმოადგენს მათი მეტოქე. პრესაში თითქმის ყველა სტატიაში არველაძე და ხიზანიშვილი არიან ნახსენები. წინა დღით ვარჯიშზე ყველაზე მეტ მითითებას თანაგუნდელებს ხომ შოთა აძლევდა, დღეს ამ როლს ხიზანა ასრულებს. ისე არ აქტიურობს, როგორც შოთა, მაგრამ ცდილობს, ასე ვთქვათ, სისტემაში მოიყვანოს თანაგუნდელთა თამაში, დაალაგოს. განსაკუთრებით დაცვას ეხება ეს.

- ჩაწოდებაზე მარტო არ უნდა დავრჩეთ საჯარიმოში, ამ დროს ისინი ცდილობენ უპირატესობა შექმნან და პირველი ბრძოლა თუ ვერ მოიგეს, გადმოვარდნილ ბურთზე მივარდებიან.

საღამოს პაბში მივდივარ. ამბობენ, შოტლანდიურ დუქანში თუ არ შეხვედი, აქაურ სულს ვერ ჩასწვდებიო.

შესვლისთანავე შემატყვეს იქაური რომ არ ვიყავი. ფხიზელი თითქმის არავინაა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩემი ქართველობის ამბავი რომ გაიგეს, მაგიდიდან მაგიდაზე მეპატიჟებიან ლუდის ერთად დასალევად. ერთი იმასაც მეუბნება, ედინბურგის უნივერსიტეტში საქართველოზე ლექცია წამიკითხეს, მას მერე ვიცი, რასაც წარმოადგენს ეს ქვეყანა და პატივს გცემთ, ბევრი რამით ვგავართ ერთმანეთსო.

თამაშამდე დიდი დრო არაა დარჩენილი. ქუჩაში დიდი რიგებია. თავდაპირველად ვერ ვხვდები რაშია საქმე, თურმე ტაქსიზეა რიგი, ყველა "ჰემპდენზე" მიიჩქარის. იქვე ქართველთა მცირე ჯგუფია. ჩვენებს მცირე წაკინკლავებაც მოსდით შოტლანდიელებთან, მაგრამ, საბოლოოდ, ყველაფერი მშვიდობიანად და ერთად ლუდის სმით მთავრდება. ვაჟკაცობას დიდად ვაფასებთ და რომ არ გაიქეცით, მაგიტომ გცემთ პატივსო. - ამგვარად ხსნიან სქოთები გადაწყვეტილებას, რომ ქართველები ლუდზე დაპატიჟონ. ყველა მთვრალია, მაგრამ განსაკუთრებული აგრესიულობით არავინ გამოირჩევა, არც შეურაცხყოფას გაყენებს ვინმე და არც არავინ ცდილობს, გულშემატკივრობა აგიკრძალოს.

ჰიმნს მღერიან. ედვარდის არმია, რომელმაც უკან გააბრუნა ინგლისელები, დღეს ჩვენ ვართო. იმავეს გვპირდებიან.

- აბა ჰე, წავედით! – ერთმანეთს ამხნევებენ ქართველები.

პირველი გოლი გადის, სტადიონი ლამისაა დაინგრეს ხმაურისგან.

- ეს ბიჭი ვინაა? – უკან მჯდომი მეკითხება დემეტრაძეზე. დემე მართლაც კარგია დღეს.

- უკრაინაში თამაშობს.

- რატომ, ქვეყანა უყვარს? - კითხვის არსს ვერ მივხვდი.

- რა უნდა უკრაინაში, რატომ არ წავა რომელიმე საფეხბურთო ქვეყანაში?

საერთოდ აქ ძნელად ესმით, რატომ მიდიან სათამაშოდ რუსეთში, უკრაინაში. არც იმას დაგიდევენ, რომ იქ უკვე საკმაოდ დიდი ფული ტრიალებს. წარმოიდგინეთ გარი ოკონორიც კი დიდად არ ეხატებათ გულზე ამის გამო.

შოთა წუთიერად ადუმებს სტადიონს.

- თუკი ვინმესგან გოლს ველოდი - შოთასგან. – უკან მჯდომი ისევ შემეხმიანა.

გამეღიმა.

მეორე ტაიმია, მაკლიში შეცვლას შეცვლაზე აკეთებს, თავდასხმას აძლიერებს. ტრიბუნები გრძნობენ, რომ ფეხბურთელებს მხარდაჭერა სჭირდებათ და კიდევ უფრო მეტად ხმაურობენ. პრინციპში ამას ხმაური არ ეთქმის, რიტმულად დასჭექენ ხოლმე. ძნელად წარმოსადგენია, რომ ამაზე ხმამაღლაც შეიძლება ამის გაკეთება, მაგრამ მომდევნო, იმის მომდევნო ყიჟინა მეჩვენება, რომ კიდევ უფრო ხმამაღალია.

თამაში დამთავრდა, გულშემატკივარი მღერის. ტრიბუნებზე ნამდვილი ზეიმია, რომლიც დაახლოებით თხუთმეტი წუთი გრძელდება, მერე კი ეს ყველაფერი პაბებში გადაინაცვლებს. გული არ გაიტეხოთ, წავიდეთ, დავლიოთ, თქვენც მოიგებთ იტალიასთან და საფრანგეთთან. თავიანთი ოცნებისაც სჯერათ და ცდილობენ, ქართველებსაც არ დაგვწყვიტონ გული.

პაატა თოთაძე

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოზრაიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუვარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ებანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14, 0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა, 0159 თბილისი (დილომი, ახ. კონსტანტია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოლის ყოველდღე, გარდა კვირისა